

არქალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის სამ თვეში ერთხელ

3

ივლისი – აგვისტო – სექტემბერი

თბილისი

2017

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული
მის თემის ძლვენი” (საბა).

შურინალი დაარსებულია 2016 წელს
მაგალითობურას
მიერ

რედაქტორი
მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი
ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანცაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე



არაბული ლიტერატურა

მაჰვარი

სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის (მაჰვარის) ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ იქმნებოდა არაბული რეგიონის გარეთ, რეალურად იყო ნაპდას – არაბული აღორძინების მოძრაობის განუყოფელი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან მან დიდი წვლილი შეიტანა არაბული კულტურის მოდერნიზაციის პროცესში. სწორედ ემიგრანტული მწერლობის მნიშვნელოვანი ფიგურები, ლიბანელი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ დასავლური ლირებულებების აღმოსავლურ კულტურასთან პოზიტიური კუთხით სინთეზის ინიციატორები.

მაჰვარის ცნობილი ფიგურები ერთგვარი კულტურათშორისი კომუნიკატიური მედიუმები არიან, რომელთაც ბედმა არგუნა ლიბანსა და ამერიკას, – აღმოსავლეთსა და დასავლეთს, – შორის გადებული ცხოვრების გზა, რამაც მათ მსოფლმხედველობას, მათ სულიერ სამყაროს წარუშლელი კვალი დაატყო და ისინი ორი კულტურის – აღმოსავლურისა და დასავლურის – ჭეშმარიტ შვილებად ჩამოაყალიბა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის არაბულ მწერლობაში და ნაპდას – კულტურული აღორძინების მოძრაობაში მაჰვარის კულტურული მემკვიდრეობის ესეისტიკა და მხატვრული შემოქმედება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლურ კულტურასა და ფილოსოფიასთან, დასავლურ ლირებულებებთან, ისევე, როგორც დასავლეთში არაბული აღმოსავლეთისა და ისლამის ჭეშმარიტი ლირებულებების გატანა სწორედ ამ სკოლის და მისი წარმომადგენლების (მათ სათავეში, ამინ რეიჰანის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა და მიხაილ ნუაიმეს) დიდი დამსახურებაა.

მაჰვარის ლიტერატურამ აღმოსავლური საზოგადოების სულიერი და კულტურული განწმენდა-გაჯანსაღება დაისახა მიზნად, ცხოვრების მოძველებული და ტვირთად ქცეული ტრადიციების ახალი კულტურული ლირებულებებით ჩანაცვლება, აღმოსავლურ საზოგადოებაში იმ სიახლეების მიღება, რაც განპირობებული იყო თანადროული პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული ფაქტორებით.

უურნალ „არმალანის“ წინამდებარე წომერში მაჰვარის ლიტერატურა მისი სამი ყველაზე ცნობილი მწერლის – ამინ არ-რეიჰანის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა და მიხაილ ნუაიმეს ქართული თარგმანებითაა წარმოდგენილი.

ამინ არ-რეიჰანი

(1876-1940)

ლოცვა

ბევრი იმათგანი, ვინც ურნმუნო უნმინდურობას ლოცვის მადლით ჩამოარაა, არც მარხულობს და არც ლოცულობს, ხოლო ბევრი ურნმუნობით დაღდასმული გონიერი ადამიანი კი გულის ირეცხს, გონებასა და ცნობიერებას ჭვრეტა-მედიტაციისა და ზიარების შუქით ინათებს. სწორედ ამიტომ არ შეიძ

ლება იმის თქმა, რომ ყველა, ვინც ლო-
ცულობს, ღვთისმოშიშია და, ვინც არ
ლოცულობს, ის კი – ურნმუნო წარმარ-
თი. მაგალითად ეს გქონდეს: კარლეი-
ლის მიერ შედგენილი საფრანგეთის რე-
ვოლუციის ისტორია მოგვითხრობს მა-
მა თირეიზე, რომელიც ყოველდღე და-
დიოდა ეკლესიაში და წირვას აღასრუ-
ლებდა და ლუი XVI-ის ეპოქის ფინანსთა
მინისტრ თურდუთზე, რომელსაც
ღვთის სახლში საერთოდ არ შეუდგამს
ფეხი. თუმცა ღვთისმსახური თირეი არა
მხოლოდ ბინიერი, უზნეო კაცი იყო,
თაღლითი და გაიძვერა, თვალთმაქცი
და ფარისეველი, არამედ – ქურდიც, ამ
სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით;
ხოლო თურდუთი ღირსეული კაცი გახ-
ლდათ, უმწიკვლო, კეთილის მქმნელი,
პატიოსანი და მოუსყიდველი, სათნო და
მაღალი ზნეობის ფილოსოფოსი. ეკლე-
სიაში სიარულმა ვერ გააკეთილშობილა
პირველი, ისევე, როგორც ეკლესისგან
სიშორემ ვერ წაახდინა მეორე. ბევრი
ლოცვა არას არგებს ფარისეველ გაიძ-
ვერას და არც უმისობა ავნებს კეთილის
მქმნელ პატიოსან კაცს.

რაც შეეხება იმათ, ვინც ჩვენს დრო-
ში ათეიზმის თვალისმოქრეულ სამოსს
მოირგებენ ხოლმე მოდის წაბაძვით ან
ქედმაღლობისა და საცდურის სიყვარუ-
ლით და ზემოდან უყურებენ ლოცვას,
რათა განათლებულმა და კულტურულ-
მა ხალხმა ირწმუნოს მათი სიბრძნის
დიდებულება და მათი ცოდნის ფართო
თვალსაწიერი, მათი შეხედულებების
კეთილგონიერება და მათი კარგი ალ-
ზრდა, მათ ვეტყოდი: იყითხეთ პასკა-
ლის „აზრები“ ან მარკუს ავრელიუსის
„ფიქრები“, ან ეპიქტეტუსის ფილოსო-
ფია, ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი“
და ამასობაში ისე დაიწყებთ ლოცვას,
ვერც კი შენიშნავთ.

ყველაზე მაღალი ხარისხისა და ყვე-

ლაზე წმინდა ლოცვაც კი მხოლოდ სუ-
ლიერი ჭვრეტაა, ცდომილ ცოდვილს
(და დიდება უფალს, ვინაა ჩვენს შორის
ისეთი, ჩასაქოლ პირველ ქვას რომ შე-
უძლია დასწვდეს!?) ღვთაებრივი ზე-
ცისკენ რომ აახედებს, სადაც სიყვარუ-
ლი, აუმღვრევლობა და მშვიდობაა.
ლოცვა პირვანდელი სახით სულიერი
ჭვრეტა-მედიტაციის ერთ-ერთი სახე
იყო. ბერბერი, რომელიც თავის სათაყ-
ვანებელ მზეს გაჰყურებს, შესძახებს:
„დიდება შენდა! რა მშვენიერია შენი შუ-
ქი და რა ბრწყინვალე!“ შემდეგ მუხლს
მოიყრის მის წინაშე შემწეობისა და
მფარველობის თხოვნა-მუდარით. თავ-
დაპირველად თუ გაოგნება იპყრობს და
ვედრება აიტანს, შემდეგ ამქვეყნიური
ზრახვანი იღვიძებენ მის გულში და მისი
ენაც ხვეწნა-მუდარად იღვრება. ამრი-
გად, ყველაზე მარტივი ფორმით ლოცვა
სასრული, ზღვრული ვადით მოვლენი-
ლი ადამიანის ღვთაებრივი უსასრულო-
ბით აღტაცების გამოხატულებაა.

სისტემისა და რეჟიმის, წესრიგის
მოყვარულნი და ფორმირებების, დაწე-
სებულებების, ჰეგემონიის მოციქულნი
– ეს ის ხალხია, რომელთაც რელიგიუ-
რობა და მისი მეთოდები ჭეშმარიტ რე-
ლიგიაზე და მის თავდაპირველ დოქ-
ტრინებზე მაღლა დააყენეს, ლოცვა აქ-
ციეს ამქვეყნიურის, მატერიალურის მი-
საღწევ სულიერ საშუალებად. ლოცვა
ისე გაახშირეს, სანამ არ გახადეს ის ყო-
ველდღიურ, ნიადაგსახმარ, გაცვეთილ
ხალათად; მეტიც, გადააქციეს ის კრია-
ლოსნებად, სურათებად, ავგაროზებად
და ხატებად, რომლითაც ვაჭრობენ და
რომელთა ყიდვასაც მრევლს ავალდე-
ბულებენ. ლოცვა განათლებული ინტე-
ლიგენციის დიდი ნაწილისთვის საძულ-
ველი გახდა, ტაძრებში ჩვეულების გამო
მოსიარულე რელიგიური ხალხისთვის
კი – არადჩასაგდები რამ. ანდაზა ხომ

ამბობს: „ლოცვა ჩვეულებაა და მარხვა – ამტანობა“.

„ილოცეთ ბევრი, ევედრეთ წმინდანებს და ისინი მოგანიჭებენ წყალობას და უხვ სიკეთეს!“ – ეს არის ღვთისმსახურთა და რელიგიურ ორდენთა შეიხების სწავლება, ხოლო ჩვენი შემოთავაზებული სწავლება, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის მიმდევართა რიტუალებს, ასეთია: „ილოცეთ მცირედ, მაგრამ დაკვირვებით, ღრმად და აგეხილებათ სულის თვალი, მაშინ დარწმუნდებით თქვენს სიმცირესა და უმნიშვნელოვანებაში“. რა დიდია სხვაობა ლოცვის ამქვეყნიური მიზნის საშუალებად მაქცევარ სწავლებასა და იმ სწავლებას შორის, რომელიც ლოცვას ხდის ერთდროულად საშუალებად და შედეგად!

სათნოება და ღირსება თავადაა ჯილდო და სულიერი განჭვრეტა-მედიტაციებიც თავადაა ჯეროვანი მისაგებელი მჭვრეტელისთვის. მათი სიამენი და სიკეთენი კი ყოველი ადამიანისთვის როდია ცხადი! მაგალითად, ვაჭარს, რომელიც ჭამისთვისაც კი ვერ იცლის, განსჯა და ფიქრი არ შეუძლია და, თუ დილა-საღამოს ლოცულობს, ეს ჩვეულებაა, რომელსაც ემონება და ბრმად ემსახურება ისე, რომ ვერც მის მიზეზებსა და ვერც შედეგებს ღრმად ვერ სწვდება. ჩემი აზრით, ჭოტი, რომელიც ღამით ხმელ ტოტზე გაჰკივის, უკეთესია კაცზე, რომელიც ლოცვებს თუთიყუშივით იმეორებს და პატივსაცემი ღვთისმსახურისგან მესას ისე ყიდულობს, როგორც ზეთსა და ცხიმს – ბაყლისაგან.

ვინც წმინდანებს შესთხოვს, საკუთარ მტრებზე გაამარჯვებინონ, დახმარების ხელი გაუწოდონ და ჯოჯოხეთის ცეცხლისგან იხსნან იგი, საკუთარ თავსაც უდიერად ეპყრობა და არც უფლის

რწმენა აქვს. ლოცვა საშუალებაა, რომლითაც ქმნილება თავის შემოქმედს ეცნობა და არა – ფული, რომლითაც ადამიანი თავის ღმერთს მოისყიდის.

როდესაც ესპანეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს ეომებოდა, თავის კათედრაზე შემომდგარი პროტესტანტი სამღვდელოება უფალს ევედრებოდა, რომ შესწოდა მათ ალმებს, განემტკიცებინა მათი წინსვლა და აღემართა მათი მახვილი მათ მტრებზე. იდგნენ ამბიონებზე ზეცად ხელაპყრობილნი და ღალადებდნენ: „უფალო!.. შენ შემუსრე სამართლიანობის მტრები საშინელი განადგურებით!.. შენ გაუმარჯვე ჭეშმარიტებისა და თავისუფლების მებრძოლებს!..“ კათოლიკე მამები ესპანეთის ეკლესიებში იმავე ღმერთს მუხლმოდრეკით და მოწინებით შესთხოვდნენ და ემუდარებოდნენ: „ღმერთო, გაუმარჯვე შენს ეკლესიას და გააძლიერე შენი ხალხი!..“ და მსგავს რამებს. საკითხავია, განა ესაა ლოცვის, ღვთისმოსაობისა და უფლის თაყვანისცემის მიზანი?! და რას ამბობს უფალი, თავის ტახტზე მორჭმით მჯდარი, ძლიერიმც არს იგი და დიდებული, ამ თავის უბადრუკ ძეთა შესახებ?! რას ამბობს ის, როცა ქრისტიანული ჯარები საღვთო ლოცვას აღავლენენ ბრძოლის ველზე, ზედ ხოცვა-ულეტის დაწყების წინ?! განა უკვირდება ჯარისკაცი ამ მშვენიერი ლოცვის აზრს?! განა ფიქრობს იმაზე, რის გაკეთებასაც აპირებს, როგორც კი დაასრულებს თქმას: „გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან! ამინ!“ წარმოიდგინე, რუსი ჯარისკაცი როგორ წარმოთქვამს საღვთო ლოცვას, სანამ ხმალ იშიშვლებს და იაპონელზე აღმართავს. უსმინე, მკითხველო, უსმინე, როგორ ამბობს:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!..“ – უფალს „მამაო ჩვენოს“ როგორ უნოდებ მაშინ, როცა შენი მოძმის მო-

საკლავად მიდიხარ?!

„წმინდა იყავნ სახელი შენი!..“ – როგორ იქნება ღვთის სახელი წმინდა, ძლევამოსილიმც იყოს მისი ხსენება, როცა მისი ძენი ერთმანეთის სისხლის-ღვრას შესდგომიან?..

„მოვედინ სუფევა შენი!..“ – ნუთუ ითხოვ მის სუფევას მაშინ, როცა ამ-ქვეყნიური, თვითნებური საბრძანებლის დაფუძნებას ცდილობ, აგებულს ღვთისმოსავთა გვამებზე და ამოვლებულს მათ სისხლში?!

„იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა – ქვეყანასა ზედა!..“ – ღვთიურ ნებაში სიყვარული და მშვიდობაა, მაშინ, როცა შენ ახლა პრძოლის ველზე ხარ და მახვილი გაქვს აღმართული შენს მოძმეზე.

„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს!..“ – რა სინდისით ითხოვ შენი ზე-ციური მამისგან პურს მაშინ, როცა შენი ცხენი ფლოქვებით თელავს ნათეს სამკალს, რომელიც გირჩევნია, ცეცხლად ქცეული ნახო, ვიდრე პურად!

„მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა!..“ – ამ სიტყვებს როგორ წარმოთქვამ მაშინ, როცა ახლა შენს მოძმეთ ებრძვი იმისი სიყვარულით, ვისი განკარგულების შესრულებაც გაგძნელებია და გაგრთულებია. თუკი იაპონელს შენთვის ან შენი მთავრობისთვის ავი გაუკეთებია, მაშ, შენ რატომ არ მიუტევებ ან, სულ მცირე, არ დაივიწყებ მის სიავეს, ან არ შეეცდები მაინც მის დავიწყებას?!

„ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელ-სა!..“ – ნუთუ გეშინია განსაცდელის, რომლის მორევსაც ჩაუთრევიხარ ახლა?! და რომელი განსაცდელია ამაზე მძიმე, რომელშიც ახლა თავით გადაშებულხარ?..

„მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ!..“

– შე ბოროტმოქმედო, შენ ხომ დღეს ბოროტების განსახიერება ხარ და მაშინ როგორ სთხოვ შენს უფალს, გიხსნას ბოროტისაგან?!

აი, ეს ის საღვთო ლოცვაა, რომელ-საც ქრისტიანი ჯარისკაცი ბრძოლის ველზე კითხულობს. ახლა კი შენ წინა-შეა სხვა ლოცვა, რომელსაც თავისუფალი ადამიანური სული აღავლენს დიადი ღვთაებრივი სულის წინაშე – შემცბარი, დაბნეული და მშფოთვარე. შეადარე ეს ორი და ყველაფერში გონებას მიანდე განსჯა.

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! იყავ ჩემთან სიცოცხლესა და სიკ-ვდილში! თუ გამაძლიერებ, მაშ, მომიმატე, ღმერთო, მოკრძალებაც! თუ მეტ ცოდნას მომცემ, მაშ, უფრო კეთილიც გამხადე! ნუ მოკლავ ჩემში რამე ღირსებას სხვის გაცოცხლების სანაცვლოდ! უფალო, შენ შემქმენი, რათა მეცხოვრა ჩიტივით თავისუფლად; შემქმენი, რათა ჯერ საკუთარი თავისთვის მეცხოვრა და მერე – ჩემი მოძმე ადამიანისთვის. ღმერთო, შენ არ გითხოვია შენს ძეთათვის, თავიანთ შორის დიდებულს მიართვან ადამიანური მსხვერპლი!. უფალო, შენ მიბოძე გონება, რათა მეფიქრა და, თუ ცოტას ვფიქრობ, ნუ შემაჩვენებ მე! ღმერთო, მიმიღე შენი დიდი სიკეთით და, თუ გულის სიღრმიდან აღმომხდება ძახილი ამქვეყნად შენს თაყვანისმცემთათვის წყალობის თხოვნით, ღმერთო, გამოეპასუხე ჩემს თხოვნას!“

თეოლოგი მეუბნება, რომ ღმერთო, წმინდა იყავნ სახელი შენი, ყველგან მყოფობ და ყოვლისმხილველი ხარ, მაგრამ აზრი, რომელიც შენი მარადიული სულის განაყოფი მცირე ნაწილია, მეუბნება, რომ დაავადებანი, ციკლონები, ქარიშხლები, წარღვნა, ხანძარი და ომები არ მოხდებოდა, შენ რომ გვერდით იყო და ამას აკვირდებოდე. რომელი

უფრო მართალია, ღმერთო?! ნუთუ შენ ჩინეთში ხარ, როცა შიმშილი აიძულებს მამებს, უმნიშვნელო საკვების სანაცვლოდ შვილები გაყიდონ?! ნუთუ შენ მათ სიახლოვეს ხარ, ვინც შიმშილით იხოცება?!

განა შენ ხარ რუსეთში, სადაც შენი ქრისტიანი ძენი ყელს სჭრიან შენი რჩეული ხალხის ასობით ადამიანს?! განა შენ ხარ იმ ეპისკოპოსის გულში, თავისი კარეტით ბოროტმოქმედ მკვლელთა რიგებში რომ ჩამოივლის და მათ შენი სახელით კურთხევას აძლევს?! განა შენ ხარ იმ ბრძოლის ველებზე, რომლებიც კაცთა სისხლითაა შეღებილი?! ნუთუ შენ ხარ ცენტრალურ ამერიკაში, სადაც ქარიშხლები და ურაგანი აჩანაგებს ქვეყნებს და აღგვის პირისაგან მიწისა, ანგრევს საცხოვრებელ სახლებს და ღუპავს ათასობით მონას ღვთისას?! განა შენ იმ საზარელ ხანძრებში ხარ, რომლის ცეცხლის ენები ნთქავს დასახლებებს და კვალად ტოვებს მოოხრებულ, შემაშინებელ სივრცეს, მოფენილს დამწვარი გვამებითა და სხეულის ნაწილებით, დანახშირებული ხეებითა და გადაბუგულ-განადგურებული შენობებით, რაც ურუოლისმომგვრელი, სუნთქვის-შემკვრელი, ძარღვებში სისხლის გამყინავი სანახაობაა?! ნუთუ შენ ფილიპინებზე ხარ, სადაც ქარბორბალა და ციკლონები ნთქავს გემებსა და სამხედრო

ხომალდებს, ტალღები სანაპირო სოფლებს აღწევს და თვალის დახამხამებაში ძირავს მათ?!

ნუთუ შენ ხარ იმ საავადმყოფოებში, სადაც ათასობით შენი ძე ტკივილით იტანჯება, კვნესის და ოხრავს?! განა შენ ტუბერკულოზის ჩხირებში, ტიფის მიკრობებში, ყვითელი ცხელების, კიბოს ბაცილებში ხარ?! ქალაქებში ღატაკთა გადაჭედილ საცხოვრისებში თუ ხარ, სადაც ასობით მონა ღვთისა უსინათლობითა და უჰაერობით კვდება?! უფალო, ნუთუ ყველგან მყოფობ და ამ ყველაფრის მხილველი ხარ?! მომფინე მე შუქი, რათა ეს ორი მხარე შევკრა; მიბოძე ძალა, რათა მოვარიგო ერთმანეთში ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო უკიდურესობა; მომეცი წვეთი შენი ცოდნის ზღვიდან, ღმერთო, რათა ამ ცოდნით თავი დავიხსნა მე, საიქიოთი მოვაჭრეთა ბოროტებისგან; იმათვან, ვინც მავნებლობას ავრცელებს ამქვეყნად. დიახ, მე დავხსენი სულის თოკები და დავამსხვრი გონების ბორკილები, მაგრამ მე მართალი ვარ, მჯერა! გამიფანტე, ღმერთო, დაბნეულობის ღრუბლები და გამომიგზავნე მე შუქი უეჭველი ცოდნისა!.. და თუ მე ვცდები ამ ჩემს კითხვებში და ღვთისმგმობელი ვარ ჩემს ლოცვაში, ყველა მონანიეს მიეტევება და, მაშ, მე უპირველესი მონანიე ვიყო!

**არაბულიდან თარგმნა
დარეჯან გარდავაძემ**

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931)

მიცვალებულთა ქალაქი

გუშინ ქალაქის ხმაურიან, ფუთფუთა ბრძოლა განვერიდე და მდუმარე მინდვრებში დავიწყე სეირნობა, სანამ მაღალ გორაკს არ მივაღწიე, რომელიც ბუნებას თავისი ულამაზესი სამოსით შეემოსა. შევჩერდი. ქალაქი ხელისგულივით მოჩანდა – ქარხანათა კვამლის სქელ ღრუბლებში გახვეული მაღალი შენობებითა და დიდებული სასახლეებით.

ჩამოვჯექი და ადამიანის ცხოვრებაზე ჩავთიქრდი. საბოლოოდ კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ მისი უმეტესი ნანილი სიმძიმე და ტანჯვაა. გულში შევეცადე, არ მეფიქრა ადამის ძის ნამოქმედარზე და თვალი მინდორს მივაპყარი – უფლის დიდების ტახტს. მის შუაგულში სასაფლაო შევნიშნე, სადაც ღობით შემოსაზღვრული მარმარილოს საფლავები ჩანდა.

აქ, ცოცხალთა და მკვდართა ქალაქებს შორის ვიჯექი და ვფიქრობდი უწყვეტ ბრძოლასა და მუდმივ მოძრაობაზე ერთში და გაბატონებულ სიჩუმესა და დაურღვეველ სიმშვიდეზე – მეორეში. ერთ მხარეს იმედი და სასონარკვეთა, სიყვარული და სიძულვილი, სიმდიდრე და სიღარიბე, რწმენა და ურნმუნობა იყო, მეორე მხარეს კი – მინას წაყრილი მინა, სადაც ბუნება ღამის სიჩუმეში მინაში დაფარულს ხილულად გარდაქმნის, აქცევს მას მცენარედ, შემდეგ – ცხოველად.

ამ ფიქრებს მივცემოდი, რომ თვალი მომტაცა ნელა მომავალმა პროცესიამ,

რომელსაც წინ მუსიკა მოუძღვდა და ჰაერს სევდიანი მელოდიით ავსებდა. ეს პროცესია ფუფუნებისა და დიდებულების ნაზავი იყო, მასში მონაწილე ხალხს რომ აჩნდა. ეს იყო ძლიერი და მდიდარი ადამიანის სამგლოვიარო პროცესია. მიცვალებულს ცოცხლები მოაცილებდნენ, ტიროდნენ, ვიშვიშებდნენ და მოთქვამდნენ.

მიადგნენ სასაფლაოს, სასულიერო პირები შეჯვეულებულები, ლოცულობდნენ და საკმეველს აფრქვევდნენ. მუსიკოსები მათ გამოეყვნენ და საყვირები აახმიანეს. ცოტა ხნის შემდეგ მქადაგებლებმა დაიკავეს ტრიბუნა და მიცვალებული განსაკუთრებული სიტყვებით შეამკეს. შემდეგ პოეტებმა გამოხატეს მწუხარება შერჩეული შედევრებით. ეს ყველაფერი მომაბეზრებლად დიდხანს გრძელდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ პროცესია მიადგა სამარეს, რომლის დამზადებაშიც მესაფლავები და არქიტექტორები ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ. საფლავის გარშემო კი ხელოვანთა მიერ შემკული ყვავილთა გვირგვინები იყო შემოწყობილი.

პროცესია ქალაქისკენ გაბრუნდა, მე კი შორიდან უუყურებდი და ვფიქრობდი. მზე გადაიხარა, ხეებისა და კლდეების ჩრდილები დაგრძელდა და ბუნება სინათლის სამოსის გახდას შეუდგა. სწორედ იმ წუთას დავინახე ორი მამაკაცი, რომელთაც ხის ჩასასვენებელი მოჰკონდათ. უკან ქალი მოჰყვებოდათ,

დაფლეთილი სამოსით, მკლავებში ჩვილი ბავშვით, მის გვერდით კი ძაღლი მოდიოდა, რომელიც ხან ქალს შეჰყურებდა, ხან კი – ჩასასვენებელს. ეს იყო ლარიბული, შემაძრნუნებელი დასაფლავება. სამგლოვიარო პროცესიაში მიცვალებულს მიაცილებდა ცოლი, რომელიც მწუხარების ცრემლებს ლვრიდა, ბავშვი, რომელიც დედამისის ცრემლების გამო ტიროდა და ერთგული ძაღლი, რომელიც მიაბიჯებდა და მის სვლაში სევდა და ნაღველი გამოსჭვიოდა.

ისინი მიადგნენ სასაფლაოს. ჩასასვენებელი მარმარილოს საფლავებიდან შორს, ერთ კუთხეში გაჭრილ ორმოს მიაბარეს, შემდეგ შთამბეჭდავად ჩუმად გაბრუნდნენ უკან. ვიდრე თვალს

მიეფარებოდნენ და ხეებს უკან გაუჩინარდებოდნენ, ძაღლი ბოლოჯერ შემობრუნდა თავისი გარდაცვლილი მეგობრის სავანისაკენ.

მაშინ ცოცხალთა ქალაქისკენ ვიბრუნე პირი და ჩემთვის წარმოვთქვი: „ეს ძლიერთა და მდიდართათვისაა!“, შემდეგ მკვდართა ქალაქისაკენ მივტრიალდი: „ესეც ძლიერთ და მდიდართ ეკუთვნის... ღმერთო, სუსტთა და ღარიბთა სამკვიდრო სადღაა?!“

როდესაც ეს წარმოვთქვი, სქლად მოჯარულ ღრუბლებს ავხედე, რომელთა კიდეებიც მზის ლამაზ სხივებს ოქროსფრად შეეფერადებინა და გავიგონე ჩემი შინაგანი ხმა, რომელიც ამბობდა: „ის იქ არის“.

III ნატერა

ლამის სიჩუმეში სიკვდილი ზეციდან მძინარე ქალაქისკენ დაეშვა, ყველაზე მაღალ მინარეთზე დაიდო ბინა და თავისი ცეცხლოვანი თვალებით სახლების კედლები გაარღვია. იქ სიზმართა ფრთებს მინებებული სულები და ძილს მიცემული სხეულები იხილა.

როდესაც მთვარე მრუმე ბინდში მიიმალა და ქალაქი სიბნელეში გაეხვია, სიკვდილმა ჩუმი ნაბიჯით ჩაიარა სახლებს შორის, სანამ მდიდარი, ძლევამოსილი კაცის სასახლეს არ მიალწია და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე არ შევიდა შიგ. მდიდარი კაცის საწოლის გვერდით გაჩერდა, შემდეგ შუბლზე შეეხო მას. კაცს მაშინვე შეძრნუნებულს გამოეღვიძა. როდესაც სიკვდილის აჩრდილი დაინახა, ისეთი ხმით შეჰყვირა, რომელშიც შიში და მრისხანება გამოსჭვიოდა: „გამშორდი, საზარელო სიზმა-

რო! წადი, ბოროტო მოჩვენებავ, როგორ შემოხვედი, ქურდო?! რა გსურს, შემტაცებელო?! მოშორდი! მე ვარ ამ სახლის უფროსი, წადი, თორემ ჩემს მონებსა და მცველებს მოვუხმობ და გაგგლეჯენ, ნაკუნებად გაქცევენ!“

მაშინ სიკვდილი მიუახლოვდა და მჭექარე ხმით უთხრა: „მე სიკვდილი ვარ, გამოფხიზლდი და შეიგნე!“ მდიდარმა მიუგო: „რა გინდა ახლა ჩემთან და ჩემგან რას ითხოვ?! რატომ მოხვედი, მე ხომ ჩემი საქმენი ჯერ არ დამისრულებია! რას მოითხოვ ჩემისთანა ძლიერი ადამიანებისგან? სუსტებთან და სნეულებთან წადი! გამშორდი და არ დამანახო შენი მტაცებლური კლანჭები და გველივით დაკლაკნილი თმა! წადი, უკვე მომბეზრდა შენი უზარმაზარი ფრთებისა და მიხრნილი სხეულის ყურება!“ ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა:

„არა, არა, მოწყალეო სიკვდილო, ნუ მი-აქცევ ყურადღებას იმას, რაც ვთქვი! შიშმა წამომაცდენინა გულისხადები. აიღე ერთი მიქიალი¹ ოქრო, ჩემი მონების სული შენს განკარგულებაშია, ოღონდ დამტოვე, თავი დამანებე. სიკვდილო, მე ცხოვრებასთან ჩემი ანგარიშები ჯერ არ დამისრულებია, ხალხის-გან ფული ჯერ სრულად არ ამიკრებია. ზღვის ტალღებში ხომალდები მყავს, რომელთაც ჯერ ნაპირამდე არ მოუღწევიათ; მიწაზე კი მოსავალი მაქვს, რომელიც ჯერ არ გაზრდილა, აიღე, რაც გინდა, ამ ყველაფრიდან და თავი დამანებე. დილის შუქივით ლამაზი მხევლები მყავს, ამოირჩიე მათგან, რომელიც გსურს. მისმინე, სიკვდილო, მე ერთა-დერთი საყვარელი ვაჟი მყავს, ისაა ჩემი იმედი. ის წაიყვანე და მე დამტოვე. წაიღე, რაც გინდა! ყველაფერი წაიღე, ოღონდ მე დამტოვე.“.

მაშინ სიკვდილმა მიწიერი ცხოვრების მონას პირზე ხელი ააფარა, მოიტაცა მისი არსი და ჰაერს მისცა.

სიკვდილმა უპოვართა და გაჭირვებულთა უბნებშიც ჩაიარა, სანამ ერთ უბრალო, უვარგის სახლს არ მიაღწია. შევიდა და მიუახლოვდა საწოლს, რო-

მელზეც სრულიად ახალგაზრდა ბიჭი იწვა. მის მშვიდ სახეს დააკვირდა, თვალებზე შეეხო და გამოაფხიზლა. როდესაც ბიჭმა თავის წინაშე მდგარი სიკვდილი დაინახა, მუხლებზე დადგა, მკლავები გაუშალა და სიყვარულითა და მონატრებით სავსე ხმით უთხრა: „შენ წინაშე ვარ, მშვინიერო სიკვდილო! მიიღე ჩემი სული, ჩემი ოცნებების არსო და იმედო. მომეხვიე, ჩემო საყვარელო! შენ მოწყალე ხარ, აქ ნუ დამტოვებ! შენ ხარ ღმერთის მოციქული, შენ ხარ ჭეშმარიტების მარჯვენა ხელი, არ დამტოვო! როგორ გეძებდი და ვერ გპოულობდი! როგორ გიხმობდი და არ გესმოდა! ახლა უკვე შეისმინე ჩემი და ჩემს სიყვარულს ხელს ნუ ჰკრავ!.. მომეხვიე, ჩემო საყვარელო სიკვდილო!“

მაშინ სიკვდილმა თავისი თხელი თითები ახალგაზრდა ბიჭის ტუჩებზე დააწყო, წარიღო მისი არსება და თავის ფრთებქვეშ მოათავსა.

და როდესაც სიკვდილმა ზეცაში კამარა შეკრა, მოხედა სამყაროს და ჰაერში წაიჩურჩულა შემდეგი სიტყვები: „მხოლოდ ის დაბრუნდება მარადისობაში, ვინც მარადისობიდან მოვიდა“.

იყუჩე, სულო, იყუჩე!

სანამ იწუხებ, ჩემო სულო, შენ ხომ იცი ჩემი სისუსტე. როდემდე იხმაურებ, მე ხომ კაცთა სიტყვების მეტი არაფერი მაქვს შენი ოცნებების დასასურათებლად.

მომხედე, ჩემო სულო, ჩემი ცხოვრება შენი მითითებების გათვალისწინებით გავლიე! დაფიქრდი, ჩემო მწამებე-

ლო, ჩემი სხეული შენს ნაბიჯებს აყოლილმა გავანადგურე.

ჩემი გული ჩემი მეუფე იყო, ახლა კი შენს მონად იქცა. მოთმინება იყო ჩემი მეგზური, ახლა კი ჩემს მკიცხველად გადაიქცა. ახალგაზრდობა ჩემი თანამეინახე იყო, დღეს კი ჩემს მგმობელად იქცა. ეს არის ყველაფერი ის, რაც მერგო

¹ მიქიალი – საწყაო.

ღმერთებისგან და მეტს რას ეძიებ, რას მიელტვი?

უარვყავი საკუთარი თავი და დავთმე ჩემი ცხოვრების სიამენი.

მივატოვე ჩემი ცხოვრების დიდება და შენ გარდა აღარაფერი შემრჩა. ან სიკვდილს უხმე ჩემს საშველად და ან, შენგან წამებული, ტყვეობიდან მიხსენი მე.

იყუჩე, სულო! შენ ხომ სიყვარულის გამო უკვე ამატანინე აუტანელი! შენ და სიყვარული ერთობლივი ძალა ხართ, მე და მატერია კი – დაქსაქსული სისუსტენი. განა შენი პრძოლა გაგრძელდება ძლიერსა და სუსტს შორის? შემიწყალე, ჩემო სულო, შენ დამანახე ბედნიერება ძალიან შორიდან. შენ და ბედნიერება მაღალ მთაზე ხართ, მე და უბედურება კი – ხეობის სიღრმეში. და განა მწვერვალი და ფსკერი შეიყრებიან?!

იყუჩე, სულო! შენ გამომიჩინე სილამაზე და შენვე დამიმალე. შენ და მშვენიერება სინათლეში ხართ, მე და უმეცრება კი – სიბნელეში. განა სინათლე შე-

ერწყმის სიბნელეს?!

შენ, ჩემო სულო, საიქიო ცხოვრებით ხარობ სიკვდილამდე, ეს სხეული კი სიცოცხლეშივე იტანჯება.

შენ უკვდავებისკენ მიისწრაფვი, ეს სხეული კი სიკვდილისკენ მიიზლაზნება. არც შენ ანელებ სვლას და არც ის უჩქარებს ფეხს. ეს, ჩემო სულო, უბედურების საზღვარია!

შენ ზეცა გიზიდავს, ეს სხეული კი მიწის მიზიდულობით ძირს ეცემა. არც შენ უსამძიმრებ მას და არც ის გილოცავს. აი, ეს არის სიძულვილი!

შენ, ჩემო სულო, მდიდარი ხარ შენი სიბრძნით, ეს სხეული კი ღარიბია თავისი ბუნებით. არც შენ უთმობ მას და არც ის მოგყვება შენ. აი, ესაა უკიდურესი სიძულვილი!

შენ ღამის სიჩუმეში საყვარელი ადამიანისკენ მიემართები და სიამოვნებას განიცდი მისი მოხვევითა და ჩახუტებით, ეს სხეული კი სამუდამოდ რჩება ვნებისა და განშორების მსხვერპლად.

იყუჩე, სულო, იყუჩე!

დამნაშავე

ახალგაზრდა ბიჭი, რომლის ძლიერი სხეული შიმშილს დაესუსტებინა, სავალ ნაწილზე, შუა ქუჩაში სამათხოვროდ იჯდა. ხელი გამვლელთათვის ჰქონდა გაწვდილი კეთილის მქმნელთა მოწყალებისა და დახმარების მოლოდინში და, გულგატეხილი და იმედგაცრუებული, შიმშილით გამოწვეულ ტკივილებზე საწყალობლად ჩიოდა.

დაღამდა. ბიჭს ტუჩები და ენა დაუსკდა და გამოუშრა, ხელი კი, კუჭის მსგავსად, კვლავ ცარიელი ჰქონდა. მაშინ წამოდგა, ქალაქგარეთ გავიდა, ხეებს შორის ჩამოვაჯდა და მწარედ ატირდა. შემ-

დეგ ცრემლებით სავსე თვალები ზეცისკენ აღაპყრო. შიმშილი ღრღნიდა. თქვა: „უფალო, შეძლებული ადამიანისკენ გავეშურე, სამუშაო ვითხოვე და გამომაძევეს ჩემი დაძონძილი სამოსის გამო. სკოლის კარზე დავაკაკუნე და ხელცარიელობის გამო უარი მითხრეს. მხოლოდ საარსებო პურის მისაღებად ჩემი დასაქმება ვითხოვე რამეში და მე ბედკრული ისევ უარმყვეს!.. და ბოლოს, მოწყალება ვითხოვე, უფალო, შენმა მიმდევრებმა შემხედეს და თქვეს, რომ მე ღონიერი ვარ და ზარმაცი, მცონარა ადამიანისთვის კი მოწყალების გაღება არ შეიძლება! უფა-

ლო, დედაჩემმა შენი ნებით მშობა და დღეს მე შენი ქმნილება ვარ. მაშ, რატომ მეუბნება ადამიანი უარს პურზე, როცა შენი სახელით ვითხოვ?!“ – იმ წამს სასონარკვეთილ ახალგაზრდა კაცს გამომეტყველება შეეცვალა. წამოიმართა, წელში გასწორდა და თვალებში მოწყვეტილი ვარსკვლავით რისხვამ გაუელვა. შემდეგ ხის ხელი ტოტებისგან უზარმაზარი კომბალი გამოჭრა და ქალაქისკენ ყვირილით მოიღერა: „საკუთარი ოფლით ცხოვრებას ვეძიებდი და ვერ ვპოვე, ამიტომ მკლავის ძალით მივიღებ მას! პური ვითხოვე უფლის სახელით და ადამიანმა არ შეისმინა, ახლა კი ბოროტების სახელით მოვითხოვ და ვიშოვი!“

განვლო წლებმა და ახალგაზრდა კაცი ფულის საშოვნელად მკვლელად იქცა. ყელს სჭრიდა და ხოცავდა ყველას, ვინც კი შეენინააღმდეგებოდა. დიდი სიმდიდრე მოიხვეჭა და მოძალადედ იქცა. მძარცველთა რჩეული და საყვარელი, გონიერთა რისხვა გახდა. შემდეგ ემირმა იმ ქალაქში თავისი ნაცვლობა მიანდო. თავიანთი წარმომადგენლების შერჩევა ხომ ემირთა საქმეა!

ასე იქცა ერთი საწყალი ადამიანი სისხლისმსმელ ჯალათად და მშვიდობიანი კაცი – დაუნდობელ მკვლელად.

გუშინ და დღეს

მდიდარი კაცი თავისი სასახლის ბაღში სეირნობდა და ჭმუნვა მის ნაბიჯებს კვალდაკვალ სდევდა. შფოთვა თავს ისე დასტრიალებდა, როგორც სვავები – სიკვდილით შემუსვრილ ლეშს. მიაბიჯებდა ასე, ვიდრე ტბას არ მიადგა, რომლის თლილი მარმარილოთი მოპირკეთებაში ადამიანთა ხელები ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ. ჩამოჯდა და ერთხანს ქანდაკებათა ბაგებიდან გადმომავალი წყლის ნაკადს მიაცეკრდა, მიჯნურის წარმოსახვიდან ამოფრქვეულ ფიქრებს რომ წააგავდა. მერე თავის მშვენიერ სასახლეს გახედა, რომელიც პატარა ბორცვზე მედიდურად ისე წამომჯდარიყო, როგორც ხალი – ქალიშვილის ლოყაზე.

ჩამოჯდა და მოგონებებიც გვერდით ჩამოუსხდნენ, განვლილი ცხოვრების წიგნთა ფურცლები თვალწინ გადაუშალეს. ისიც შეუდგა მათ კითხვას, თვალთ ცრემლი მოაწვა და ადამიანის შექმნილი გარესამყარო დაუბინდა.

მღელვარებამ მის გულს ღვთაებრივ დღეთა სურათები დაუბრუნა, მწუხარებისგან მხოლოდ ესლა თქვა:

„ჯერ კიდევ გუშინ იმ ამწვანებულ მდელოებზე ცხვრებს ვწყემსავდი, ცხოვრებით ვტკბებოდი, ჩემს სალამურს თავაწეული ვუკრავდი და ჩემს სიხარულს ქვეყანას ვამცნობდი. დღეს კი სიხარბის ტყვე ვარ, სიმდიდრე მიმიდვის სიმდიდრისაკენ, ფუფუნება – თავდავიწყებისკენ, თავდავიწყება კი – ტანჯვისკენ. მგალობელ ჩიტა და მოხეტიალე პეპელას ვგავდი. ამ მინდვრებში ბალახზე გადავლილი ნიავი ჩემს ნაბიჯებზე უფრო მსუბუქი არ ყოფილა. დღეს კი საზოგადოების ჩვეულებათა ტყვე ვარ! თავი მომაქვს, ვიღწვი სამოსისა და კუჭისათვის და ჩემი ყოველი მოქმედება კაცთა საზოგადოებასა და მის კანონებს ემორჩილება. ვისურვებდი, იმისთვის დავბადებულიყავი, რომ დავმტკბარიყავი არსებობის სიხარულით, მაგრამ ახლა საკუთარ

თავს ფულის ბატონობისგან დაღლილს და მჭმუნვარეს ვხედავ. დავსუსტდი, როგორც ოქროთი მძიმედ დატვირთული აქლემი, რომელსაც ოქრო ღუპავს. სადა გაშლილი მინდვრები?! სადა მოჩუხჩე ნაკადულები?! სადა სუფთა ჰაერი?! სადა ბუნების დიდებულება?! სადა ჩემი ღვთაება?! ეს ყველაფერი უკვე დავკარგე და აღარაფერი დამრჩა ოქროს მეტი, რომელიც მიყვარს, ის კი ჩემდამი გულგრილია და დამცინის. მონები გავიმრავლე, ჩემმა სიხარულმა კი იკლო. სასახლე წამოვმართე, ბედნიერება კი დამენგრა.

ბედუინის ქალიშვილთან დავდიოდი და უმანკოება თან გვდევდა, სიყვარული იყო ჩვენი თანამეინახე და მთვარე – ჩვენი მოდარაჯე. დღეს კი იმ ქალებს შორის ვარ, რომელთაც მაღალი ყელი და ცბიერი თვალები აქვთ, რომლებიც საკუთარ თავს სამაჯურების, ყელსაბამების, ბეჭდებისა და დიდებისათვის ყიდიან. გუშინ უდარდელი ვიყავი, მე და ჩემი ყმანვილი მეგობრები ქურციკთა გუნდივით ხეთა შორის დავნავარდობდით, ვმლეროდით, მინდორ-ველთა სიტყბოებას ვინაწილებდით. დღეს კი ხალხში ისე ვარ გარეული, როგორც ცხვარი – მტაცებელთა შორის. როდესაც ქუჩაში დავდივარ, ზოგიერთნი სიძულვილით სავსე თვალებით მიმზერენ და შურით მიუთითებენ ჩემზე. გასართობი, სასეირნო ადგილებისკენ თუ გავემართე, დაღვრემილი სახეებისა და ქედმაღალი თავების გარდა ვერაფერს ვხედავ.

გუშინ სიცოცხლე და ბუნების მშვენიერება მქონდა ბოძებული, დღეს კი ორივე წამერთვა. გუშინ ბედნიერებით ვიყავი მდიდარი, დღეს კი სიმდიდრით

გავლარიბდი. გუშინ, ჩემი ცხვრის ფარაში, ბედნიერი მწყემსი კეთილშობილ მეფეს ვგავდი, დღეს კი ოქროს მონად ვიქეცი, – დამცირებულ მონად მჩაგვრელი ბატონის წინაშე. არ მეგონა, რომ ფული ჩემს სულს გაანადგურებდა და უმეცრების ჯურლმულებისკენ გაუძლვებოდა. არ ვიცოდი, რომ, რაც ადამიანებს დიდებად მიაჩნდათ, ის, სინამდვილეში, ჯოჯოხეთი ყოფილა“.

წამოდგა და ნელი ნაბიჯით თავისი სასახლისკენ გაემართა. ოხრავდა და იმეორებდა: „განა ესაა სიმდიდრე?! განა ესაა ღმერთი, რომლის ქურუმიც გავხდი?! ნუთუ ესაა ის, რასაც სიცოცხლის ფასად ვყიდულობთ?! ვინ მომყიდის თუნდაც ერთ ლამაზ ფიქრს ერთი კინტარი¹ ოქროს სანაცვლოდ? ვინ აიღებს ერთ მუჭა ძვირფასეულობას ერთი ციცქნა სიყვარულისთვის?! ვინ მომცემს ჩემი საგანძურის ფასად თვალს, რომელიც მშვენიერებას ხედავს?“

როდესაც სასახლის კარიბჭეს მიაღწია, ქალაქს გახედა, როგორც იერემიამ – იერუსალიმს, ხელი მისკენ ისე გაიშვირა, თითქოს მას გლოვობსო და ხმამაღლა წარმოთქვა: „სიბნელეში მოსიარულე, სიკვდილის ჩრდილში მსხდომო ხალხო! სიღარიბის კვალდაკვალ მორბენალნო! ცრუ მოსამართლენო, უგუნურად მოსაუბრენო!.. როდემდე გამოიკვებებით ეკლითა და ნარით და ნაყოფსა და ყვავილს კი უფსკრულისაკენ მოისვრით?!.. როდემდე იცხოვრებთ ნანგრევებსა და სიბინძურეში და მიატოვებთ სიცოცხლის წალკოტებს?!.. რატომ გმოსავთ დაფლეთილი სამოსი აბრემუმის წაცვლად?!.. სიბრძნის ჩირალდანი უკვე მინავლდა, დროა, ზეთი

¹ კინტარი – წონის საზომი ერთეული, დაახლოებით 50 კგ.

დაუმატოთ!.. შარაგზის ყაჩალს ბედნიერების ვენახი გაუპარტახებია და დაიცავით!.. ქურდს შენი სიმშვიდის საგანძური მოუპარავს, ფრთხილად იყავი!“

იმწამს მდიდარი კაცის ნინ უპოვარი წარსდგა და დახმარების თხოვნით ხელი გაუწოდა. მდიდარმა მას შეხედა, აცახცახებული ტუჩები მოკუმა, შეკრული სახე გაეხსნა და გაუბრნებინდა, თვალებიდან სასიამოვნო სხივმა გამოაშუქა. ეს ის იყო, ვისაც გუშინ ტბის სიახლოვეს სალმით ჩაუარა, თანაუგრძნო და შეებრალა. ახლა კი უპოვარს მიუახლოვდა, აკოცა, როგორც თანასწორსა და საყვარელ ადამიანს და მუჭი ოქროთი აუვსო. შემდეგ თანაგრძნობით უთ-

ხრა: „ჩემო ძმაო, აიღე ეს ახლა, ხვალ კი შენიანებთან ერთად დაბრუნდი და დაიბრუნეთ თქვენი ქონება“. უპოვარმა გაიღიმა, როგორც წვიმას მოკლებულმა დამჭვნარმა ყვავილმა და სწრაფად წავიდა.

მაშინ მდიდარი კაცი თავის სასახლეში შევიდა და თქვა: „ამქვეყნად ყველაფერი ცხოვრების სიკეთეა, ფულიც კი, რადგან ის ადამიანს გაკვეთილს უტარებს. სიმდიდრე ორგანივითაა, ვინც მასზე სათანადოდ დაკვრა არ იცის, მის ხელში უსიამო მელოდიად ისმინება. ფული სიყვარულივითაა, კლავს იმას, ვინც მას არ იმეტებს და აცოცხლებს იმას, ვინც მას გასცემს“.

**არაბულიდან თარგმნა
თამარ თაბუაშვილმა**

მიხაილ ნუაიმე (1889-1988)

ერთი კოლეგი ასანთი

აქამდე რაც დამიწერია, ყველა ამბავი და მოქმედი პირი ჩემი გამოგონილია. ამ მოთხოვობაში კი, თუ შეიძლება მას ასე ვუწოდოთ, მოსმენილი ისტორია უბრალოდ ფურცელზე გადავიტანე. ამბავი მეგობარმა მიამბო. ის ერთი სერიოზული და კულტურული კაცია, ტყუილად არაფერს მიედ-მოედება, არც ამბის გაზვიადება უყვარს და არც – შელამაზება.

ერთხელ საუბარი წამოვიწყეთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესახებ, ვბჭობდით, რომელი მათგანია უფრო პრაგმატული. მეგობარმა მითხრა:

– მოდი, უკომენტაროდ მოგიყვები ორ ამბავს, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ შემემთხვევა და დასკვნის გამოტანა შენთვის მომინდვია. პირველი ამბავი ლიბანის ერთ პატარა სოფელში მოხდა, ალ-ბაკა’ის რეგიონში, ხოლო მეორე – პარიზში.

შენ კი იცი ჩემი უჩვეულო ხასიათი – სახლში იმ დროს ვიკეტები, როცა ხალხი გარეთ გადის და პირიქით, იმ დროს გავდივარ, როცა სხვები სახლში რჩებიან. როცა ხალხი მხიარულობს, მე ვტირი და მაშინ ვმხიარულობ, როცა სხვები წუხან; როცა ხალხს შიში იპყრობს, მე უშიშარი ვხდები და იმ დროს მეშინია, როცა სხვები გაბედულად მოქმედებენ.

და აი, ასე უშიშრად ვიქეცი გაზაფეულის ერთ ქარიშხლიან ღამეს, როცა

კოკისპირულად წვიმდა და ბეირუთის ქუჩები ნაკადულებითა და მდინარეებით აივსო. ელვა და ჭექა-ქუხილი განუწყვეტლივ ერთმანეთს ცვლიდა. უცებ ბაალბექში მომინდა გამგზავრება და იმ დღესვე უკან დაპრუნება. სინამდვილეში, იქ არაფერი მესაქმებოდა და არც არავის ვიცნობდი, არც მისი ციხესიმაგრის მონახულების წყურვილი მკლავდა, უბრალოდ, წარმოვიდგინე, როგორ მივდივარ გზაზე მარტო, სიბნელეში ელვის, ჭექა-ქუხილისა და კოკისპირული წვიმის თანხლებით. ამ ფიქრებმა სასიამოვნოდ გამიტაცა. დედაჩემი მოვატყუე და დავაჯერე, რომ აუცილებელ საქმეზე მივდიოდი, რომელსაც ვერაფრით გადავდებდი. გაგიუდა, მევედრებოდა, ტელეფონით მომებოდიშებინა და არ წავსულიყავი, ან, სულაც, მობოდიშების გარეშე, უბრალოდ, სახლში დავრჩენილიყავი, ასეთ ამინდში ხომ მელიებიც კი არ გამოდიან თავიანთი სოროებიდან, მაგრამ მე მტკიცედ ვიდექი ჩემს გადაწყვეტილებაზე. დედავერაფერს გახდა, გულზე ხელს იცემდა და ღმერთს ვევდრებოდა, გონება გაენათებინა ჩემთვის. დავპირდი, რომ შუალამემდე სახლში დავბრუნდებოდი.

ჩავჯექი მანქანაში, ალ-ბაკა’ის ველებსა და ბაალბექს შორის მთაში მიხეულ-მოხვეულ გზას გავუყევი. არ მკითხო, რას ვგრძნობდი, როცა ფარების შუქით მივაპობდი თქეშ წვიმაში

უკუნ სიბნელეს... წყლით დაფარულ ას-
ფალტზე მიმავალი ბორბლების ხმას
ვუსმენდი, ჭექა-ქუხილი და მთებიდან
მოჩუხჩუხე ნაკადულები ღამის სიჩუმეს
არღვევდა და სამყარო ჯადოსნურად
და თან საშიშად მეჩვენებოდა.

ვაკეზე დავეშვი და გიჟური სიჩქა-
რით განვაგრძე გზა. რამდენიმე კილო-
მეტრი გავიარე და მარჯვნივ მკრთალი
შუქი შევნიშნე, სიბნელეში ციმციმებდა.
აი, კიდევ მეორე, მესამე... უეჭველად
სოფელს მივუახლოვდი. იქ ნასვლა მო-
მინდა. რატომ?! – არ ვიცი. ის შუქი რა-
ღაცნაირად თავისკენ მიზიდავდა. ბა-
ალბექი დავივიწყე და სოფლისკენ მიმა-
ვალ გზას დავადექი. გზაჯვარედინი გა-
ვიარე და ვიწრო, გაუვალ ქუჩაზე შევე-
დი. ცოტა ხანში მივხვდი, რომ ვერ შევ-
ძლებდი გზის გაკვალვას. რაც უფრო
ღრმად შევდიოდი, მით უფრო მეტი ორ-
მო და ტალახი მხვდებოდა და შიში მიმ-
ძაფრდებოდა. უკან დაბრუნებაც აღარ
შემეძლო. სასონარკვეთილმა გზა
კვლავ წინ განვაგრძე. სოფლამდე ნახე-
ვარ კილომეტრზე მეტიც არ იყო დარ-
ჩენილი, როცა უცებ ვიგრძენი, როგორ
დაფარა მანქანა კარებამდე ტალახმა
და წყალმა. დავრწმუნდი, რომ ვერა-
ფერს გავხდებოდი და საკმაოდ ძვირა-
დაც დამიჯდებოდა ჩემი საქციელი, უფ-
რო სწორად, სიგიჟე. მდგომარეობა კი-
დევ უფრო დამძიმდა, როცა მანქანის
ფარები ჩაქრა და გარშემო წყვდიადმა
დაისადგურა. უცებ დავინახე, როგორ
მიახლოვდებოდა სინათლე. მეგონა,
სოფლად სტუმრად მისული ხალხი ახ-
ლა თავის სახლს უბრუნდებოდა, მაგ-
რამ შევცდი. როგორც გაირკვა, ამ ადა-
მიანებს შეუნიშნავთ მათკენ მიმავალი
ჩემი ფარების შუქი, რომელიც ცოტა
ხნის შემდეგ ჩაქრა. მიხვდნენ, რომ მან-
ქანა გაფუჭდა და მძღოლის საშველად
გამოემართნენ, წვიმასა და ტალახს არ

შეუშინდნენ.

მალე სოფლის მამასახლისის სახ-
ლში აღმოვჩნდი, გარს კაცების ჯგრო
მეხვია, მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც
გადამარჩინა. ყველა გაოგნებული განი-
ხილავდა ამ ღამეში ჩემს გიჟურ გადან-
ყვეტილებასა და საქციელს. ერთი საა-
თიც არ იყო გასული, რომ ვახშამი მო-
მიტანეს: შემწვარი წინილები, ყველი,
ზეთისხილი, არაჟანი, კარაქი, თხელი
ლავაშის პური, ლელვი, ტკბილეული,
თხილეული. მივხვდი, რომ ღამის გატა-
რება აქ მომინევდა. უცებ დედაჩემი გა-
მახსენდა, ვფიქრობდი, როგორ დავკავ-
შირებოდი, რომ არ ენერვიულა, რადგან
შინ დილამდე ვერ დავბრუნდებოდი. ვი-
კითხე, სოფელში თუ იყო ტელეფონი.
თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ
ამით ხალხს შევაწუხებდი. როცა გაი-
გეს, რისთვისაც მინდოდა ტელეფონი,
ახალგაზრდები წამოხტნენ. სამნი იყ-
ვნენ. სახლის ნომერი მკითხეს, გავიდ-
ნენ და მხოლოდ ორი საათის შემდეგ შე-
წუხებულები უკან დაბრუნდნენ – თურ-
მე ტელეფონის ხაზი გაფუჭებული ყო-
ფილა. მერე გავიგე, რომ უახლოესი სა-
ტელეფონო სადგური სოფლიდან ოთხი
კილომეტრით იყო დაშორებული. ეს
რომ მცოდნოდა, ხმას როგორ ამოვი-
ლებდი. ძალიან შევწუხდი, მეგობარო.
იმ ბიჭებისა მომერიდა, რომლებმაც თა-
ვიანთ თავზე აიღეს ჩემი სურვილის
შესრულება ამ ამინდში, ამ ღამით და
ვისი გულისთვის?! – სრულიად უცხო
ადამიანისთვის, რომელიც ადრე თვა-
ლითაც არ ენახათ. რწმენა დამიბრუნ-
და, რომ ამქვეყნად კიდევ არსებობენ
სულგრძელი ადამიანები. მოკლედ, ძა-
ლიან გამიმართლა.

მეორე დილით გამოიდარა. ჩემს მას-
პინძელს დავემშვიდობე და მადლობის
ნიშნად გარკვეული თანხის მიცემა გა-
დავწყვიტე, მაგრამ მან ხელი მხარზე

დამადო და თავაზიანად მითხრა: „გრცხვენოდეს!“ ამ ერთმა სიტყვამ თავმოყვარეობა შემიღახა, მაგრამ გულს მალამოდ მოედო. სოფლის მამა-სახლისმა მანქანამდე მიმაცილა, სხვებიც თან გამოგვყვნენ და მანქანა ტალა-ხიდან გამოიყვანეს. უკან არ გაპრუნდნენ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ სამ-შვიდობოს ვიყავი. აბა, დაფიქრდი ამა-ზე!

— აი, ასეთი ამბავი შემემთხვა ერ-თხელ ლიპანში, ალ-ბაკა'ის რეგიონის ერთ-ერთ პატარა სოფელში, — თქვა ჩემმა მეგობარმა, სიგარეტს მოუკიდა და საუბარი განაგრძო:

— ახლა პარიზზე მოგიყვები. სორ-ბონში ვსწავლობდი, ბოლო კურსზე ვი-ყავი და სადოქტორო დისერტაციას ვამზადებდი. საცხოვრებლად ერთი პა-ტარა სასტუმრო შევარჩიე. მასში სი-სუფთავე, კარგი მომსახურება და სამ-ზარეულო მომენტი, მაგრამ ყველაზე მეტად ოჯახურმა გარემომ მომხიბლა. მართლაც, ორი თვის შემდეგ თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახ-ლში, თითქოს სასტუმროს მფლობელი ოჯახის ერთ-ერთ წევრი ვყოფილიყავი. იშვიათად გავიდოდა კვირა, რომ ოჯახ-ში დიდებისა და პატარებისთვის საჩუქ-რები არ მიმეტანა, მომსახურე პერსო-ნალისთვისაც ხელგაშლილი ვიყავი, სა-ჭირო იყო თუ არა, მათ ყოველთვის ფულს ვჩუქნიდი. დღესასწაულებზე კი იმაზე ბევრად მეტს ვაძლევდი, ვიდრე მოელოდნენ. თავს არ ვიქებ, მაგრამ შენ ხომ იცი ჩემი კეთილგანწყობა ნებისმი-ერი მსახურისა თუ მუშის მიმართ; ისიც იცი, როგორ მანებივრებდა მამაჩემი ფულით. რა ვქნა, მიყვარს ფულის ხარ-ჯვა იმაზე, რაც მატერიალურზე მეტად სულიერ სიამოვნებას მანიჭებს.

მახსოვს, ერთხელ სასტუმროს მე-

პატრონეს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მქონდა, გარკვეული თანხა დასჭირდა ვალის დასაფარად და ჩემგან ისესხა. როცა უკან დამიბრუნა, ნასესხები თანხის გარდა სარგებლის მოცემაც უნდოდა, მაგრამ მე არ გამო-ვართვი. სასიამოვნოდ გაოგნებული დარჩა და აღარ იცოდა, მადლობა რით გადაეხადა.

ერთმა წელმა მშვიდობიანად გან-ვლო. ავიღე დიპლომი, ჩემოდნები ჩავა-ლაგე და სამშობლოში დასაბრუნებლად მოვემზადე. მეშინოდა, რომ დამშვიდო-ბების დროს ტირილისგან თავს ვერ შე-ვიკავებდი, — ვერც მე და ვერც — ისინი. ყველა ანგარიში გავასწორე. რაც გადა-სახდელი მქონდა, გადავიხადე. მომსა-ხურე პერსონალიც დავასაჩუქრე, რო-მელიც მადლობის ნიშნად მლოცვადა, არც მზარეული დამვიწყებია, პატარებს კი სამახსოვრო საჩუქრები დავურიგე. დადგა გამგზავრების დრო. მსახურებმა ჩემი ჩემოდნები იმ მანქანამდე მიიტა-ნეს, რომელიც სასტუმროს ნინ მელო-დებოდა. დამშვიდობების მომენტი ამა-ღელვებელი იყო, თუმცა ცრემლების გარეშე ჩაიარა. მძღოლმა მანქანა და-ქოქა და ის იყო, უნდა დაძრულიყო, რომ უცებ გავიგონე, სასტუმროს მფლობე-ლი როგორ მეძახდა ხმამაღლა: „მოიცა, მოიცა!“ მომიახლოვდა, ხელში ქა-ღალდს აფრიალებდა და მებოდიშებო-და: „მაპატიე, ერთი კოლოფი ასანთი დაგრჩა!“

ვიფიქრე, ასანთის კოლოფი სასტუმ-როში დამრჩენია, ეს კი ისეთი სუფთა სინდისის კაცია, რომ სხვისი ასეთი უმ-ნიშვნელო ნივთიც კი ვერ დაიტოვა და მიბრუნებს-მეთქი. გული ამიჩუყდა, გა-მეცინა და ვუთხარი:

— ნუ დარდობ, მეგობარო, ჩვენს ურ-თიერთობას ერთ კოლოფ ასანთზე რო-გორ გავცვლი! შენთვის დაიტოვე ჩემ-

გან სამახსოვროდ. – მაგრამ მას არ გაუცინია, კვლავ ფურცელი გამომიწოდა და სრული სერიოზულობით, თავაზიანად მითხრა:

– იმას ვგულისხმობ, რომ ანგარიშში გამომრჩენია ის ასანთის კოლოფი, დილით რომ აიღე. ხომ არ გადაიხდიდი?! –

... ფული გავუწოდე და მძლოლს გავძახე:
– იჩქარე!

ჩემი მოსაუბრე აქ გაჩერდა და ცოტა ხნის შემდეგ მომიბრუნდა:

– როგორც თავიდან გითხარი, ჩემო მეგობარო, ამ ორი შემთხვევიდან დასკვნების გამოტანა შენთვის მომინდვია.

მისი ახალი წელი

სოფელი იარბუბი ბევრი რამით არის ცნობილი. აქ ყველა, ვინც ზეპირად იცის დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „და ღვინომ ახარებს გულსა კაცისასა“, აუცილებლად მოგიყვებათ სოფლის ხარისხიან ღვინოსა და არაყზე. აბრეშუმის ქარხნის მეპატრონები მთელს ლიბანში აქაური აბრეშუმის ჭიის პარკს შეგიქებენ, რომლის წარმოებითაც დაკავებულია სოფლის მოსახლეობა. თუ გლეხს კარგი მეწველი ძროხის ან ძლიერი ხარის ყიდვა სურს, უეჭველად იარბუბის გზას დაადგება, რადგან დარწმუნებულია, რომ, რაც გულით უნდა, სწორედ აქ იპოვის. ახალგაზრდა კაციც ამ სოფლის გზას ირჩევს მას შემდეგ, რაც მოფიწულობის ასაკს მიაღწევს და მიხვდება, რომ ამქვეყნად ცხოვრების სიამტკბილობანი უცოლო ადამიანისთვის მიუწვდომელია და გადაწყვეტს, დარჩენილი წლები ევას შთამომავალთაგან ერთ-ერთს დაუკავშიროს. ის ალიონზე დგება, სანამ ყველას სძინავს და ცისკრის ვარსკვლავის თანხლებით მიდის სოფელში, იქ ატარებს ერთ ღამეს ან დღეს და იშვიათად ბრუნდება შინ ისე, რომ გულისსწორი არ იპოვოს, რომელიც მალე მისი მსახური

გახდება.

მაგრამ განა მარტო ღვინომ, არაყმა, აბრეშუმის ჭიებმა, ძროხებმა და პატარძლებმა გაუთქვეს სახელი ამ სოფლს?! მისი მთავარი ძალა და ღირსება გახლავთ შეიხი¹ ბუტრუს ან-ნაკუსი, იგივე შეიხი აბუ ნასიფი, როგორც მას სოფლელები, მეზობლები და ჩინოვნიკები ეძახიან.

აბუ ნასიფმა შეიხის წოდება ბაბუის შემდეგ მამისგან მემკვიდრეობით მიიღო. სოფლის სხვა შეიხები, რომლებიც კარგად იცნობდნენ აბუ ნასიფის მამას, ერთხმად აღიარებდნენ, რომ შვილი ბევრ რამები სჯობდა განსვენებულ მშობელს. ჯერ ერთი, აბუ ნასიფს წერა-კითხვა შეეძლო, მამამისი კი წერის ნაცვლად ნეკა თითს სამელნები ჩააწობდა, მასზე წამოცმული ბეჭედი მელნით რომ დაესველებინა, ფურცელს ენით ალოკავდა, ბეჭედს სულს შეუბერავდა და თითს ფრთხილად ქალალდზე დაიტანდა, ფურცელზე კი გამოჩნდებოდა ლამაზი სპარსული კალიგრაფით დაწერილი სიტყვები: „ელია ბუტრუს ან-ნაკუსი, სოფელ იარბუბის შეიხი“. ბევრს ის უკვირდა, როგორ დაატია ოსტატმა ამხელა წარწერა ერთ ჩვეულებრივ პანა-

¹ შეიხი აქ სოფლის მამასახლისის მნიშვნელობით არის წახმარი.

წინა ბეჭედზე, მაგრამ ეს საქმე ერთ-ერთია იმ ღირსებათაგან, რითაც განსვენებული რწმუნდებოდა, რომ გარშემომყოფებზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ადამიანი იყო.

მეორეც, – განსვენებულ შეიხს მთელი ცხოვრება იატაკზე ეძინა და საჭმელს ჩალის მოწნული სინიდან ჭამდა ხის კოვზით ან ხელით, აბუ ნასიფმა კი საწოლი შეიძინა კოლოსგან დამცავი ბადითურთ, მაგიდა, სკამი და სხვა ნივთებიც იყიდა. თუ მას ვინმე პატივსაცემი ადამიანი სტუმრობდა, ყუთებიდან კოვზებსა და დანა-ჩანგალს ამოალაგებდა ხოლმე. თუმცა, ვინც აბუ ნასიფს კარგად იცნობდა, იმასაც ამბობდა, რომ შვილი ხშირად მამასავით იქცეოდა, დანა-ჩანგალს განზე გადადებდა და საჭმელს საკუთარი თითებით მიირთმევდა სტუმრების წინაშე. აბუ ნასიფსაც მამამისივით იატაკზე წოლა ერჩია.

მესამე, – განსვენებულს მთელი ცხოვრება თავზე ძველებური ტარბუში¹ ეხურა გარედან შემოხვეული ლურჯი ჩალმით, ჩითის შეღებილი ფართო შარვალი ეცვა და ზედ ქამარი ეკეთა, რომელსაც ბალიშის ქვეშ ამოიდებდა ხოლმე, სანამ თავს ძილის ღმერთს მიაბარებდა. ზოგი იმასაც ამბობს, რომ, როცა შეიხი გარდაიცვალა, ქამარი თავქვეშ ედოო. აბუ ნასიფი კი ძვირფასი ტარბუშით დადიოდა, აბრეშუმისქამრიანი გრძელი ხალათი და მოდური ყელიანი ფეხსაცმელები ეცვა. დიდ დღესასწაულებზე ან ისეთი პატივცემული სტუმრების მიღების დროს, როგორებიც იყვნენ ოლქის მმართველი, არქიეპისკოპოსი და სხვა გავლენიანი პირები,

აბუ ნასიფს გაპიწკინებულ პერანგსა და ევროპულ კოსტიუმში გამოწყობილს ნახავდით, ტარბუშს კი ისე კოხტად მოირგებდა, რომ შუბლზე ცალ მხარეს ქუდი მარჯვენა წარბს ეხებოდა. ერთმა ადამიანმა, ვინც აბუ ნასიფს კარგად იცნობდა, მიამბო, რომ ერთხელ ოლქის მმართველთან შეხვედრის დროს აბუ ნასიფს მკერდზე ოქროს საათი ჩამოეკიდებინა. როცა მისმა უდიდებულესობამ საათი ჰქონდა, შეიხს ენა დაება, ფერი ეცვალა და ძლივსლა ამოღერლა, რომ საათი გაჩერებული იყო. მას მერე არავის უნახავს აბუ ნასიფის მკერდზე დაკიდებული საათის ძეწკვი.

კიდევ არის სხვა ბევრი რამ, რითაც აბუ ნასიფი განსვენებულ მამამისს სჯობდა. ამაზე ყველა მოგიყვებათ იარბუბსა და მის შემოგარენში. მაგალითად, თუ იკითხავთ, გეტყვიან, რომ აბუ ნასიფს სოფლის საბჭოებზე დიდ პატივს სცემენ, მისი ეშინიათ კიდეც, შეიხის სიტყვას სასამართლოზეც თავისი წონა აქვს. ასეთი პატივი კი მამამისს არ ღირსებია. როცა სოფელს უჭირს ან გამოუვალ მდგომარეობაშია, აბუ ნასიფის ხელი სწრაფად აგვარებს და ალაგებს ყველაფერს.

კიდევ არსებობდა ერთი უპირატესობა, რითაც აბუ ნასიფი მთელ სოფელზე მაღლა იდგა: აი, როცა დაიწყებდნენ იმ სახლების ჩამოთვლას, საიდანაც ოჯახის წევრები ამერიკაში გადასახლდნენ და შეიხის სახლს მიადგებოდნენ, იქვე ჩერდებოდნენ, რადგან ეს იყო ერთადერთი სახლი იარბუბში, რომელსაც ჯერ ხარკი არ გაეღო კოლუმბისთვის.²

¹ ტარბუში – ფესი, წაკვეთილი კონუსის ფუნჯიანი ქუდი, გავრცელებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში.

² მეოცე საუკუნის დასაწყისში ლიბანის მოსახლეობის მეოთხედზე მეტი ემიგრაციაში ცხოვრობდა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ათასობით ლიბანელი იძულებული გახდა, მდიდარი ქვეყნებისთვის მიეშურებინა სამუშაოდ და იქიდან ფული

ბავშვები, ახალგაზრდები და მოხუცები – ყველანი დიდ პატივს სცემდნენ აბუ ნასიფს, მაგრამ სოფლის ზოგიერთი ჭორიკანა ქალი ფარული შეხვედრების დროს ხშირად საუბრობდა შეიხზე არა ქებით, არამედ – შურითა და ბოლმით. ერთმანეთს სხვადასხვა ამბავს უზიარებდნენ: თითქოს შეიხის სახლიდან ხანდახან ყვირილის ხმა გამოდიოდა, ან როგორ დაენახათ შეიხის ცოლი შესიებული თავით, დალურჯებული სახითა და მტირალი თვალებით. ერთი ქალი, სახელად ბარბარა, ჩასჩურჩულებდა ხოლმე თავის მეგობარ ქალებს, რომ ერთხელ, როცა შეიხს ერთი სათლი რძე მიუტანა, დაინახა, როგორ ახრჩობდა თავის ცოლს აბუ ნასიფი, ამ უკანასკნელს თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა და ულვაშები უცახცახებდა. შეიხის ცოლი კი მიწაზე ეგდო და სახე თმებით ჰქონდა დაფარული. ეს ბარბარა შეიხზე ბევრ ამბავს ყვებოდა ხოლმე. მაგალითად, როგორ დაინახა ერთ დღეს აბუ ნასიფის ცოლი ცხენებთან და ძროხებთან ერთად თავლაში გამოკეტილი, შიმშილისგან ღონემიხდილი, და მას ერთი პურის კვერი მიუტანა. ან კიდევ, როგორ მოუხმობდა და ნატრობდა შეიხი ცოლისთვის სიკვდილს და ა.შ. ქალების ფანტაზიას ხომ საზღვარი არა აქვს!

სოფელში ყველამ იცოდა, რომ შეიხს ჰყავდა შვიდი გოგო და არ სიამოვნებდა, როცა ვინმე მათ ახსენებდა. აბუ ნასიფი ყოველთვის ცვლიდა საუბრის თემას, თუ ცოლზე ჰკითხავდნენ რამეს. შეიხი ჩუმად ჩაქინდრავდა ხოლმე თავს, როცა რომელიმე ქალის ხელში პატარა ბიჭს დაინახავდა. ყელში ყოველთვის ბურთი ეჩხირებოდა, როცა ვინმე ეტყო-

და: „მალე ვაჟი მოგველოცოსო!“ აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ თავისი ვაზის ნახევარს წმინდა ელია წინასწარმეტყველს შესწირავდა, თუ ბიჭი დაიბადებოდა. შეიხის ცოლი კი კვლავ ორსულად იყო და მალე უნდა გაეჩინა მის-თვის შვილი.

იდგა 1908 წელი. წინა წლის მსგავსად, სოფელ იარბუბის ხეობებში ქარი ზუზუნებდა. ახლაც ძველ წელს ქარიშხალი აცილებდა, ბნელ სუდარაში ახვევდა, ცა კი მისი საფლავის თავზე თეთრ ხალიჩას აგებდა, რათა შეგებებოდა ახალ 1909 წელს.

სოფელში სახლების ფანჯრებიდან და კარების ჭუჭრუტანებიდან შუქი ციმციმებდა. ახალგაზრდა ბიჭები და გოგონები სამკითხაოდ შეკრებილიყვნენ, ზოგი კაკლებით მკითხაობდა, ზოგი – ნუშით, ზოგი კიდევ – მონეტებით. დროდადრო სიცილ-კისკისის ხმა ისმოდა, რომელსაც ქარი იტაცებდა და ხეობაში ფანტავდა. ღამემ რომ დაისადგურა, ფანჯრებში სინათლე ერთიმეორის მიყოლებით ჩაქრა, თითქოს ძველი წლის სულს არ სურდა, სოფელში ვინმეს დასანახად გარდასახულიყო ახალ წელინადად და ვინმეს გასაგონად ეცნობებინა დამდეგი წლისთვის თავისი ანდერძი. ძველი წელი ჯერ ბოლომდე არ მიღეულიყო და მარადისობის ახალ სამოსში არ გახვეულიყო, რომ მთელი სოფელი – პატარები, ახალგაზრდები, მოხუცები და ძალლებიც კი ღრმა ძილს მიეცნენ. ძილი წებისა, ჩემო ძვირფასო იარბუბო!..

ერთი-ერთი სახლიდან ჯერ კიდევ მოჩანდა მკრთალი შუქი, რომელიც თითქოს სიკვდილს ებრძვისო, ხან აბრი-

იძულებული გახდა, მდიდარი ქვეყნებისთვის მიეშურებინა სამუშაოდ და იქიდან ფული ოჯახებისთვის გამოეგზავნა. ემიგრაციის განსაკუთრებულად მრავალრიცხოვანი ტალღა ამერიკას მიაწყდა. ლამის ოჯახი აღარ დარჩა ლიბანში, საიდანაც ამერიკაში ემიგრანტად არ იყო წასული ვინმე.

ალდებოდა და ხანაც ჩაქრებოდა. ნუთუ ეს ქარის ზუზუნი იყო, ამ სახლის ფანჯრებში რომ წიოდა და გარეთ გაბმული, ტანჯული ხმით გამოდიოდა?! ან იქნებ ძალლის ყეფა იყო, ქარი თავის ტალღებში რომ ათამაშებდა და კივილს ამსგავსებდა?! თუ ადამიანის ხმა იყო, რომელ-საც ძლიერი ტკივილი ტანჯავდა?!..

ქარი უბერავდა, ცა ტიროდა და ამ ხმაურში დროდადრო წყვეტილად ისევ კივილის ხმა ისმოდა იმ ერთადერთი სახლის ფანჯრებიდან, რომელშიც სინათლე ენთო. ეს ხომ ადამიანის მავედრებელი ხმა იყო! – „ო, ღმერთო!.. ო, ღვთისმშობელო!.. ო, წმინდაო ელია!..“

სახლი შეიხ აბუ ნასიფს ეკუთვნოდა, ხოლო შველას მისი ცოლი ითხოვდა, რომელიც მალე ან ბიჭს გააჩენდა, ან – გოგოს. მშობიარე ქალთან მხოლოდ ბებიაქალი იყო, სამოცდაათ წელს მიტანებული მოხუცებული, რომელმაც თავისი საქმე, ჩანს, კარგად იცოდა და ასეთ სცენებსაც მიჩვეული იყო. დროს ვერაფერი დაეკლო მოხუცი ქალის ლამაზი სახისთვის, მხოლოდ რამდენიმე ნაოჭი გაეჩინა, რომელიც, მისი ემოციური მდგომარეობის შესაბამისად, ხან სწორდებოდა და ხანაც, პირიქით, ღრმავდებოდა. ახლა მოხუცებული, უეჭველად, დიდ განცდებში უნდა ყოფილიყო, რადგან ნაოჭები კიდევ მეტად ჩაღრმავებოდა. ბებიაქალი ხვდებოდა, რომ ახალი წლის დადგომასთან ერთად შეიხს თუ მისი ხელიდან ვაჟის დაბადებას ახარებდა, ამ სახლიდან, ალბათ, სულ მცირე, ინგლისური ოქროს, კაბისა და ახალი ფეხსაცმელების გარეშე არ წავიდოდა. რა ხანია, ამ შანსს ელოდებოდა და ვინ იცის, იქნებ წმინდა ელიასა და წმინდა გიორგისთვის იმაზე მეტადაც კი უთხო-

ვია ამ დღის დადგომა, ვიდრე შეიხსა და მის ცოლს ერთად. ახლა უმალ სიკვდილი ერჩივნა, ვიდრე აბუ ნასიფისთვის კიდევ ერთი გოგონას დაბადების მერვედ შეტყობინება და იმის დანახვა, როგორ მოეღუშებოდა შეიხს სახე, გაცოფდებოდა და სიმწრით ძირს დაეცემოდა. თავად ასეთი ამბის მახარობელს ხომ მხოლოდ ერთი-ორი გროში შეხვდებოდა და მეტი არაფერი! არა, ამას სიკვდილი უჯობდა!

შეიხი აბუ ნასიფი მეზობელ ოთახში იყო, დიდი ნაბიჯებით ბოლთას სცემდა. ფიქრისგან დამძიმებული თავი ძირს ჩაექინდრა. ელანდებოდა, რომ მოჩვენებებით აივსო მთელი ოთახი და სამოძრაო ადგილი აღარ დარჩა. ყურებში ხმები ჩაესმოდა, აჩრდილები მის თვალწინრბოდნენ, თავი უდუღდა და მკერდი უხურდა. ნეტავ რას მოასწავებდა ეს გადარეული ქარი, რომელიც გაუჩერებლად წიოდა, სახლის გარშემო დაზუზუნებდა, როკავდა, მასთან ერთად კი კარფანჯარაც რახუნობდა. რას ითხოვდა ქარი შეიხისგან, ან ვინ უნდა ეხარებინა, ბიჭი თუ გოგო?!

აჩრდილები ისე ტრიალებდნენ აბუ ნასიფის გარშემო, როგორც ქორწილის მოცეკვავე ან დაკრძალვის მოტირალი ქალები. შეიხს ყველა გზა გადაღობილი ჰქონდა, ფეხები შეებოჭა, ოთახის შუაგულში იდგა, ვითარცა კერპი, რომლის გარშემოც ათასობით მისი თაყვანისმცემელი შემოკრებილიყო, ზღვის ტალღებივით შექუჩებულიყვნენ და ვულკანებივით იფრქვეოდნენ. ეს ტალღები ყველა მხრიდან შეიხისკენ მიიწვედნენ. აი, მის გულიც წალეკეს, იგრძნო, სანინის მთა¹ თავისი მწვერვალებითა და ბორცვებით როგორ დაეშვა მასზე,

¹ სანინის მთა – ლიბანის მთაგრეხილის შემადგენელი ნაწილი, გამორჩეული სილამაზის მთა, რომელიც მაჰჟარის მწერლებს ხშირად აქვთ აღნერილი.

ყელში სწვდა, მთელი ძალით დააწვა და ჩასჩურჩულა: „გოგონა!“

შეიხს სული შეეხუთა, თავი დაუმ-ძიმდა, თვალთ დაუბნელდა, იგრძნო, იძირებოდა: „ო, იესო ქრისტე!“

აბუ ნასიფი მუხლებზე დაეცა, ხელე-ბი და თვალები კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მიაპყრო, რომელზეც ჯვარ-ცმული იესო იყო გამოსახული. ტალღე-ბი დაწყნარდნენ. სანინის მთაც თავის ადგილს დაუბრუნდა. მოცეკვავე და მო-ტირალი ქალები გაჩერდნენ. ქარიშხალი ჩაცხრა. მოჩვენებები და აჩრდილები მი-იმალნენ. ახლა აბუ ნასიფი მარტოა ოთახში, თვალს არ აშორებს ჯვარცმულ იესოსა და მის გვერდით მყოფ ავაზა-კებს. ავაზაკებიც გაქრნენ და აბუ ნასი-ფი მხოლოდ ჯვარცმულს ხედავდა, რო-მელსაც გვერდიდან და ჯვარზე მიჭედე-ბული ხელ-ფეხიდან სისხლი სდიოდა. აბუ ნასიფის თვალებში ხაზები და ფე-რები ერთმანეთში არეულიყვნენ. შეიხი ველარ ხედავდა ჯვარცმულის თავს ეკ-ლიანი გვირგვინის ქვეშ, ვერც მის ხე-ლებს, ვერც ფეხებს და ველარც ჯვარს, მხოლოდ გვერდიდან გამოსულ სისხლის წვეთს უყურებდა. მთელი სურათი მის თვალში სისხლის გუბედ გადაიქცა. გუბე ალივლივდა, სისხლიდან დაიწყო გამო-ჩენა პატარა ბუსუსებიანმა თავმა, ხე-ლებმა, მკერდმა, მუცელმა, ფეხებმა. სუ-რათი ირხეოდა და ტრიალებდა. ის არ გამოსახავდა სამ ჯვარცმულს, არამედ – პატარა ბიჭუნას. ბავშვი თავის პატარა ხელებს აბუ ნასიფისკენ იშვერდა. აი, ის კედლიდან გადმოვიდა და მისკენ გაე-მართა. ახლა ის ბავშვი კი აღარ იყო, არამედ – მოწიფული ვაჟკაცი. აბუ ნასი-

ფი ბიჭს იხუტებდა, გულში იკრავდა და ისე კოცნიდა, რომ ასე მხურვალედ ადა-მიანს ადამიანისთვის ჯერ არ უკოცნია. დიახ, ეს ბიჭი ნასიფი¹ იყო. ის იყო შეიხის პირველი და უკანასკნელი იმედი, მისი ცხოვრების ოცნება, სიბერის ნუგეში, მემკვიდრე, მისი პატივცემული გვარის გამგრძელებელი. დიახ, ნაკუსების გვა-რი ამქვეყნად არ გადაშენდებოდა და შე-იხის ბეჭედი არ ჩავარდებოდა უცხო ადამიანის ხელში. სოფელ იარბუბის მო-ნახულების დროს არქიეპისკოპოსი მხო-ლოდ ნაკუსების სახლში დაივანებდა, შე-იხის მეზობელი ელია ალ-ხანდაკუკი აღარ დაიკვეხიდა მისი თანდასწრებით – მე ხუთი ვაჟი მყავსო.

და უმ ნასიფი!.. ოჰ, როგორ პატივში ეყოლებოდა შეიხს, ყოველ დილა-საღა-მოს ფეხებს დაუკოცნიდა, დღეში ათას-ჯერ მაინც სთხოვდა პატიებას ძველი შეცდომებისთვის! ნასიფის სიცოცხლეს ეფიცებოდა, რომ თითს აღარ დააკა-რებდა, თუნდაც გაბრაზებული ყოფი-ლიყო. თვალისჩინივით გაუფრთხილდე-ბოდა, მსახურად დაუდგებოდა და მის-თვის საკუთარ გულსაც კი გაიღებდა, სოფლის ნამდვილ დედოფლად აქცევ-და.

დღეს ახალი წელია. უთენია ახალი ამბავი გავარდება სოფელში, რომ შეიხს ბიჭი ეყოლაო. მთელი სოფელი მოხუცე-ბიან-ბავშვებიანად აბუ ნასიფთან მოყ-რის თავს, რომ მისი სიხარული გაიზია-როს. დაე, მოვიდნენ! აბუ ნასიფი ღვი-ნის მდინარეებს დააყენებს, საკლავებს არ დაიშურებს მთელი კვირა ან მთელი თვე!..

და თუ გოგო დაიბადება?...

¹ აბუ ნასიფი ითარგმნება როგორც ნასიფის მამა. საკუთარი სახელი არაბულში რამდენიმე ელე-მენტს შეიძლება შეიცავდეს, მათ შორის, მამობის ან დედობის აღმნიშვნელ სახელს, იგივე ქუ-ნიას. არაბულ აღმოსავლეთში იმდენად ძლიერი იყო ბიჭის ყოლის სურვილი, რომ ბავშვს დაბა-დებამდე არქმევდნენ სახელს და მას მშობლების სახელების შემადგენელ ნაწილად აქცევდნენ. მაგალითად, აბუ ნასიფი (ნასიფის მამა), უმ ნასიფი (ნასიფის დედა).

ამ ფიქრმა შავი ღრუბელივით გაიარა ოთახში, აბუ ნასიფი აცახცახდა და თვალთ დაუბნელდა.

— წმინდაო ელია!..

შეიხს გული გაუნათდა და შავი ღრუბელი გაიფანტა, როცა ნასიფი კვლავ თავის წინ დაინახა. არა, არა, წმინდა ელია ამჯერად შეისმენს მისი ტანჯული გულის ძახილს! აბუ ნასიფი ელია წინასწარმეტყველს ყველაზე დიდ წმინდანად მიიჩნევდა, მისი ხსენების გარეშე შეიხი არ დაიფიცებდა, მხოლოდ ელიას სახელობის ტაძარში ლოცულობდა. ყოველ კვირადღეს და დღესასწაულზე ელიას სახელზე სწირავდა ფულს და წმინდანისთვის განკუთვნილ სინზე ტოვებდა ხურდებს. წმინდა ელიას აბუ ნასიფმა ვერცხლის შანდალი და მოძროვილი ხატი შესწირა.

დიახაც, წმინდა ელიამ იცის, რომ ამ სოფლის კაცებიდან ყველაზე მეტად აბუ ნასიფი იმსახურებს ვაჟს!.. და ამ ყველაფრის გარდა, შეიხი მზად არის, ელიას შესწიროს თავისი ვენახის ნახევარი, თუ ის მის თხოვნას შეისმენს. წმინდა ელია დააჯილდოებს შეიხს ყველაფრისთვის!..

— ო, ღვთის...მშობე...ლო!..

აბუ ნასიფი კვლავ აცახცახდა, გულში სიცარიელემ დაისადგურა და თვალებში – სიბნელემ. ნასიფი აღარ ჩანდა, მისი ადგილი სატანურმა სურათმა დაიკავა – პატარა გოგონა აკვანში ირწეოდა. კედელზე ჩამოკიდებულმა სურათმა, რომელზეც ქალს ხელში ბავშვი უჭირავს, რხევა დაიწყო. და აი, ქალი თავისი ბავშვით იატაკზე გადმოვიდა. ქალი შეიხს ალერსიანად უყურებდა და უახლოვდებოდა, მისი ტუჩები ამოძრავდა, თითქოს რაღაცის თქმას ლამობდა. ხელში რომ ბავშვი ეჭირა, ბიჭი არ იყო, გოგო იყო. რა უნდოდა ამ ქალს შეიხისგან, ან რის თქმას ცდილობდა? აბუ ნასიფი გაბ-

რაზდა, ხელი მაღლა ასწია, ქალისთვის რომ დაერტყა. ქალი უღიმოდა და მისი ღიმილი აბუ ნასიფს კიდევ უფრო აცეცხლებდა. შეიხმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რომ ქალის ცემისგან თავი შეეკავებინა და უყვირა:

— ილაპარაკე!.. თქვი!..

— გოგო! გოგო!.. გოგო!..

უცებ მთელი ოთახი ამ სიტყვით აივსო. შეიხს მთელ ტანზე ნემსებივით ესობოდა მისი გაგონება.

— გაეთრიე, მოღალატევ! ბიჭია, ბიჭი, ბიჭი!.. — აბუ ნასიფი ნაკბენივით ფეხზე წამოვარდა, კედელზე ჩამოკიდებულ ქალის სურათს ეცა, ნაფლეთებად აქცია, ძირს დაყარა, ზედ ფეხით შესდგა და გამწარებული იმეორებდა: ბიჭია, ბიჭი, ბიჭი!..

აბუ ნასიფმა ოთახში უფრო ფართო ნაბიჯებით იწყო წინ და უკან სიარული, მისი თავი სანინის მთაზე მეტად დამძიმებულიყო. ქარი სახლის გარშემო ისევ აზუზუნდა, თითქოს შეიხის ნაბიჯებს დაჰჰყვებოდა და მის იმედებს დასტიროდა: გოგო! გოგო!.. გოგო!..

— ვაააა, ვაააა, ვაააა....

აბუ ნასიფს გული შეეკუმშა, ერთ ადგილას გაიყინა. შეიშალა, სიარული უნდოდა, მაგრამ ფეხები მოეკეცა, პირჯვრის გადასაწერად ხელი მოეკვეთა.

ბიჭია თუ გოგო?! — დაელოდოს ბებიაქალის მოსვლას, რომელიც ახარებს ნასიფის დაბადებას, თუ თავად წავიდეს და შეეგებოს თავის მემკვიდრესა და თვალისჩინს?.. და თუ გოგოა?.. დავახრჩობ!..

— ჯოჯოხეთურმა აზრმა გაუელვა აბუ ნასიფს თავში, ეშმაკისეულმა ძალამ უბიძგა, მეზობელ ოთახში შესულიყო, სადაც მისი ცოლი და ბებიაქალი იყვნენ.

— ვინაა?! — მარტო ამის ამოღერღვა მოახერხა შეიხმა, ენა აღარ ემორჩილებოდა.

დედამ შეწყვიტა კივილი და გაჩუმ-

და, ბებიაქალი გაიტრუნა, ჩვილმაც თითქოს რაღაც იგრძნოო და მხოლოდ ერთხელ წამოიტირა.

— ვინ არის?! — ისევ იკითხა შეიხმა ერთი წუთის შემდეგ, რომელიც მთელ საუკუნედ ეჩვენა. მთელ ოთახში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა, უფრო ღრმამ, ვიდრე საფლავებშია. შეიხი გამძვინვარდა, ბრაზისაგან ლამის საკუთარი ხორცი შეეჭამა...

— გოგოა?! — მისი პირიდან ამ სიტყვის წარმოთქმა სამარისებურ სიჩუმეში მეხის გავარდნას ჰგავდა. ბებიაქალი შიშისგან აცახცახდა, ტუჩები ძლივს აამოძრავა, რამე რომ ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ერთი ბგერის ამოთქმა შეძლო: გ……გ……გ…… — და ხმა გაკმინდა.

აბუ ნასიფს ჯოჯოხეთურმა აზრმა თავში მეორედ გაუელვა. თვალის ერთ დახამხამებაში ბებიაქალს ისე დააცხრა, როგორც არწივი – კურდლელს და ბავშვი ხელიდან გამოსტაცა. შემდეგ კარს მივარდა, გააღო და თავლაში გაიქცა, იქიდან ნიჩაბი აიღო და მაშინვე ეკლესიის უკან მდებარე ფიჭვნარისკენ გაემართა.

ქარი უბერავდა, ციდან თოვლის ფანტელები ცვიოდა, ხეები როკავდნენ, აბუ ნასიფი კი მიწას თხრიდა.


გათენდა. ადამიანები სოფელში ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ: „მრავალს დაესწარით, ბედნიერი წელი

გქონოდეთ!“ ეკლესიის უკან პატარა საფლავს კი ხეები დასტიროდნენ. ქარი მოთქვამდა, ცა გაყინულ ცრემლებს ყრიდა, ხოლო ეკლესიის ზარი საზეიმოდ რეკდა: „მრავალს დაესწარით!“

...თუ სოფელში ბარბარას დაინახავთ, ის აუცილებლად მოგიყვებათ, რომ იარბუბი ცნობილია კარგი ღვინით, არყითა და საქონლით, რომ ამერიკიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ბიჭები, პირველ რიგში, ამ სოფელს სტუმრობენ, რომ შეიხის ბეჭედი კვლავ აბუ ნასიფის ხელშია. სოფელში ამბობენ, რომ საწყალ აბუ ნასიფს მკვდარი ბიჭი შეეძინა და შეიხმა ბავშვი მარტოდმარტომ საკუთარი ხელით დაასაფლავაო. თუმცა ბარბარა ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, რომელიც ბებიაქალმა მხოლოდ მას გაანდო: ბავშვი გოგო ყოფილა, მაგრამ შეიხმა ბებიაქალს ორი ინგლისური ოქრო იმისთვის მისცა, რომ სოფელში ხმა დაეგდო, ვითომ მკვდარი ბიჭი დაიბადა. შეიხი ისე სცემდა თავის ცოლს, საწყალი ქალი ჭკუიდან შეშალა და ახლა სახლში ჰყავდა გამოკეტილი. ამ ამბების შემდეგ აბუ ნასიფს ფეხი არ დაუდგამს წმინდა ელიას ტაძარში. ზოგი იმასაც ამბობს, რომ შეიხმა რელიგია შეიცვალა და სოფელი სამუდამოდ დატოვაო.

დიახ, სოფელი იარბუბი ბევრი რამით არის ცნობილი.

არაბულიდან თარგმნა
ნინო სურმავამ



တော်မြတ် လုပ်ကောင်းမှု

აზიზ ნესინი (1915 – 1995)

თურქული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი აზიზ ნესინი დაიბადა სტამბოლში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია. წერდა მოთხოვდებს, პიესებს, რომანებს, ლექსებს.

აზიზ ნესინმა თურქულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაუყარა სატირულ-იუმორისტულ ჟანრს და პოლიტიკურ სატირას. მისი ნაწარმოებები დაწერილია მსუბუქი იუმორით შეზავებული მარტივი ენით და ხალისით იკითხება.

აზიზ ნესინი ოცზე მეტი საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულია; მისი მოთხოვდები და პიესები თარგმნილია მრავალ ენაზე.

გარდაიცვალა იზმირში.

ეძიმების გამოცდა

მაშინ, როცა ქვეყანა ექიმების ნაკლებობას განიცდის, ევროპასა და ამერიკაში სამუშაოდ დარჩენა სათაკილოდ ითვლება; უცხოეთში დახელოვნებული ჩვენი მედიკოსები სამშობლოში ბრუნდებიან, რათა საკუთარ ხალხს ემსახურონ. ასეთ დროს ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ უცხოეთში დიპლომირებულმა სპეციალისტებმა მუშაობის დაწყებამდე ხელახლა უნდა ჩააბარონ გამოცდა. ახალგაზრდა ექიმი, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, სამშობლოში დაბრუნდა. ის ასაკოვან, გამოცდილ ექიმებს გამოცდას აბარებს:

- აქ რას აპირებთ?
- ექიმობას...
- ეგ თავისთავად ცხადია... კიდევ რა უნდა გააკეთოთ?
- რა ?
- როგორ თუ რა?... მუსიკოსობა, მომღერლობა, მსახიობობა... ვაჭრობა... მწერლობა, პოეტობა... დეპუტატობა, მეპუტატობა... მინისტრობა... პოლიტიკოსობა, მოლიტიკოსა... რა თქმა უნდა, რაღაცას გააკეთებთ...
- არა, მე მხოლოდ ექიმის მოვალეო-

ბას შევასრულებ ...

- ესე იგი, ასისტენტი ექიმი ...
- არა, ბატონო, ჩემი ოჯახი შეძლებული არ არის; ასისტენტის ხელფასით ვერ ვიცხოვრებ, ამბულატორიის გახსნას ვაპირებ...

- ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ... ვთქვათ, გახსენი ამბულატორია; ვიდრე დოცენტი, შემდეგ პროფესორი არ გახდები, პაციენტი როგორ მოვა შენთან? ვინ გამოგიგ ზავნის კლიენტებს?

- ე. ი. ავადმყოფებს?
- დიახ, კლიენტებს...
- იმედია, ავადმყოფები მოვლენ...
- ავადმყოფი თვითონ როგორ მოვა?
- თუ მძიმედ იქნება, ვინმე მოიყვანს...

- კი, მაგრამ იმ ვინმეს რა ჰქვია?
- საიდან უნდა ვიცოდე ჯერ არმოსული ავადმყოფის მომყვანის სახელი?...
- სახელს არ გეკითხები, კლიენტის მომყვანს რას ეძახიან?

- !...
- შუამავალს ეძახიან, შვილო, შუამავალს... სამედიცინო შუამავალს... საა-

ვადმყოფოდან შენს ამბულატორიაში თვითონ ხომ ვერ წაიყვან პაციენტს, ვიღაცამ უნდა გამოგიგზავნოს... თუ შუამავალი არ გამოგიგზავნის, კლიენტი როგორ მოვა?...ეეჲ, გერმანიაში თქვენთვის ბევრი არაფერი უსწავლებიათ... კარგი, აბა, მითხარი, ექიმებს შორის პროფესიული მხარდაჭერა რას ნიშნავს?

– ურთიერთდახმარებას?..

– აგიხსნი. კარგად მომისმინე: ვთქვათ, შენთან მოვიდა პაციენტი, რომელსაც ბუასილი ანუხებს. გასინჯვის შემდეგ სტომატოლოგთან გაუშვებ.

– კი, მაგრამ ბუასილი...

– სტომატოლოგი დერმატოლოგთან გაგზავნის, დერმატოლოგი – რენტგენოლოგთან, რენტგენოლოგი – თვალის ექიმთან... ბოლოს – ნევროპათოლოგთან, რადგან ამასობაში ავადმყოფს აუცილებლად უმტყუნებს ნერვები... სასმელ-საჭმელი თუ აქვს და თავისით მორჩება, ხომ კარგი, თუ არა, მოკვდება და დაისვენებს. გარდაცვლილი სასამართლო-სამედიცინო პერსონალის ხელში აღმოჩნდება...

რას გააკეთებ იმისათვის, რომ პოპულარობა მოიპოვო?

– ავადმყოფების გამოჯანმრთელებაზე ვიზრუნებ; თავს არ დავზოგავ...

– ჰიჲ... გაზეთებში გამოაქვეყნებ განცხადებას: „ყოველი დღის მეორე ნახევარში სოციალურად დაუცველთა სამედიცინო შემოწმება მოხდება უფასოდ“.

ჯერ ყოველდღე მიიღებ ასეთ პაციენტებს; კარგად რომ შეგეჩვევიან, კვირაში მხოლოდ ორჯერ მოემსახურები – ორშაბათს და ხუთშაბათს... შემდეგ – კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ და ბო-

ლოს უფასოდ მომსახურებას შეწყვეტ. სამაგიეროდ, გაზრდი ვიზიტის საფასურს. იტყვიან, ამდენს რომ ითხოვს, ალბათ, კარგი ექიმიაო; შედეგად ვიზიტორთა რიცხვი გაიზრდება. და კიდევ, შენს პაციენტებს გაზეთებში მადლობის წერილებს გამოაქვეყნებინებ... დავუშვათ, შენთან მოვიდა მოქალაქე, რომელსაც დაავადების სიმპტომები არ აღმოაჩნდა; ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცევი?

– ვეტყვი, რომ ჯანმრთელია ...

– ვაჲ, ვაჲ... ექიმს დამიხედეთ! არსებობს აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანი?! სულ რომ არაფერი ანუხებდეს, გაკრული ხელით, ისე, რომ პაციენტმა ვერ ამოიკითხოს, ლათინური სახელწოდებით ცაცხვის რეცეპტს გამოუწერ და აფთიაქში გაგზავნი... რამდენადაც გაურკვევლად დაწერ რეცეპტს, იმდენად გარკვევით უნდა დაწერო ფაქტურა.

გარდა ამისა, გაზეთებში დროდადრო აქვეყნებ სხვადასხვა შინაარსის წერილებს, მაგალითად: „სახლის ქირა“, „ტყის დაცვა“, „მძლოლების მორალი“, „რატომ კარგავს ადამიანი მოთმინებას“ და ასე შემდეგ. ხალხი შენს ყოვლის-მცოდნეობაში დარწმუნდება; ცნობილი გახდები. პოპულარობის წყალობით გეძლევა შანსი, გახდე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი, გუბერნიის მმართველი, დეპუტატი, მინისტრი... ეეჲ, როგორც ჩანს, შენ აქ ექიმად ვერ ივარგებ... უმჯობესია, კვლავ გერმანიაში, ამერიკაში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში წახვიდე... საიდანაც მოხვედი, იქ დაბრუნდი!..

– გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ....

– შენც კარგად იყავი, შვილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

აიშე ქულინი (დაიბ. 1941 წ.)

აიშე ქულინი დაიბადა სტამბოლში. დაამთავრა ქალთა კოლეჯი ლიტერატურის განხრით. ცნობილია, როგორც რომანისტი, ნოველისტი და პუბლიცისტი. მისი ნაწარმოებების საფუძველზე შეიქმნა არაერთი სატელევიზიო თუ სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარი. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა ლიტერატურულ უურნალსა და გაზეთში რედაქტორად. მისი რომანები და ნოველები თარგმნილია მრავალ ენაზე; დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო თურქეთში, არამედ – უცხოეთშიც. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო.

აიშე ქულინის სახელი იმ სამ მწერალს შორის აღმოჩნდა, რომელთა ნაწარმოებებს ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს თურქეთში.

სელემა

კლდესავით მტკიცემ, პრინციპულმა და შეუპოვარმა ანატოლიელმა ქალმა თავისი უმცროსი გოგონა უფროს ძმებს მოსტაცა და მათგან ფარულად სკოლაში შეიყვანა. ქმარი დიდი ხნის წინ გარდაეცვალა; მაშინ სელმა მხოლოდ ორი წლის იყო. დედა ათ შვილს უვლიდა; ზოგს – საკუთარს, ზოგს – გერს. სიცოცხლეში ბავშვების მამა ყასპად მუშაობდა; მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი პენსიით ირჩენდა თავს. დიდი გაჭირვებით, ტანჯვანვალებით დაზარდა ქალმა შვილები.

უფროსი ვაჟები დაქორწინდნენ; ცალკე დასახლდნენ. ექვს შვილზე პასუხისმგებლობა კი კვლავ დედას აწვა მხრებზე. დიდი შრომისა და ჯაფის ფასად უმკლავდებოდა სიღატაკის გამო შექმნილ პრობლემებს.

ერთ მშვენიერ დღეს მრავალშვილიანი ოჯახის დედას სასიხარულო ამბავი აცნობეს: უმცროსმა შვილმა, თერთმეტი წლის სელმამ სტიპენდია მოიპოვა. სკოლის დირექტორი თვითონ მივიდა მათთან სახლში და სელმას დედას საქ-

მის ვითარება გააცნო. შესარჩევი გამოცდის შედეგად სიირთის¹ დაწყებითი სკოლებიდან ხუთი წარჩინებული გოგონა შეირჩა სტამბოლის პროფესიულ-საგანმანათლებლო კოლეჯში გასაგზავნად. ბავშვები კოლეჯში უფასოდ ისწავლიდნენ. გარდა ამისა, უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ კვებით, ტანსაცმლითა და სასკოლო ნივთებით. კონკურსით შერჩეული გოგონები ადაპტაციის მიზნით სწავლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე უნდა წაეყვანათ სტამბოლში. ამ ხნის მანძილზე ბავშვები შეეგუებოდნენ საცხოვრებელ გარემოს, გაიცნობდნენ მასწავლებლებს; ეს მათ უცხოობის დაძლევაში დაეხმარებოდა და სწავლის დაწყებას გაუადვილებდა.

გაგზავნიდა კი დედა პატარა გოგონას სტამბოლის სასწავლებელში?

მას შემდეგ, რაც ქმარი მოუკვდა, სელმას დედას უფროს ვაჟებთან შეთანხმების გარეშე მნიშვნელოვან საქმეზე გადაწყვეტილება არასოდეს მიუღია. დირექტორმა გააფრთხილა, რომ პასუ-

¹ სიირთი – ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიის რეგიონში, თურქეთის ქურთისტანში.

ხი დროულად ეცნობებინათ; თუ ოჯახი გოგონას გაგზავნაზე უარს იტყოდა, მის ნაცვლად სხვა ბავშვს გაუშვებდნენ.

იმ ღამეს სელმამ უცნაური სიზმარი ნახა: ქუჩაში დაკარგულ დედას ეძებდა. ვიღაც უცნობმა დახმარება შესთავაზა; სელმა მას გაჰყვა. უცხო ადგილებში იარეს. ბოლოს კაცმა გალიაში გამოკეტა. გოგონას უნდოდა ეყვირა, შველა ეთხოვა, მაგრამ ძალა არ შესწევდა. მიუხედავად იმისა, რომ შეშინებული იყო, რაღაც შინაგანი ხმა ამშვიდებდა; ეუბნებოდა, რომ დედა აუცილებლად მოვიდოდა და ტყვეობიდან გაათავისუფლებდა. შუალამისას გაეღვიძა; სიმწრის ოფლი ასხამდა; გული ბაგაბუგით უცემდა. იმის შიშით, რომ გამხელის შემთხვევაში სიზმარი ცუდად აუხდებოდა, დედისათვის არაფერი უთქვამს.

სელმას დედამ მეორე დღეს უფროსი ვაჟები დაიბარა; რჩევა ჰქითხა. „სად სტამბოლია, სად სიირთი; პატარა, თერთმეტი წლის ბავშვის უცხო მხარეში გაშვება და უცნობი ხალხის ხელში ჩაგდება ყოვლად დაუშვებელია“, – კატეგორიული უარი განაცხადეს ძმებმა. თანაც, რომ ისწავლოს, რაში გამოადგება, ის ხომ გოგონააო. ვაჟები ირწმუნებოდნენ, რომ გარდაცვლილი მამის სულიც შეწუხდებოდა სელმას შორს, სტამბოლში უპატრონოდ გაგზავნის გამო.

დედას ვაჟების პასუხი არ მოეწონა; ეწყინა მზრუნველ დედინაცვალს გერების სიჯიუტე. მათ ხომ საკუთარი შვილებივით ზრდიდა; სითბოსა და სიყვარულს არ აკლებდა. მათ აზრს ყოველთვის პატივს სცემდა, ანგარიშს უწევდა. მაგრამ ახლა სელმას ბედი წყდებოდა; საქმე გოგონას მომავალს ეხებოდა. ის დედა იყო, დედა შენზე მეტად გაუცილებელი იყო, თავისი შვილის ბედნიერი მომავლისთვის ყველაფერი გაეკეთებინა.

ქალმა მთელი ცხოვრება ტანჯვა-წამებაში გაატარა. საკუთარი თავისთვის

არასოდეს მოუცლია; ოჯახის მძიმე ტვირთი სრულიად ახალგაზრდა ასაკში დაანვა მხრებზე. მრავალსულიანი ოჯახის მოვლამ და მინდორში მუშაობამ, სიღატაკესთან ბრძოლამ დაღალა, წელში გაწყვიტა, უდროოდ მოტეხა ახალგაზრდა ქალი. ახლობლები მის ხელახლა გათხოვებას შეეცადნენ, მაგრამ არ მოინდომა; კარგად იცოდა, რომ ახალი ქმარი ახალ საქმეებს, დამატებით პრობლემებს ნიშნავდა. ისევ გაჭირვებული ცხოვრება ამჯობინა. არ უნდოდა, უმამოდ გაზრდილ სელმასაც მისი ბედი გაეზიარებინა. დედა ვალდებული იყო, თავისი შვილის ბედნიერი მომავლისთვის ყველაფერი გაეკეთებინა.

ვაჟების წასვლის შემდეგ სელმასთან საუბარი გადაწყვიტა;

– სასწავლებლად წასვლა გინდა?

გოგონას თვალები აუცრემლიანდა:

– სწავლა მინდა, დედა. ძალიან გთხოვ, დამეხმარე. სტამბოლში გამიშვი, დედიკო.

– შენ ჩემი ყველაზე პატარა შვილი ხარ, გვერდიდან არ მომშორებიხარ, გაძლებ უჩემოდ?

– გავძლებ, დედა. ყველაფერს გაუძლებ, ოღონდ ვისწავლო... რომ დავამთავრებ, დავბრუნდები. სამსახურს დავიწყებ. მე და შენ ახალ სახლში ვიცხოვრებთ. მხოლოდ მე ვიმუშავებ. შენ საქმეს არ გაგაკეთებინებ. აღარ დაიღლები, შენზე მე ვიზრუნებ. ადამიანურად ვიცხოვრებთ, დედა.

ქალი მძიმე-მძიმედ წამოდგა, გოგონას გადაეხვია:

– მე ვერ ვისწავლე. ცხოვრებაში არაფერი მინახავს, ამ უბანს არ გავცილებივარ. შენ ისწავლე, საკუთარი თავიც გადაარჩინე და მეც. სტამბოლში გაგიშვებ...

– მაგრამ ჩემი ძმები რას იტყვიან?

– შენ ჩემი შვილი ხარ და არა – მათი.

მე თვითონ წაგიყვან სტამბოლში. თუ გაგიჭირდება და უჩემოდ ვერ გაძლებ, უკან დაბრუნდები.

დედა-შვილი ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, სისხამ დილით გა- უდგა გზას. დიდი წვალების შემდეგ სტამბოლში ჩავიდნენ. ქალმა ის ღამე ბალში, ხის სკამზე გაათენა; მეორე დღეს, მასწავლებლებმა მისი ამბავი რომ გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ, საძი-

ნებელში ადგილი გამოუყვეს. სელმას დედა ერთი კვირა დარჩა სტამბოლში. როცა დარწმუნდა, რომ სწორად მოიქცა და შვილი საიმედო ხელში დატოვა, სი- ირთში დაბრუნდა.

დედას სჯერა, რომ სელმა მასავით არ დაიტანჯება; გოგონა ისწავლის, გა- ნათლებას მიიღებს, პროფესიას დაუუფ- ლება და ახალ, ბედნიერ ცხოვრებას და- იწყებს.

თურქულიდან თარგმნა
მერი წიკლაურმა

ერთან დოლანი (დაიბ. 1959 წ.)

დაიბადა მერსინში. ცნობილია, როგორც პოეტი, რომანისტი და ნოველისტი. წარმატებით მოღვაწეობს მუსიკის სფეროშიც; არის გიტარისტი და კომპოზიტორი. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო.

ერთან დოლანის ლექსები დაიბეჭდა 1983 წელს ლიტერატურულ ჟურნალში.

მისი პირველი წიგნი „მეოთხმოცე გვერდი“ გამოიცა 1992 წელს. 2011 წელს გამოაქვეყნა მეორე წიგნი „გილიოტინა“. 1993-2007 წლებში დაწერილ ნოველებს ერთ კრებულში მოუყარა თავი.

მარტობას თხელი, ნათიფი თითები ჰქონდა...

ორმოც წელს გადაცილებულმა ჩვენმა უჩვეულო ურთიერთობამ საკმაოდ ჩამოყალიბებული ფორმა მიიღო.

ქალაქ-ქალაქ დავდიოდით; უკვე დროებითაც აღარ ვშორდებოდით ერთმანეთს.

ერთად ვიყავით ამ ქალაქში.

ახალი ჩამოსულები.

ეს ღრუბელთა ქალაქია.

ხელიხელჩაკიდებულები წვიმაში დავეხეტებოდით... დავსველდით... მთელი არსებით შევიგრძნობდი მის საოცარ სურნელს...

არ ვიცი, რატომ გაგრძელდა ამდენ ხანს მონატრება. შემპირდა, რომ აღარ მიმატოვებდა, თანაც...

აი, ხომ შევხდით ერთმანეთს...

მის უძირო თვალებში მარტობის ღრმა სევდა იკითხებოდა. ვფიქრობ, ჩვენი დროდადრო განშორებით გამოწეული ტკივილი იყო მისი მოწყენის მიზეზი. აღარ იღიმებოდა...

მაინც როგორ დამავიწყდა მისი ექსიანი, შავგვრემანი სახე! ჩემი გამოუსწორებელი სიბრივის გამო, ზოგჯერ წაბლისფერთმიანი მახსენდებოდა (თუ ქერა იყო?).

არ ვიცი, რით დავიმსახურე სამოთხისეული სიამოვნება, რომელსაც მის მხრებზე დაფენილ, წელამდე ჩამოშლილ თმებზე შეხებისას განვიცდიდი.

ზოგჯერ ღმერთებსაც უკვირდათ!

უსასრულოდ გრძელი გზა გამოვიარეთ ერთად...

ვიტრინებში ჩვენს ანარეკლს თვალს რომ მოვკრავდი, მასთან ყოფნით გამოწვეული სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა. მარტობა ერთ წამში ქრებოდა...

უამრავ სურათს ვიღებდით ერთად, მაგრამ ის არ ჩანდა... ვერ ვხვდებოდი, როგორ ახერხებდა, ამაზე არასოდეს საუბრობდა.

მარტობის აჩრდილი ყველას დიდი ტყუილი ეგონა... მე უბრალოდ მარტო არ ვიყავი; მარტობასთან ერთად ვიყავი მარტოდმარტო. ან როგორ მიმატოვებდა?! ჩემი შეყვარება ადვილი არ იყო, მაგრამ, თუ შემიყვარებდა, უჩემოდ ვეღარ გაძლებდა....

* * *

ძალიან ლამაზი ხელები ჰქონდა მარტობას; თხელი, ნაზი... შეუძლებელი იყო, ცდუნებისთვის გაგეძლოთ და

თქვენები გამოწვდილ ამ ხელებზე უარი გეთქვათ... თუ მოახერხებდით და თვალებში ჩახედავდით, მიხვდებოდით, რომ თქვენთვის იყო შექმნილი.

ჩემი მეგონა, მაგრამ ჩემი არასოდეს ყოფილა მარტოობა...

მოულოდნელად გაუჩინარდებოდა; მერე ისევ გამოჩნდებოდა...

ზოგჯერ ჩემს ქალაქში ჩამოდიოდა... მიდიოდა და გარემოს მთელი სილურჯე თან მიჰეონდა...

ქალაქი ჩემთან ერთად უფერულდებოდა, ჩემთან ერთად სველდებოდა.

გრძელი, ლამაზი თმები ჰქონდა მარტოობას...

ყოველთვის გრძელთმიან სატრფოზე ვოცნებოდი... გვერდით რომ მომყვებოდა, მისი შეუდარებელი სილამაზე და ნაზი სურნელი გონებას მიშნევდა...

ზოგჯერ ბარში შევდიოდით... ის არ ჩანდა... ასეთ დროს კარგად ვერთობოდით იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც მარტო ვეგონე.

უცნაური თამაში იცოდა... მოულოდნელად რომელიმე სასტუმროში პაემანს დამინიშნავდა; მთხოვდა, ჩემთვის ცალკე ოთახი დამეკავებინა. ასეც ვიქცეოდი... სულ მინდოდა, მისთვის ყვავილი მიმეტანა, მაგრამ ვერასოდეს ვახერხებდი...

სასტუმროს ბარში ვხვდებოდით ერთმანეთს. ვსაუბრობდით... მერე თავის ოთახში მიხმობდა. საშინლად ვღელავდი ...

ოთახის კარებთან გადავეხვეოდი... ვკოცნიდი... ვკოცნიდი...

ვეალერსებოდი...

თუმცა მთლიანად დაუფლების ნებას არასოდეს მაძლევდა...

ცალმხრივი ალერსი ზოგჯერ თითქოს მბეზრდებოდა კიდეც, მაგრამ მასთან ყოფნა ისეთ სიამოვნებას მანიჭებდა, მზად ვიყავი, უსასრულოდ გამეგ-

რძელებინა ასეთი ცხოვრება.

ვფიქრობ, ჩემთან შეუდლება და მარტოობის გაჩენა არ უნდოდა...

მისი მესმოდა. ვცდილობდი, თავი შემეკავებინა, რათა ჩემი სახიფათო უჯრედები არ გამრავლებულიყო...

საშინელება იქნებოდა მარტოობის გამრავლება...

იყო სასონარკვეთის წუთებიც; ჩემი სხეულის მთელი სიმძიმით მის დაუფლებას რომ ვცდილობდი, წინააღმდეგობას მიწევდა; ხელს მკრავდა... ვერ გეტყვით, რომ არ ვბრაზობდი... მაშინვე თავს ვანებებდი და, გაცოფებული, ჩემს ოთახში გავდიოდი. ნამოქმედარის გამო მრცხვენოდა.

ეს წუთები ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო ჩემთვის... ორმაგად მარტო ვრჩებოდი...

* * *

ყველაზე მეტად მაშინ მენატრებოდა, როცა მასთან განშორებას გადავწყვეტდი...

ბარში ან თავშეყრის სხვა ადგილებში ჩემით დაინტერესებულ პიროვნებას რომ ვხვდებოდი, ყოველთვის მის ეჭვით დაბინდულ თვალებს ვხედავდი... არასოდეს ტიროდა...

ამქვეყნიური სიყვარულით გატაცებულს, მარტოობა მტოვებდა... ჩემგან მიდიოდა (ან ასე მეგონა.)...

სატრფოს მკლავებში ნეტარებით გაბრუებულს რომ ჩამეძინებოდა, სიზმარში მეცხადებოდა... მთლად შიშველი იყო. თმები წელამდე ჰქონდა ჩამოშლილი, თეთრი, ლამაზი ხელები – ჩამოშვებული; ცუდი განათების გამო მკერდი არ უჩანდა, მაგრამ ვგრძნობდი...

ჩვენი დიალოგი ყველა სიზმარში ერთნაირი იყო...

– ვინ ხარ?

– მარტოობა...

- რა გქვია ?
- მარტოობა.
- შენი სახელი „მარტოობაა“?
- დიახ.

საყვარელი ქალის გვერდით მყოფს მაშინვე მასთან წასვლა მომინდებოდა...

ყველგან, სადაც ურთიერთობას საფუძველი ეყრებოდა, ან იმედგაცრუებით მთავრდებოდა, ის მხვდებოდა... საყვედურით სავსე მზერას შემომაგებებდა; მაგრძნობინებდა, რომ სულ მალე მისი გავხდებოდი... ვიდრე სხვასთან ურთიერთობას არ დავამთავრებდი, არ მელაპარაკებოდა... ეს სასჯელი გულს მიკლავდა, შინაგანად მტანჯავდა.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, დაუსრულებელი თამაშისთვის წერტილი უნდა დამესვა, მხოლოდ მისი უნდა გავმხდარიყავი.

* * *

გადავწყვიტე, ჩემი მარტოობის აჩრდილი ფირზე აღმებეჭდა. მინდოდა, წლების მანძილზე გაგრძელებული სიყვარულის ხელშესახები ფაქტი მომეპოვებინა. ამ სულელური იდეით შეპყრობის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მონატრების შემთხვევაში მისი ხილვის შანსი მექნებოდა; ფაქიზი, შეუდარებელი სილამაზით უსასრულოდ ტკბობის შანსი... შეიძლება, სულელურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მიტოვების შიშმაც შემიპყრო... იმის გამო, რომ ერთად გადალებულ სურათებზე არ ჩანდა, ახალ, მოწინავე ტექნოლოგიებს მივმართე; მისი ფარულად, ვიდეო კამერით გადალება დავგეგმე.

ერთ საღამოს ჩემს ქალაქში ჩამოვიდა... ქალაქი ლურჯ ფერსა და მზის თბილ სურნელში გაეხვია...

ერთად ვტკბებოდით საღამოს ფერთა ჯადოსნური სილამაზით...

მის წასაყვანად სასტუმროს კართან მივედი.

- ამ ღამეს შეუდარებელი ხარ...
- ეს საოცარი ღამეა...

მანქანის გასაღები მივეცი; გვერდით მივუჯექი. მოკლე ქვედაბოლოდან თხელი, გრძელი ფეხები მოუჩანდა. მისი სუნამოს ნაზი სურნელი თავბრუს მახვევდა.

ბოლომდე არასოდეს მოვფერებივართ ერთმანეთს. იქნებ ამ ღამეს ჩემი გამხდარიყო... მე კი – მისი... ვიდრე მოვიდოდა, ბინაში კამერა დავამონტაჟე. დისტანციური მართვით შემეძლო მანიპულირება... ჯერ ბარში წავედით. მას ვერავინ ხედავდა... დიდხანს ვისაუბრეთ. თეთრი ღვინო დავლიეთ... ერთი ვჩანდი, მაგრამ ორნი ვსვამდით, მე და მარტოობა...

ბარიდან რომ წამოვედით, ერთი ბოთლი ღვინო თან წამოვიდეთ...

პატარა ბალიშებით საგანგებოდ მოწყობილ კუთხეში დავსხედით. ღვინო გავხსენი... კამერა არ ჩანდა; ფანჯრის უკან იყო მოთავსებული.

საუბარი დავიწყეთ... თბილი, სასიამოვნო ხმით ჩამჩურჩულებდა ყურში... სისხლი გამალებით ჩქეფდა ძარღვებში... სუნთქვა ღრმავდებოდა... ერთმანეთს ვეფერებოდით... ვკოცნიდით... უჯრედები კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა...

მარტოობა გავაშიშვლე...

ჩემკენ გადმოხრილი მისი ნაზი, მიზიდველი სხეული, მოხდენილი თეძოები გამრავლებისა და ახალი ცხოვრების დაწყებისკენ მიბიძგებდა... ენით აუწერელ მღელვარებას განვიცდიდი...

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა; ოთახიდან გავიდა. ჩემ მიერ საგულდაგულოდ დამონტაჟებული კამერა დაინახა...

შემრცხვა... საშინლად შევწუხდი. იმიტომ ვიღებ, რომ მინდა, შენი ნახვა ყოველთვის შემეძლოს-მეთქი, ვუთხარი. უფრო სწორად, ძლივს ამოვილულ-ლულე.

უნდა ვაღიარო, რომ ახლაც, იმ ამბის გახსენებაზე, ოფლი მასხამს და სინდი-სის ქენჯნა მტანჯავს.

ფირი მომთხოვა. მივეცი; ჩანთაში ჩაიდო.

ხელი მომკიდა და მოსაფერებლად წამიყვანა ...

ის ღამე სხვა ღამეებისგან განსხვა-ვებული არ აღმოჩნდა... მე გამაპედნიე-რა, მაგრამ თვითონ კვლავ არ მოინდო-მა გამოჩენა...

მთავარი მოსახდენი შემდეგ მოხდა!

უგონოდ გალეშილს, ღრმა ძილით მეძინა. ის გამომეცხადა... თავზე ხელი გადავუსვი... ღიად დარჩენილ ჩანთაში ფირი შევნიშნე.

ნეტავ თუ შევძელი მისი გადალება?!

ეშმაკთან თამაში დაიწყო...

– მიდი, ჩერჩეტო, ამოიღე ფირი, უყურე, როცა მოგინდება...

– არა, მას ასე ვერ მოვექცევი...

– ვიცით, რამდენი სისულელე ჩაგი-დენია ორმოცი წლის მანძილზე, უგუ-ნურო!

როგორც ყოველთვის, ეშმაკმა გაი-მარჯვა... ვგრძნობდი, თავში სისხლძარ-ღვები გასკდომას ლამობდნენ... ელვის სისწრაფით შევცვალე ფირი. ჩანთიდან ამოფრქვეულმა სურნელმა სულში ხან-დარი გამიჩინა.

მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმო-მედგინა... ამიერიდან ნებისმიერ დროს შევძლებდი მისი ხილვით თავის დამშვი-დებას...

საოცრად ლამაზი ხელები ჰქონდა მარტოობას... მომნუსხველი მზერით მიპყრობდა; გონებას მაკარგვინებდა...

ყოველი განშორებიდან მის დაბრუ-ნებამდე გატარებული დღეები ნამდვი-ლი კოშმარი იყო ჩემთვის...

გაუგებარ თამაში ჩამითრია...

ღრმა, უძირო თვალები ჰქონდა მარ-ტოობას...

ცდილობდა, გული არ მტკენოდა; მიფრთხილდებოდა ...

ჩვენს ურთიერთობას პატარ-პატა-რა თამაშებით ამკობდა ...

მინიშნებებით...

ერთ საღამოს ფარულად გადაღებუ-ლი კადრების სანახავად დავჯექი... ძა-ლიან მომენატრა... ის უკვე შორს იყო; როგორც ამბობდნენ, ბედნიერად ცხოვ-რობდა.

აღარ შემხმიანებია.

მარტოობამაც მიმატოვა...

თხელი, ნატიფი თითები ჰქონდა მარტოობას. ჩემს მკლავებზე მათი თა-მაში იყო წვიმა შეხებისა, რომელიც მის არსებობაზე მიმანიშნებდა...

ჩანაწერს რომ ვუყურებდი, საშინელ დეტალებს წავაწყდი... ვიჯექი და მარ-ტო ვსვამდი ღვინოს; საკუთარ თავს სიყვარულზე ვეჩურჩულებოდი... მივ-ხვდი, პარანოიით შეპყრობილის ავად-მყოფურ მდგომარეობაში ვიყავი.

მან ისევ მოხერხებულად დამალა თავისი არსებობა ...

ამ ახალი ჯოჯოხეთისთვის სახელი უნდა დამერქმია.

ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ოდეს-მე დაივიწყებენ...

ამას უნდა შეეგუოს...

ნელ-ნელა მოგონებებიც ჩაბარდა წარსულს... თუმცა ერთ დროს ყოველი მათგანი სიყვარულის სადარაჯოზე იდ-გა...

თეთრი, თხელი, ნაზი ხელები ჩემკენ იყო გამოწვდილი...

შემეძლო მათ მივნდობოდი; მეტი მოვინდომე ...

საოცრად ლამაზი იყო მარტოობა. ბა-გეებიდან პოეზიას აფრქვევდა. მისი მზე-რა -უსასრულო ოპერა, თმები გიტარის სიმები იყო... მისი ნაკვალევი – გრძელი, დამღლელი გზის სამგზავრო ბილეთი...

ახალ ქალაქში ჩამოვედი.

აქ ღრუბელთა სამოთხეა...
 შვილი შეგძენია. ჰუზუნი¹ დაგირქმე-
 ვია... თვალებს ვუკოცნი ჰუზუნს ...
 სულ შენზე ვფიქრობდი, ვერ წარმო-
 იდგენ, რამდენი გეძებე...
 ჩემზე არ იდარდო.

ეს ლამაზი ქალაქია.
 წვიმა აქ სტუმარია, რომელსაც ელი-
 ან. მწუხარება ქოლგაა, რომელსაც თან
 დაატარებენ...
 მარტო ყოფნა მაინც შემეძლო...
 ახლა მარტოც აღარ ვარ...

¹ თურქულიდან თარგმნა
 მერი წიკლაურმა

¹ ჰუზუნი – სევდა (თურქ.).

ორჟან ფამუქი (დაიბ. 1952 წ.)

ამონარიდები ირჟან ფამუქის ინტერვიუებიდან

ესაუბრნენ ჩინარ ოსქაი და ნილ ქურალი

ცნობილ თურქ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, ირჟან ფამუქს, საქართველოში იმდენად კარგად იცნობენ და იმდენი თაყვანის მცემელი ჰყავს, რომ ვთიქრობთ, ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა მალე მის ბოლო რომანს, „ნითურ ქალს“ შესთავაზებს ქართველ მკითხველს. ჩვენ მიერ შერჩეული ინტერვიუებიც სწორედ ამ რომანს ეხება.

როგორ მოქმედებს ლეგენდები და თქმულებები ჩვენს ბედისწერაზე; როგორ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე ის შიში და დანაშაულის გრძნობა, რომელსაც ათასობით წლის მანძილზე დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები განიცდიდნენ; როგორ განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას, სიყვარულსა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკას კაცობრიობის კოლექტიური არაცნობიერი; რა განსხვავება არსებობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის – ამ საკითხებს ეძღვნება ორჟან ფამუქის ბოლო რომანი „ნითური ქალი“. მწერალი ამ რომანსა და თურქეთში განვითარებული მოვლენებისადმი თავის დამოკიდებულებაზე გვიამბობს.

ჩ.მ. მხოლოდ ერთი წელი გავიდა და უკვე ახალი რომანი გამოეცით...

ო.ფ. წინას ექვსი წელი მოვანდომე; შვიდასი გვერდი გამოვიდა. ორმოცი წე-

ლია, ვწერ, წელიწადში საშუალოდ – ორას გვერდს. ასაკის მატებასთან ერთად ვცდილობ, უფრო მეტი ვწერო. თემატიკა 30-35 წლის ნაფიქრია, მხოლოდ დაწერალა მრჩება.

ჩ.მ. ჭის მთხრელის ამბავი როდის მოიფიქრეთ?

ო.ფ. 1980-იანი წლების ბოლო იდგა. ჩემს ოჯახს ჯერ კიდევ არ გაეყიდა სახლი ჰეიბელიადაზე¹. „შავ წიგნზე“ ვმუშაობდი. ჩემი მეუღლე სტამბოლსა და კუნძულს შორის მიდი-მოდიოდა. მეზობლის ეზოში ორი მუშა ჭას თხრიდა. მათ გამოველაპარაკე. პორტატული ტელევიზორი ჰქონდათ. დაახლოებით ხუთი საათისთვის ქვაზე ქურას დგამდნენ და სადილის ხარშვას იწყებდნენ. ზუსტად ისე, როგორც წიგნშია... მათი ურთიერთობით დავინტერესდი, მამა-შვილის, ავტორიტეტისა და ინდივიდის, ბრძანების გაცემისა და მიღების პრობლემებით...

ჩ.მ. წიგნში საზოგადოების ფსიქოანალიზს ახდენთ. ფროიდს რომ წაეკითხა, საფლავიდან წამოდგებოდა და მადლობას გადაგიხდიდათ...

ო.ფ. შესაძლოა. ტირანი მამა, პროტესტი მის მიმართ, დედის გულის მოგება... ეს თემატიკა მიყვარს. ფროიდისტი არა ვარ, მაგრამ ბევრი წამიკითხავს. სიზმრებისა და მოგონებებისადმი მიძ-

¹ კუნძული მარმარილოს ზღვაში, სტამბოლთან ახლოს.

ღვნილი წიგნებიდან ბევრი რამ ვისწავლე.

ჩ.ო. ეპიკური თხზულებების, პრეისტორიულ ეპოქებში ჩამოყალიბებული კოლექტიური არაცნობიერისა გჯერათ?

ო.ფ. დიახ, ლეგენდებს, ლიტერატურას, ფილოსოფიას, ზნეობრივ თეორიებს საზოგადოების ფორმირების უნარი შესწევს. ფრონიდის მონაფის, იუნგის მოსაზრებებს ვიზიარებ. არქეტიპო; ადამიანებს ზოგი კულტურული სტრუქტურა თანდაყოლილი აქვთო; სულის სილრმები, ცნობიერების მიღმა მათ შესაბამისად მოქმედებენო. თუმცა საფუძველი ფრონიდის ჩაყრილია.

ჩ.ო. ის რას ამბობს?

ო.ფ. ყოველი ჩვენგანის ცხოვრების მიღმა ტექსტები იმაღება. ფრონიდი სწორედ იმის ახსნას ცდილობდა, რომ ადამიანთა ქვეცნობიერი ამ ტექსტები-საგან შედგება. სავალდებულო არ არის, ბიბლიოთეკაში იცხოვრო. ცოდნა ჩვენზე გადმოდის. მას საზოგადოებიდან, გარემოდან ვიღებთ, თუნდაც, წიგნი საერთოდ არ წავიკითხოთ... რწმენაც უშუალო კავშირშია ამასთან. მონოთე-ისტურმა რელიგიებმა ანტიკური საბერძნეთიდან, ეგვიპტიდან ბევრი რამ ისესხეს. ყველაზე საინტერესო კი ლეგენდების მსგავსებაა. ამ რომანში ორი ამგვარი ლეგენდა გავაერთიანე, რითიც მკითხველს ფიქრს ვაიძულებ.

ჩ.ო. რომელი ლეგენდები?

ო.ფ. ერთი მათგანი ოიდიპოსია, რომელიც დასავლეთში ფრონიდის დახმა-

რებით იქნა გამოვლენილი, მეორე კი – როსტომისა და ზურაბის ამბავი „შაჰნა-მედან“. ოიდიპოსი დიდგვაროვანი წარმომავლობის უფლისწულია. უნებლიერ მამას კლავს და დედას ცოლად ირთავს. ბრწყინვალე ტექსტია, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობებს აღნერს. მამის ფენომენს გვაცნობს, მისი მკვლელის უდანაშაულობისა სწამს და ამ ფაქტს აკანონებს. თუმცა, იმავდროულად, დანაშაულის გრძნობას გვაცნობს. ოიდიპოსი თვალებს ითხრის.

ჩ.ო. „შაჰნამე“ რით განსხვავდება?

ო.ფ. ოსმალეთში სახელმწიფო მოხელეებმა და მეცნიერებმა ეს ამბები კარგად იცოდნენ. „არ გინდა, ის ხომ შენი შვილია!“ იეშილჩამის¹ მსგავსი სცენები ამ ლეგენდებს ეფუძნება. მამის მიერ მოკლული შვილის ტრაგედია შთამბეჭდავია. ფაქტობრივად, ამას აკანონებს.

ჩ.ო. ოიდიპოსის საპირისპირო ანუ...

ო.ფ. თავისი ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად ოიდიპოსი იძულებულია, მამა მოკლას ანუ ავტორიტეტის წინააღმდეგ გაილაშქროს. „შაჰნამე“ კი გვიჩვენებს, რომ აღმოსავლურ საზოგადოებაში მამას შეუძლია, შვილი დათრგუნოს, მამის ავტორიტეტი შვილისათვის აუცილებელია, ეს გარდაუვალია. ჩვენ სადღაც შუაში ვიმყოფებით, ამიტომ მათი შედარება თურქს ევალება.

ჩ.ო. შუაში იმიტომ ვართ, რომ ჩვენს ტრადიციებს მოვწყდით? წიგნში ასეთ წინადაღებას ვხვდებით: „ირანელები ჩვენ, თურქებს, არ

¹ იეშილჩამი – ქურია სტამბოლში, სადაც 1980 წლამდე კინოფირმების ოფისები მდებარეობდა, რის გამოც ქურის სახელი თურქული კინოს სინონიმად იქცა.

გვგვანან, რომლებმაც პროდასავლუ-
რობის გზაზე საკუთარი პოეტები და
ლეგენდები დავივინებთ“.

ო.ფ. ვაღიაროთ, რომ ირანული ცივი-
ლიზაცია ძალიან ძლიერ ტრადიციას
ეფუძნება. ჩემი ნაცნობი ირანელები თა-
ვიანთ პოეტებს კითხულობენ, ომარ ხაი-
ამს, მევლანას იცნობენ. ჩვენ ჩვენი ლი-
ტერატურული ტრადიციის შეცვლა გა-
დავწყვიტოთ. პირდაპირ გამოვაცხადეთ
კიდეც. ეს დავინების მიზეზი გახდა.

ჩ.ო. ირანში მეც ვყოფილვარ. მათ-
მა მდიდარმა კულტურამ ჩემი ალ-
ფრთოვანება გამოიწვია. და მაინც და-
მებადა შეკითხვა, რამდენად გააზრე-
ბული აქვთ სპარსელებს ამის სარგებ-
ლობა?

ო.ფ. საინტერესო თემაა. თუ ტრადი-
ცია მამის მიერ შვილის მკვლელობას
ფასეულად მიიჩნევს და მას გარდუვა-
ლად თვლის, ამგვარ ტრადიციას უნდა
მოვწყდეთ.

ჩ.ო. არაცნობიერის განმსაზღვრე-
ლი ასეთი ლეგენდები ჩვენც გვაქვს?

ო.ფ. ამ თვალსაზრისით ჩვენი მთა-
ვარი ტექსტი, ცხადია, დედე ქორქუთია.
ძალიან მინდა, დედე ქორქუთი ფროი-
დის შედარებების თვალსაზრისით შე-
ვისწავლო.

ჩ.ო. თქვენი წიგნი თურქეთში ავ-
ტორიტარიზმის ზრდას რამდენად
უკავშირდება?

ო.ფ. მსგავსი რაღაცები შემთხვევი-
თია. ჩვენი საზოგადოება თანდათანო-
ბით სულ უფრო და უფრო ავტორიტა-
რული ხდება. ძალიან სამწუხაროა, რომ
ამას ელექტორატმაც შეუწყო ხელი. შე-
საძლოა, ამის მიზეზი პესიმიზმია. თუმ-

ცა მე უკვე ერთი წელია, ვწერ. ავტორი-
ტარიზმი და ინდივიდუალიზმი ჩვენ-
თვის ამოუწურავი თემებია.

ჩ.ო. ცოტა თურქეთზეც ვისაუბ-
როთ... როგორი პროგნოზი გაქვთ?

ო.ფ. ცუდი. ძალიან ვწუხვარ. მმარ-
თველი პარტიის დეპუტატი რომ ვყოფი-
ლიყავი, უნივერსიტეტის პროფესორ-
მასწავლებლებზე ასეთი ზეწოლა არ
მომენტონებოდა. როგორ უნდა შეეგუო
ლექტორების ასეთ ჩაგვრას, ლანდლვას,
დამცირებას, სამშობლოს მოღალატეე-
ბად შერაცხვას?! აღარაფერს ვამბობ
ჭან დუნდარის დაპატიმრებაზე. მეტი
რა გითხრათ?

ჩ.ო. ამერიკულ ინტერნეტ-საიტზე,
Daily Beast-ზე, გამოქვეყნდა წერილი
სათაურით „ორჰან ფამუქი ნობელის
წყევლამ მოკლა? „ბოლო ხანებში
მხოლოდ ნოსტალგიურ და სასიყვა-
რულო რომანებს წერს; ნობელი ხომ
გაინალდა“ – წერს კრიტიკოსი.

ო.ფ. “Independent”-მა კი დაწერა, საუ-
კეთესო რომანები ნობელის შემდგომ
შექმნაო. აგერ, წიგნსაც აწერია. ამ შე-
კითხვაზე პასუხის გაცემა არ მინდა. მგონი,
მსოფლიოს მნერლებში ყველაზე
უიღბლო ვარ, რადგან ყველაზე მეტი
პოლიტიკური ინტერვიუ მაქვს მიცემუ-
ლი. იმის გამო, რომ თურქი ვარ, ყველა
პოლიტიკაზე მელაპარაკება.

ჩ.ო. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმ-
ნიშვნელოვანესი ინტელექტუალი
ხართ. თქვენ გარშემო უამრავი ადამი-
ანია დაპატიმრებული, უსამსახუროდ
დარჩენილი, ის კი არა, ისეთებიც, ფი-
ზიკურად რომ უსწორდებიან. დანაშა-
ულის გრძნობა არ გეუფლებათ? არ
ამბობთ ხოლმე, რამე უნდა ვიღონოო?

ო.ფ. ზოგჯერ წერა ისე გიტაცებს, რომ ვიღაცებს სამსახურიდან აგდებენ, აპატიმრებენ, შენ კი არაფერს აკეთებ. ისეთი პერიოდებიც მაქვს ხოლმე, როცა დანაშაულის განცდა მანვალებს. მაგრამ, თუ დამიჯერებ, ამისათვის დრო ნაკლებად მრჩება. გაუთავებლად ვიღაც მწერს და ხელმოწერას მთხოვს, ან ვიღაც მირევავს, ორჲან ბეი, მავანი და მავანი დააპატიმრეს, იქნებ დამეხმაროთო. დავიწყებას არავინ მაცლის.

ჩ.ო. რომანში მოქმედება სილივრის ციხეში¹ მთავრდება. ამას რაიმე სიმბოლური დატვირთვა აქვს?

ო.ფ. გმირი სტამბოლის მახლობლად რომელიმე ციხეში უნდა წასულიყო. საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ყველანი იქ ხვდებიან: ოპოზიციონერი უურნალისტები, ყოფილი სამხედროები, ქურთები, უბრალო დამნაშავეები... სილივრის ჩვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია, მუდმივად სილივრიზე ვლაპარაკობთ. წინათ, მაგალითად, კინოთეატრი „ფითაში“ რომ გაიხსნა, ევროპისა და ბალკანეთის ნახევრაკუნძულის უდიდესი კინოთატრიაო, ამბობდნენ. ახლა ევროპის უდიდესი ციხით მოგვწინოს თავი.

ჩ.ო. წიგნში მამათქვენის კვალი არის?

ო.ფ. მამაჩემმა მიგვატოვა, თავს არაფერს გვახვევდა; გვერდით არ მყავდა. უმამობის ტკივილი წიგნშიც იგრძნობა. მამაჩემი ახალგაზრდა არ მომკვდარა, მაგრამ ძირითადად ჩემ გვერდით არ ყოფილა. ზოგჯერ მე და ჩემი უფროსი ძმა ამაზე ვსაუბრობთ ხოლმე. ამავე დროს,

მართლაც ძალიან კულტურული და ლიბერალი ადამიანი იყო, ჩვენთვის თითო არ დაუკარებია, არასდროს უყვირია; ისე მოიქეცით, როგორც გინდათ, ძალიან ჭკვიანები ხართო, გვეუბნებოდა. უსაზღვრო თავისუფლება მომანიჭა. საკუთარი თავის რწმენაც, მაგრამ ცენტრის ნაკლულობას ყოველთვის ვგრძნობდი. დაბნეულობისა და თავისუფლების შემსის მსგავს გრძნობებთან ერთად, შემოქმედებითი უნარი გამიღვივა. ზოგჯერ მეკითხებოდა ხოლმე, რომელ კლასში ხარო და ძალიან მწყინდა. მეორე მხრივ, ამის დადებით მხარესაც ვხედავდი. თავისუფალი ხარ, დამოუკიდებელი, რასაც გინდა, იმას გააკეთებ. ბევრი რამის გამო მამაჩემის მადლიერი ვარ. ყველაზე მეტად კი, არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკის გამო... მამები რას ასწავლიან? ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები ვინ არიან? სამხედრო, რელიგიური მოღვაწე, ჩინოვნიკი, პრემიერ-მინისტრი... თურქეთში ამას ასწავლიან. მისი აზრით, ეს არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო.

ჩ.ო. აბა, მნიშვნელოვანი რა იყო?

ო.ფ. არაჩვეულებრივი მამა მყავდა, რომელმაც მასწავლა, რომ მთავარია აზროვნება, შემოქმედება, ადამიანის ინდივიდუალობა, რეალიზაცია, ოცნებების განხორციელება. მის ბიბლიოთეკაში ერთი დივანი იდგა. იქ დაჯდებოდა ხოლმე და მეუბნებოდა, ერთი ნახე, ამას რა უქნიაო. მაგალითად, უან პოლ სატრის წიგნს მომცემდა... მე მინდოდა, ის წიგნი ჩემი დაწერილი ყოფილიყო. არ ვნატრობდი, რომ ფაშა, სასულიერო პირი ან სახელმწიფო მოღვაწე გამოვსულიყავი. ამ წიგნების მწერლობაზე ვოცნებობდი. ჩემთვის არასდროს უთქვამს,

¹ სილივრის ციხე – 2008 წელს სტამბოლის სიახლოვეს აგებული ულტრათანამედროვე, ევროპის მასშტაბით უდიდესი ციხე.

მწერალი გამოხვალო. მაგრამ ნამდვილად მინდოდა, ჩემით ეამაყა.

ჩ.ო. ახლაც ასეა?

ო.ფ. ძალიან მინდოდა, ჩემს ნობელს მოსწრებოდა. ჩემი გამოსვლა, „მამაჩემის ჩემოდანი“, სწორედ ამას ეძღვნებოდა. ასაკთან ერთად ხვდები, რომ პევრ რამეს ისევ და ისევ იმიტომ აკეთებ, მამას და დედას მოეწონოთ; უბრალოდ, ამას ვერ აცნობიერებ.

ჩ.ო. წიგნის მთავარი არსიც ხომ „მამის ფიგურაა?“ მემკვიდრეობით მიღებული ფასეულობები...

ო.ფ. დიახ. ჯემის მამის გაუჩინარება, შემდეგ სხვა ცოლთან ერთად უეცარი გამოჩენა... ამ წიგნში პევრი რამაა ჩემი პირადი ცხოვრებიდან, რაც ლიად არასდროს მითქვამს. მეტს ნულარ მათქმევინებ...

ნ.ქ. რომანში ერთ-ერთი მთავარი თემა ბედისწერა და წინასწარმეტყველებაა.

ო.ფ. წინასწარმეტყველების გარდუვალობა მსოფლიო ლიტერატურის უმთავრესი თემებიდან ერთ-ერთია. რომანში ოიდიპოსის ამბავი შევიტანე. ერთიც მევლანას იგავი დავამატე, კარავში რომ ყვებიან. ოიდიპოსთან ხომ ახლოსაა, არა? ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ტრადიციული ლიტერატურის ერთ-ერთი უმთვარესი თემაა. შვილს ცუდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მამა მის დაცვას ცდილობს, შვილი კი სიცოცხლის გადასარჩენად სადღაც გარბის; წინასწარმეტყველებაც სწორედ იქ აუხდება. ასეა ოიდიპოსში, სოფოკლესთან, მევლანასთან. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ის, რომ ბედისწერას ვერსად

გაექცევი? უაზრობაა? თუ იმ ინდივიდის ტრაგედია გავიაზროთ, რომელიც ბედისწერისაგან გაქცევას ცდილობს? ბედისწერის გარდუვალობა ტრადიციული შეფასებაა. მაგრამ, ამასთან, არსებობს მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანის მცდელობა, როგორც კარგმა ადამიანმა, თავი დააღნიოს ავ ბედისწერას. ჩვენც ეს უნდა დავინახოთ რომანებში. დიდ ძალას არ უნდა დავმორჩილდეთ, ინდივიდის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ. ინდივიდის დახვეწილობა, სისათუთე, ტრაგედია უნდა დავინახოთ: როგორ იტანჯება ოიდიპოსი, როგორ ენატრება ზურაბს მამა, როგორ დარდობენ მამები შვილებზე, როგორ განიცდიან შვილები მამების გამო. ადამიანის სისუსტე სახელმწიფოს უზენაესობის იდეაზე უფრო მნიშვნელოვანია. მე ინდივიდს უფრო ვაფასებ. ჩემთვის სახელმწიფოზე წმინდა ინდივიდია, ადამიანი. მინდა, წინასწარმეტყველებისა და უბედურების წინაშე მისი სისუსტე, ადამიანურობა დავინახო. ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურა იმ ადამიანების ტექსტების ერთობლიობაა, რომელთაც სახელმწიფოს კი არა, ადამიანისა სწამთ.

ნ.ქ. ფაქტობრივად, „წითური ქალი“ სახეცვლილ სტამბოლზეც გვიამბობს.

ო.ფ. დიახ, მაგრამ გამეორება რომ არ გამომსვლოდა, ვეცადე, მოკლედ მომეჭრა. მეორე მხრივ, ამაზე წერა მიყვარს, რადგან მრავალსართულიანი ნაგებობების მშენებლობა, ქალაქის ბეტონის ტყედ ქცევა, ახალი უბნების გაჩენა, მიწის ნაკვეთების გაძვირება, ქალაქის ამა თუ იმ უბანში ახალი გზების გაყვანა და, შედეგად, ყველაფრის შეცვლა ის საკითხებია, რომელიც ბოლო 30-40 წლის განმავლობაში ჩვენს ცხოვრებას განსაზღვრავს.

ნ.ქ. არჩევანი 1980-იანებზე რატომ შეაჩერეთ?

ო.ფ. ბევრი მიზეზის გამო, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ბარით გათხრილი, ხელით ამოყვანილი, ჯალამბრიანი ჭების ეპოქა ამ დროს დამთავრდა. ტრადიციული ხელობა გაქრა. ჩვენი პიროვნულობის შეცვლა კულტურულ-ტექნოლოგიური სიახლეების გავლენით ის საკითხია, რომლებიც ძალიან მაინტერესებს.

ნ.ქ. მამისმკვლელობა დასავლეთს ახასიათებს. ოსმალეთში მამა შეუცვლელია. თქვენი აზრით, თურქების ქვეცნობიერებაში რა ხდება?

ო.ფ. ასეა? არ ვიცი, მაგრამ ძალადობისა და თავისუფლების, ძლიერი სახელმწიფოსა და სუსტი ინდივიდის, ადამიანის სიცოცხლის დაუფასებლობისა და სახელმწიფოს უკვდავების მსგავს დილემბზე 30-40 წელია, ვკითხულობ და ვფიქრობ. მართლაც მაინტერესებს ავტორიტარი მამები, მორჩილი შვილები, მეამბოხე მამები, განრისხებული და მეამბოხე შვილები, არარსებული მამები. ჩემი წიგნი არ გეუბნებათ, ავტორიტარები რომ ვართ, ინდივიდები იმიტომ არა გვყავსო, მაგრამ მსგავს ურთიერთობებს წამოჭრის. ერთი ჭის გათხრის ფონზე ჩვენს დესპოტიზმს, ჩანასახოვან ინდივიდუალობას, რისხვით აღსავსე მეამბოხეობას ხაზს უსვამს. მინდა, ამ საკითხებზე ვიკამათოთ, თორემ დესპოტივით არ ვიქცევი და არ ვამტკიცებ, ეს თუ მოხდა, ესე იგი აუცილებლად ასე იქნება-მეთქი.

ნ.ქ. ერთ ადგილას წითური ქალი ჯემს ეუბნება: „ამ ქვეყანაში ყველას

ბევრი მამა ჰყავს: მამა-სახელმწიფო, მამა-ლმერთი, ფაშა მამა, მაფიის მამა...“ თქვენი აზრით, თურქეთში მამების ასეთი სიჭარბის მიზეზი რა არის?

ო.ფ. ინდივიდის, ადამიანის ოცნებებისა და ფიქრების მეორადობა, სახლმწიფოს წინა პლანზე წამოწევა, მამაში ამას ვგულისხმობ და ამის ახსნას ვცდილობ. მარტო ლაპარაკით პრობლემებს რომ ვერ გადავჭრით, ავტორიტარიზმი, მისი დესპოტიზმი რომ არ გვჭირდება... სამწუხაროდ, შემწყნარებელი კი არა, მკაცრი საზოგადოება ვართ. ახლაც ასეა, დესპოტი მამები გვკარნახობენ, როგორ მოვიქცეთ.

ნ.ქ. „წითური ქალის“ ყდაზე დანტე გაპრიელ როსეტის 1860 წელს შექმნილი ნახატი, „გულების დედოფალია“.

ო.ფ. წითური ქალის ხსენებაზე ადამიანს პირველად ეს პორტრეტი ახსენდება. იმ მიმდინარეობის სხვა წარმომადგენლებსაც ჰყავთ დახატული. ქალს ქუდების მაღაზიაში გამყიდვლად უმუშავია. ძალიან ნათელის სახის გამო აღმოუჩენიათ. მხატვარმა ჯერ დახატა, შემდეგ ცოლად შეირთო, შემდეგ კი უღალატა. ქალს ნარკოტიკების მოხმარება დაუწყია და თავი მოუკლავს. ტრაგიკული ამბავია. ინტერნეტის დადებითი მხარე ეს არის, ამგვარ რაღაცებს პოულობ. წინათ მსგავსი ინფორმაციის მოსაპოვებლად საათობით წიგნებში ვიქექებოდი.

ნ.ქ. ეს კარგია თუ ცუდი?

ო.ფ. კარგიც არის და – ცუდიც. 20 ათასი წიგნი მაქს, საბოლოო ჯამში მაინც მათ ვკითხულობ.



სომხური ლიტერატურა

ნარ-დოსი (1867-1933)

სომეხი მწერალი ნარ-დოსი (მიქაელ ჭოვანესიანი) თბილისში დაიბადა და გარდაიცვალა. სწავლობდა ეკლესიასთან არსებულ სკოლაში, შემდეგ – ორ-კლასიან რუსულ სასწავლებელში. მისაღები გამოცდები ჩააბარა ხონის პედა-გოგიურ სემინარიაში, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლა ვერ გააგრძელა. მუ-შაობდა მთარგმნელად, კორექტორად, მდივნად სხვადასხვა რედაქციაში.

რა მოხდა მას შემდეგ, რაც საშაქრეს ორი ნატეხი შაქარი დააკლდა

ერთი ფართო, მივარდნილი ეზოს ბო-ლოში იდგა მეურმე იაგორის ძველი ქოხი, რომელიც მხოლოდ ერთი ოთახისგან შედგებოდა და კარი ეზოსკენ ეღებოდა. სახლის ერთ მხარეს ფიცრით ნაგები სამ-ზარეულო იყო, სამზარეულოს გვერდით კი – ფართო სადგომი, სადაც იაგორი ღამდამობით თავის მძიმედ მოძრავი ურ-მის ცხენს აბამდა. ეზოს ქუჩისგან ფიც-რული ღობე ყოფდა, რომლის ბოლოშიც, ერთ კუთხეში, დახვავებული იყო ცხენის თვეობით დაგროვებული ნეხვი. ეზოს სხვა ნაწილებში კი ნამჯის ერთ ღერსაც ვერ იპოვიდით, იმდენად სუფთა იყო იქა-ურობა. იაგორის ცოლი ანა გათენების-თანავე, პირველ რიგში, ცხენის ნეხვს ალაგებდა და ეზოს გვიდა.

გასაოცარი სისუფთავე სუფევდა შიგნითაც, ოთახში. დაბალ ტახტზე გა-დაფარებული გაცვეთილი, ალაგ-ალაგ ძაფებშემორღვეული ფარდაგი ყოველ-თვის სუფთა იყო. მიწის იატაკი გამუდ-მებული მორწყვისგან დანესტიანებუ-ლიყო, გამაგრებულიყო, რუხი ფერი მი-ეღო და იმდენად სუფთა იყო, რომ, რო-გორც ამბობენ, ერბო რომ დაგელვარა,

ალოკავდი. ორი პატარა ფანჯრის თეთ-რი მიტკლის ფარდები და ოთხი ძველ-მოდური სკამის თეთრი შალითები თოვ-ლივით ქათქათებდა. ამ ოთახში ბუზის ჭაჭანება არ იყო და სარდაფის რაღაც-ნაირი მძიმე სიგრილე იდგა. მხოლოდ ერთ ტარაკანს თუ დაინახავდით ხოლ-მე, რომელიც საიდანლაც გამოდიოდა და, შუქით შეშინებული, ტახტის ქვეშ შეძრომას ჩქარობდა; ან ერთ ნესტის ჭიას, რომელიც ჭერიდან ხმაურით ვარ-დებოდა ზურგზე და თეთრ მუცელს ზე-ვით იშვერდა. მერე კარგა ხანს ფეხებს ასავსავებდა, იქამდე, სანამ მობრუნე-ბას მოახერხებდა და, მძიმე და წვრილი, თითქოს ღრმა საფიქრალში მყოფი, სადღაც მიდიოდა.

ზაფხულის ჩახუთული საღამო იყო. ჰაერი არ იძროდა, ფანჯრებზე ჩამოფა-რებული ფარდები საერთოდ არ ირხეო-და. ანანი იატაკზე იჯდა, ფარდაგზე, და ბავშვი აკვნიდან ამოჰყავდა. ის ჯერ სრულიად ახალგაზრდა ქალი იყო, ოცი წლის თუ იქნებოდა, ჩითის გაცვეთილი კაბით და თეთრი სუფთა თავსაფრით. ისეთი თხელი აღნაგობა ჰქონდა, რომ

კაბიდან ამოყრილ ლავინის ძვლებთან ორმოები ეტყობოდა. მის ალაგ-ალაგ დაწითლებულ, დალურჯებულ და დასივებულ სახეს შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა. განსაკუთრებით – უცნაურად გაშტერებულ-გაქვავებულ თვალებს, რომლებიც თითქოს უაზროდ და ეჭვიანად, გამუდმებით კითხულობდნენ, რატომ, რატომო.. პასუხს კი ვერ-საიდან იღებდნენ.

ჩუმად აიყვანა ბავშვი, კალთაში ჩაისვა და ჩაცმა დაუწყო, ბავშვი მოცინარი მზერით უყურებდა მის გაქვავებულ სახეს და ტიტინით სინაზეს და სისათუთეს სთხოვდა დედას, მაგრამ დედამისმა თითქოს არ იცოდა, რა არის სითათუთე. თუმცა, როცა ბავშვმა ფუმფულა ხელი გაიშვირა და ბასრი ფრჩხილები ცხვირზე მოუჭირა, სახეზე ღიმილისმაგვარი რაღაც გამოესახა, ჯერ ბავშვს ხელი დაუკოცნა, თავის მსუბუქი მოძრაობით ცხვირი გაითავისუფლა. მერე დაიხარა და ტუჩი მაგრად და გრძნობით მოუჭირა მის წითელ ლოყებს, თუმცა სახეზე და თვალებში ისევ ის შეშფოთებული მზერა შეჰყინვოდა. შემოვიდა შუახნის ქალი, შავი ტანსაცმელი ეცვა, წითელი, ოფლიანი სახე ჰქონდა, ხელში შავი შალი ეჭირა. უბანშიც და უბნის გარეთაც ის გიუი ჰორომსიმის სახელით იყო ცნობილი. ეს სახელი ტყუილად არ შეურქმევიათ. შეშლილის ერთი იყო, ძალიან ბოროტი და ანჩხლი, დღე ისე არ ჩაივლიდა, ვინმესთან რომ არ ეჩხუბა – ნათესავთან, მეზობელთან თუ ნაცნობთან. წელიწადის თორმეტივე თვეს მისი პირიდან მხოლოდ წყევლა ისმოდა. წყევლისას ხშირად ნამდვილი პოეტი ხდებოდა – ძლიერი და შთამბეჭდავი, ზოგჯერ ქალისთვის შეუფერებელ წყევლას ან გინებას იგონებდა, რომელიც არავის არსად გაეგონა. მთელი უბანი დაშინებული იყო მისგან. უბნის

ინსპექტორიც კი, რომელთანაც მეზობლები გიუ ჰორომსიმზე საჩივლელად მიდიოდნენ, ხელებს ასავსავებდა და გარბოდა.

უბანში კიდევ იყო რამდენიმე ცნობილი მოჩხუბარი ქალი, მაგრამ გიუ ჰორომსიმს ყველასთვის ეჯობნა – წყევლა-კრულვითაც და ფიზიკური ძალითაც კი, რომელსაც ხშირად სიტყვიერი ჩხუბის მერე იყენებდა.

დაბალი, გამხდარი, ძალზე ფეხმარდი, მთელი თავისი არსებით ცეცხლი იყო გიუი ჰორომსიმი. პატარა, ელვარე, ბრაზიან, ჩიტის თავივით მოუსვენარ თვალებს აქეთ-იქით ისე აცეცებდა, თითქოს სულ ჩხუბის მიზეზს ეძებდა. ჯერ კარგა ხანს სიტყვებისა და წყევლის გროვას აყრიდა გაბედულ მოწინააღმდეგეს, თავიდან – მშვიდად, მერე უცებ ცხარდებოდა, მოულოდნელად კატასავით ეცემოდა მას და, თუ მოახერხებდა, თმებში სწვდომოდა, მთელი ძალით ითრევდა. ხოლო, თუ ვერ ახერხებდა, გამხდარი ხელების ბასრი ფრჩხილებით დაეტაკებოდა. ეს ნაკანრები მსხვერპლს უსისხლიანდებოდა, უსივდებოდა, ულურჯდებოდა და დიდხანს არ უხორცდებოდა.

გიუი ჰორომსიმი ანანის დედამთილი იყო.

– ა....ა, მიწაში ჩასადებო, მიწაში, ნეტა გაშეშდე მაგ მიწაში, – შესვლისთანავე ჩაიბურტყუნა და ავი, წვრილი თვალები რძალს მიაშტერა.

ანა იმდენად მიჩვეულიყო ასეთ უმიზეზო წყევლას, რომ დედამთილის მხარეს არც კი გაუხედავს, გულგრილად და ნელა აგრძელებდა ბავშვის ჩაცმას.

გიუმა ჰორომსიმმა შალი ტახტზე მოისროლა და მკვირცხლი თვალები

ერთი წამით გადაწეულ ფარდებზე გაუშტერდა.

— გოგო, მაგ შენი დაბრმავებული თვალებით ვერ ხედავ, რომ მზე ჩავიდა?! — თქვა. — მომიკვდეს შენისთანა რძალი, გახმი და მიეწებე მაგ ადგილს, ისედაც გამხმარი ხარ და მიწებებული.

გიუ ჰორომსიმი წყევლა-წყევლით ტახტზე ავიდა, ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარა, მერე ჩამოსვლა დააპირა, მაგრამ რაღაც გაახსენდა და სწრაფად მივიდა თაროსთან, ფარდა გადმოსწინა და თუნუქის ლანგარზე ჩაის ჭურჭელთან დადგმულ საშაქრეში შაქრის ნატეხების სათითაოდ თვლა დაიწყო. დილით სახლიდან გასვლისას საშაქრეში ზუსტად ათი ნატეხი შაქარი დატოვა, მაგრამ ახლა ნახა, რომ ორი ნატეხი აკლდა და ტახტიდან ჩიტივით ჩამოფრინდა.

ჯერ ორივე ხელი მაგრად ჩასცხო რძალს თავში, მერე, გაცოფებულმა და კრიჭაშეკრულმა, თავისი ბასრი ფრჩხილებით სახის, ხელებისა და გვერდების კანვრა დაუწყო. თანაც ყოველ ჯერზე ბნენენდა და ნაბნენს მაგრად უგრეხდა.

— აა... — ტკივილისგან ამოიკვნესა ანამ, ბავშვს ორივე ხელი მაგრად მოხვია და მოიკუნტა.

— უჩემოდ ჩაისაც სვამ, ხომ?.. აი, შენ... ათი ნატეხი შაქრიდან რვა დატოვე, რვა ნატეხი გაგხადოს ღმერთმა, აი, შენ, აი, აი, აი, ძალიან იაფად ვყიდულობთ, ხომ, ასე რომ აცამტვერებ? გაცამტვერდი და დაბრმავდი... აჰა, შენ. აი, აი...

ბასრი ფრჩხილები დანასავით ესობოდა ანას მჭლე სხეულს.

— ვაი, ვაი... — კვნესოდა ტკივილისგან მოკრუნჩული ანა, ხელებით მექანიკურად უფრო და უფრო მჭიდროდ იკრავდა ბავშვს და უფრო მეტად იკუნტებოდა. ბავშვი კი საშინლად გაჰკიოდა.

გიუ ჰორომსიმი მეტად და მეტად

ცოფდებოდა. ბასრი ფრჩხილები თითქოს უძლური იყო მთელი მისი სიბრაზის გადმოსანთხევად. განსაკუთრებით ის აცოფებდა, რომ ანა ხმას თითქმის არ იღებდა. ეგონა, რომ რძალი ტკივილს საერთოდ ვერ გრძნობდა. არადა, გულის გასაგრილებლად უნდოდა, რომ ანას ეყვირა, ეკივლა, ეტირა, შველა ეთხოვა. ამიტომ სხეულის ისეთ მგრძნობიარე ადგილას ცდილობდა დარტყმას ან ჩქმეტას, რომ რძალი იძულებული გამხდარიყო, ბოლოს და ბოლოს, ხმამაღლა გამოეხატა თავისი ტკივილი. მაგრამ არა, ანას ჯიუტად ჩაეგდო ხმა მუცელში და, მის წინ მოხრილი, თავშეკავებულად ოხრავდა. ეს ოხვრა გიუ ჰორომსიმს ძლივს ესმოდა თავისი ცოფიანი ყივილის და ბავშვის ტირილის ფონზე.

როცა დარწმუნდა, რომ ცემა-ტყეპით ვერაფერს აღწევდა, გიუმა ჰორომსიმმა რძალს თეთრი თავსაფარი მოჰკლიჯა, ნაწნავებში სწვდა და მაგრად მოქაჩა.

— ააა... — მწარედ იკივლა ანამ, საშინელი ტკივილისგან თვალები დაეხუჭა და გულაღმა დაეცა. დასუსტებული ხელებიდან ბავშვი გაუვარდა, ბავშვი ძირს ჩამოგორდა და კიდევ უფრო მეტი ძალით აკივლდა.

რძლის მწარე შეკივლებამ ბოლოს და ბოლოს ოდნავ გაუგრილა გიუ ჰორომსიმს უზვა. რძლის თმებს ხელი უშვა, ბავშვი აიყვანა, წყევლა-წყევლით, გასავათებული, ტახტზე ჩამოჯდა და ბავშვის რწევა დაიწყო, რათა გაეჩუმებინა. მისი წვრილი, ბოროტი თვალები ჯერ კიდევ ელავდნენ შეშლილის ცოფით, ვიწრო შუბლი ოფლში ჰქონდა განუწლი, დიდხანს ნარბენი ადამიანივით ქოშინებდა.

ანა კი თვალდახუჭული ეგდო ძირს და მონოტონურად, ძლივს გასაგონად კვნესოდა.

ზაფხულის გრძელი, აუტანელი, ჩა-
ხუთული დღე ახლად დაღამებულიყო.
ბებერი ჰელნარი და მისი ორი შვილიშ-
ვილი: ბიჭი და გოგო – ფეხმორთხმულე-
ბი ისხდნენ ტახტზე და არავინ იცის, სა-
დილს ჭამდნენ თუ ვახშამს, რადგან
თვითონაც არ იცოდნენ, რომელი იყო
მათვის სადილი და რომელი – ვახშამი.
ლურჯ სუფრაზე ერთი პატარა ლამპა
ბზინავდა, რომლის ჭუჭყიანი მინა ბუ-
დოვან შუქს ჰქონდა მათ განაწამებ,
ოფლიან სახეებს. მათ საჭმელად თონის
შავი პური და ერთი ნახევრად მნიშვე სა-
ზამთრო ჰქონდათ, რომლის ფერის
ამოცნობა – თეთრი იყო თუ ყვითელი –
რთული საქმე იყო. ლამპის შუქს თავის
ირგვლივ უამრავი ჭიანჭველა შეეკრიბა.
ჭიანჭველები ცხელი მინის ირგვლივ
ტრიალებდნენ, ზოგი იწვოდა და ძირს
ცვიოდა, ზოგიც სველ საზამთროს ეწე-
ბებოდა.

ბებერი ჰელნარი ერთი გამხდარი,
მოკუნტული ქალი იყო. ხანგრძლივ სი-
ლატაკეს და ბედის მძიმე დარტყმებს
ზურგი გაემრუდებინა და მისი სახისა
და თვალებისთვის წარუშლელი სევდია-
ნი დაღი დაესვა. ობოლი შვილიშვილები
მოხუცი ბებოს იმედად დარჩენილიყ-
ვნენ. ეს ორი პატარა ბავშვი აძლევდა
ბებერ ჰელნარს ცხოვრებისა და მუშაო-
ბის ძალას, მაგრამ მას ერთი უფრო დი-
დი დარდი ჰქონდა: ამ ორი ობლის უფ-
როსი დის – ანანის მდგომარეობა ნა-
ხევრად შეშლილი დედამთილის და მას-
ზე უარესი ვერაგი ქმრის ხელში.

ბებრის მუდმივი საქმიანობა მრეც-
ხაობა და პურის ცხობა იყო. ბევრი რეც-
ხვისა და თონეში პურის ჩაკვრისგან სა-
ხისა და ხელების კანი დახეთქილი ეტ-
რატივით გამომწვარ-გამოხმობოდა. სა-
რეცხის რეცხვისას ბებოს პატარა შვი-
ლიშვილები ეხმარებოდნენ. ერთი შეშა-

სა და ნაფოტებს ეზიდებოდა, მეორე
ქვებისა და სარეცხის ხონჩის თრევით
წინ მიუძღვდა ზურგზე სარეცხის მძიმე
ტომარამოკიდებულ ბებოს მდინარის
ნაპირისკენ და მერე, როცა ბებო, მწვე-
ლი მზის ქვეშ ხონჩასთან ჩაკუზული,
სარეცხს რეცხავდა, ისინი გახვრეტილი
ჭიქით წყალს აწვდიდნენ. ხან ქვაბიდან
ხონჩაზე უსხამდნენ, ხან მდინარიდან –
ქვაბში, ხოლო, როცა უსაქმოდ რჩებოდ-
ნენ, გოგო კაბის კალთას აიკეცავდა, ბი-
ჭი შარვალს მუხლებამდე აიკაპინებდა,
შევიდოდნენ მდინარის ანკარა წყალში
და მოლიპული, სალი ქვებისა და ნაფო-
ტებისგან ბორცვებს აგებდნენ.

იმ დღესაც მთელი საღამო მცხუნვა-
რე მზის ქვეშ მდინარისპირზე ყოფნის,
სარეცხის, ქვაბისა და ხონჩის პატრო-
ნისთვის ჩაბარების მერე სახლში ახალი
დაბრუნებულები იყვნენ, დაღლილები
და მშივრები. პურს ჭამდნენ, ადრე რომ
დაეძინათ და დილაუთენია ისევ სამუშა-
ოდ წასულიყვნენ.

– ბებო, რომ შეჭამ, კურკები მე მო-
მეცი, – ეუბნებოდა ერთი შვილიშვილი
და საზამთროს კურკებს წინ იგროვებ-
და.

– შენ, რა, ცოტა გაქვს? – იძახდა მე-
ორე.

– შენ უფრო მეტი გაქვს! – ეპასუხე-
ბოდა ისევ პირველი.

– სადაა, აბა, სადაა ბევრი? ოცია,
რა...

– ოციც იქნება და ასიც.

– ხო, როგორ არა, ასი მანდ შენი იქ-
ნება და..

– გეყოფათ ამდენი ლაპარაკი, თავი
მტკიცა, – თავისთვის ჩვეული გულე-
თილობით გაუბრაზდა ბებია, – ვითომ
რა ნახეთ მაგ კურკებში, რომ მაგისთვის
ერთმანეთს ხორცს აჭამთ. ნახევარს
ერთს მოგცემთ, ნახევარსაც – მეორეს.

ბებერი ჰელნარი კურკებს შვილიშვილებს უნანილებდა, როცა უცებ ანანი შემოვიდა ბავშვთან ერთად. შემოვიდა აჩქარებით, უიმედოდ, მტკიცე ნაბიჯით.

— ბებო, ჩემს ცოდვაში როგორ ჩადექი, იმ ჯოჯოხეთში რომ ჩამაგდე! — წამოიძახა ტირილით. ბავშვი, ლამის, ტახტზე დააგდო, — ქვა ვარ? რკინა ვარ, რომ გავუძლო? ღმერთმა ადამიანად შექმნა თუ ძალად?..

ტახტზე დაჯდა და გულში დაგროვილი ნალველი ქვითინად გადმოსკდა. თან სახეს ხელებით იფარავდა.

ბებოს თავისი ორი შვილიშვილის კურკებიც დაავიწყდა და, საერთოდ, ყველაფერი. თავიდან, როცა ანანი ასე უცნაურად შემოვიდა, ბებერ ჰელნარს ძალიან შეეშინდა, ხოლო, როცა გაიგო, რაში იყო საქმე, გაქვავდა, გაშრა და დადარდიანდა. გული დაუმძიმდა.

— ამჯერად რა გააკეთა, გოგო? — იკითხა მან.

— არ იცი, რას გააკეთებდა? — წარმოთქვა ანანმა სლუურნით, — სხეულზე ადგილი აღარ დამრჩა, რომ არ დაესისხლიანებინა, თავზე თმა აღარ დამრჩა, რომ არ დაეგლიჯა, თავში ტვინი აღარ შემრჩა, იმდენი მირტყა... როდემდე... ერთი სულილა შემრჩა, ერთხელ ეგეც ამომგლიჯოს და მოვრჩე, რა... თორემ ძალა აღარა მაქვს, რომ გავუძლო...

— არ გამოთქებოდა ის დღე, შავად დამღამებოდა ის დღე, როცა შენ შეხვედი მაგ დანგრეულ ოჯახში! — შესძახა ჰელნარმა, — როგორც მე მეკიდება ცეცხლი, ისე მოეკიდოს შენს შუამავალს. იმ გიუ გულმკვდარს რაღა უნდა შენგან, ასე რომ გკბეჩს ხორცს? ძალლმა დაკიჩის მაგისი ხორცი, ძალლმა!

— რა უნდა?! — სიმწრით წარმოთქვა ანანმა, თან თავსაფრით თვალებს იწ-

მენდდა, — ის უნდა, რომ ამბობს, ნუ ჭამ, ნუ სვამ, ნუ იცვამ, ნუ ცვეთ, გგონია, მანანა ცვივა ჩემთვის ციდანო?!

— დღეს კიდევ გაგიჟდა?

— გაგიჟდა და მერე როგორ... დილას ადგა, წავიდა და გადაიკარგა გასვენებაში. რადგან თვითონ არ უნდა დაელია, სამოვარი არ დამადგმევინა. იაგორიც ხომ დილიდან, გათენებისთანავე, ურემს უღელში აპამს და მიდის, ჩაისაც არ სვამს. ჯანდაბას ჩემი თავი, ჩაისთვის გული არ მიმდის, ეს ბავშვი ტიროდა, მშიერი იყო. ამდენი უჭმელობით ძუძუში რძე გამიშრა. წავედი, მეზობელს ერთი ჩაიდნით წყალი გამოვართვი, ორი ნატეხი შაქარი ჩავაგდე. მთელი დღე დაკარგული იყო. სალამოხანს, ქელეხის ჭამა-სმის მერე, გახეთქილი მთვრალი მოვიდა და მოსვლისთანავე ჯერ კარგად მიმაწყევლა, მერე თაროს ეცა. ნახა, რომ ორი ნატეხი შაქარი აკლდა. ხომ იცი, შაქარი და ყველაფერი დათვლილი აქვს სახლში. როგორ თუ ორი ნატეხი შაქარი გიხმარიაო, ცოფიანი ძალლივით მეცა, მთელი ადგილი არ დამიტოვა — მირტყა, გამჩეჩა, დამჩხვლიტა... სხეული რომ გაჩვენო, ვერ შემომხედავ, გეგონება, ცხელი შამფურებით დამდალეს...

ქვითინმა ისევ შემოუტია ანანს, მაგრამ თავის შეკავება შეძლო — კანკალით, მაგრამ გადაჭრით დააყოლა:

— წავალ, მტკვარში გადავვარდები, თავს დავიხრჩობ, სულს ეშმაკის ლუკმად გავიხდი და იქ არ დავბრუნდები. საკმარისია, სული ამომხდა, ვიხრჩობი უკვე. ახალგაზრდობის დღეები გამიშავა და დამიბნელა. ერთი დღე არ მქონია მხიარული. მთელი სამი წელია, შამფურზე წამოცმულს მწვავს და მდაგავს. თვითონ — ცალკე, შვილი — ცალკე. თვითონ მცემდა, ხორცებს მაგლეჯდა. ეს არ კმაროდა? მისი შვილიც მთვრალი,

გალენილი მოდიოდა და დანაკლისს უვსებდა. რატომ? რა დავაშავე? პირუტყვივით ჩემთვის ვგდივარ, მაძლევენ – ვჭამ, არ მაძლევენ – ხმას არ ვიღებ. მთელი დღე სული მხდება მტკვრიდან წყლის ზიდვით, ცხენის ნეხვის წმენდით, ეზოს დაგვით, სახლის დალაგებით, დაკემსვით, მეტი რა უნდათ? ძალი რომ ძალლია, ძალლსაც არ მისცემენ იმდენ სატანჯველს, რამდენსაც მე მაძლევენ, ერთი ძალლის ყადრიც არ ვარ? აი, ამ ბავშვისთვის სულს ლევენ, ამისთვისაც ენანებათ? ვაჲ მე! ვაი, ღმერთო! – ფიცარივით ბრტყელ მკერდზე დაეცა და ძლიერმა ქვითინმა ისევ აუცახცახა ძვლებად ქცეული მხრები.

უმცროსი და-ძმა მდუმარედ შესცქეროდა და ბავშვური ინტერესით უგდებდა ყურს. პატარა ხოხვით მისულიყო სუფრასთან, საზამთროს კანი აეღო და ახლად ამოჭრილი პატარა კბილებით მოკბეჩას ცდილობდა. ბებერი ჰელნარი ადგილზე გაშეშებულიყო, არ იცოდა, რა ექნა, რომ ოდნავ მაინც ენუგეშებინა დედამთილისა და ქმრის ხელში დამწვარ-დადაგული შვილიშვილი. დარდიანად, თანაგრძნობით აქნევდა ბებერ თავს. კეთილი, შემფოთებული თვალები ცრემლით ავსებოდა.

– გოგო, ეგრე რომ ლაპარაკობ, მთელ სხეულზე ცეცხლი მეკიდება, – ტირილით თქვა, – ამბობ, რომ იქ აღარ წახვალ. რა, მაგით გადარჩები მაგ დასაბმელ გიუებს?

– არ გადავრჩები – მით უკეთესი, – უპასუხა ანანმა სლუკუნით, – ამაზე მეტი რა უნდა მიქნან. მომკლავენ? მოკლან! სხეული მაინც დამშვიდდება. ყოველდღე აღარ მანამებენ. ტკივილისგან ღამე ვერ ვიძინებ, – დააყოლა და ცრემლები ღვარღვარით გადმოსცვივდა თვალებიდან.

ბებერმა ჰელნარმა ვეღარ გაუძლო,

თავის რწევა შეწყვიტა. თვალები მრისხანე ცეცხლით გაუბრნებინდა და შინაგანი ბრაზისგან კანკალი დაიწყო.

– კარგი, დარჩი, აღარ წახვიდე იმ დასაბმელი გიუების სახლში, – წამოიძახა მან, – მე მათთვის გოგო იმისთვის არ მიმიცია, რომ თან მონასავით ამუშაონ და თან ძვლები უმტკვრიონ. სანთელივით დამდნარხარ, დადნეს და გაცვდეს მათი ჯანი. უპატრონო არ ხარ, მე ჯერ არ მოვმკვდარვარ. დარჩი, აღარ წახვიდე. როგორმე ერთ ნაჭერ პურს შენთვისაც ვიშოვით, რომ...

სიტყვა პირში შერჩა ბებერს... ცოფიანი კამეჩივით შემოვარდა ერთი ვეება კაცი, იმდენად ვეება, რომ შემოვარდნისთანავე თითქოს გაავსო პატარა ქოხი. ანანის ქმარი იყო, მეურმე იაგორი, თავისი ურემივით უხეში და გაუთლელი, თავისი ზორბა ცხენივით მსხვილი და ჩაფლებული. იმდენად ბანჯგვლიანი იყო, რომ წვერი და ულვაში ერთმანეთში არეოდა, მკერდი გაღელილი ჰქონდა, ლურჯი ახალუხი ეცვა და იმდენად განიერი შარვალი, მისი ტოტები უქუსლო მაღალყელიანი კალოშიდან რომ ამოელო, ქალის ტანსაცმელში გეგონებოდათ გამოწყობილი. შავი წარბების ქვეშ უზარმაზარი თვალები ცოფიანივით უელავდა, დიდი ცხვირის ნესტოები დალლილი ცხენის ნესტოებივით ებერებოდა და ფრუტუნებდა.

ცოლმა მისი დანახვისთანავე შეწყვიტა ტირილი, ადგილიდან წამოხტა და გაიქცა, კედელს აეკრა, მკვდარივით ფერნასული.

– მე შენი... – დააყარა საშინელი გინება იაგორმა და მრისხანე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ.

ბებერი ჰელნარი ადგილიდან წამოხტა და გზის გადაღობვა სცადა, მაგრამ იაგორმა მსუბუქად მოისროლა ტახტზე და შიშისგან ფოთოლივით მოცახცახე

ცოლს წინ თავისი გიგანტური სიმაღლით აესვეტა.

— ვაი, არ დამარტყა, იაგორ-ჯან... შენ შემოგევლე, არ დამარტყა, ჯანი მტკივა, — შეეხვენა ანანი, თავი ასწია და გაძვალტყავებული ხელებითა და მხრებით მოეხვია.

— არ დაგარტყა, არ დაგარტყა, — დაიგრუხუნა იაგორმა გაცოფებული თვალების ბრიალით, — აბა, რა ვქნა? თვალები დაგიკოცნო, რომ იმ დაძინებულ ბებერს გამოექეცი და სახლი უპატრონოდ დატოვე? გაიპარე, ხომ, სახლიდან? ჯანდაბა შენ, თუ გაიპარე — ძალიანაც არ ვიდარდებ შენ გამო, ეს ბავშვი სად მოგიყვანია? ჰა? ხომ არ გინდა, ძვლისგან ძვალი გამოვიღო, ძვალივით დაგფუშვნა ფეხქვეშ, ჰა? მე არ მიცნობ?! ჰა? უხ, მე შენი...

და უზარმაზარი მუშტი, რომელიც რკინისგან ჩამოსხმულს ჰგავდა, მძიმედ და ნელა წამოვიდა და ცოლს გვერდში მოხვდა.

ანანს არც კი უკივლია, მხოლოდ პირი დააღო — რაღაც უცნაური ხვნეშით, ჰაერი ჩაისუნთქა — წყლიდან ამოგდებული თევზივით, მერე შექანდა და ნე-

ლა, ჩვარივით ჩაიკეცა.

— ა, გული არ მოგიგვდეს, ეს რა გააკეთე, ეს რა გააკეთე?! — იკივლა შეშინებულმა ჰელნარმა და მისამველებლად გაიქცა.

იაგორმა ცოტა ხანს თავისი ბანჯგვლიანი წარბების ქვემოდან უყურა თავის ფეხებთან დაცემული ცოლის გაშტერებულ თვალებს, მერე გინებით ბავშვს მიაშურა, რომელიც საზამთროს კანს კბეჩდა, აიყვანა და აუჩქარებლად გავიდა გარეთ.

მოხუცი ბებია ანანთან დაიხარა და შიშისგან გაქვავდა.

ანანი ძირს ეგდო, ძვალი უცნაურად ამოშვეროდა, შუშის ბლაგვი მზერით მიშტერებოდა ჭერს, ლია პირიდან სისხლი სდიოდა, იქ თითქოს კვნესა გაჰქვავებოდა.

ცოლის მკვლელობაში ბრალდებულმა მეურმე იაგორმა წინასწარი ჩვენების დროს სასამართლოს გამომძიებლის კითხვას ასეთი ჰასუხი გასცა:

— ერთი მუშტი დავარტყი, რა, მეტი ხომ არაფერი გამიკეთებია.

სომხურიდან თარგმნა
ასია დარბინიანმა



სპარსული ლიტერატურა

პაპრამ სადეყი (1936 - 1984)

პაპრამ სადეყი მეოცე საუკუნის სპარსული მწერლობის საინტერესო წარმომადგენელია. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი იყო და საკმაოდ დიდი კვალი დატოვა შემდეგი თაობის მწერალთა შემოქმედებაზე. ქართველი მკითხველი იცნობს მის ნაწარმოებებს: „მოულოდნელად“ (მთარგმნ. გ. ლობჟანიძე), „სანგარი და ცარიელი მათარები“, „სასუფეველი“ და „დაუპატიუებელი სტუმარი დიდ ქალაქში“ (მთარგმნ. მ. ბურჯანაძე).

უშუალობა და დამაჯერებლობა

ერთმანეთს ქალაქის დიდ პარკში შეხვდნენ.

თუმცა ჩვენ საქმე ძალიან გავამარტივეთ. სიმართლე კი ისაა, რომ ერთმანეთს ისინი მღელვარე წინაპირობების გადალახვის შემდეგ შეხვდნენ. რა წინაპირობები იყო ეს?

პირველი – ის, რომ ჩვენმა კეთილშობილმა და თავმდაბალმა ბატონმა X-მა (რომელსაც, შემთხვევით, ამ მომენტში თავი მაღლა აღეპყრო) იგრძნო: იმ იხვების ქანდაკების შორიახლოს, ნისკარტებიდან წითელი, ხოლო სხვა – უჩინარი – ხვრელებიდან მოყავისფრო სითხე რომ ეღვრებოდათ, ხნიერი და ტანმაღალი მამაკაცი მიაბიჯებდა, თავზე შავი ქუდით. ვინ უნდა ყოფილიყო ის?

ბატონი X ანბანის ასოებს ჩამოჰყვა: ბატონი A? არა მგონია. ჩემი სამსახურის უფროსი? ჩემი მეზობელი? ჩემი მეგობარი ბატონი D? ჩემი მოკეთე... ჩემი მტერი... ბატონი H? იქნებ ბატონი I ან J, ანდა, სულაც, ბატონი KLM? უეცრად ერთგვარი შთაგონება თუ კაშაშა ნათება გაუკრთა ყურში, გარკვეულწილად იმ ტანმაღალ, ხნიერ კაცთან მიახ-

ლოების შედეგიც რომ იყო, რომლის სახის გარჩევა უკვე შეიძლებოდა დაისის შემღვრეულ და მინავლულ სინათლეში. ამ შთაგონების საფუძველზე ბატონი X-ის ალალ, მოკრძალებულ ნატურას უმანკო „აპ“ აღმოხდა:

– ბატონი Y! აპ, ბატონი Y-ია! ჩემი მომავალი სიმამრი!

მომავალმა სიმამრმა გვერდი აუქცია ყვავებს, ზურგზე რომ ცეცხლის ალი ედებოდათ და იმ ვიწრო, ქვიშიან ხეივანს დაადგა, რომელშიაც ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო დაბნეულ-გაოგნებული ბატონი X.

ბატონმა X-მა თავი დახარა. ბატონმა Y-მა ქუდი მოიხადა. მერე ერთის თავი და მეორის ქუდი თავ-თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ბატონმა X-მა გაიფიქრა: „ო, ღმერთო, ნეტავ დედაჩემი აქ ყოფილიყო! რატომ თან არ დამყვება ხოლმე? ახლა რა ვუთხრა ამას? როგორ მოვიქცე, რომ მოეწონოს, ან, ყოველ შემთხვევაში, ცუდად მაინც რომ არ მიიღოს? როგორ მოვიკითხო, თბილად და მოხდენილად რომ გამოვიდეს? რაზე ველაპარაკო, რომ დაინტერესდეს?“ ბა-

ტონმა ყ-მაც გაიფიქრა: „ნეტავ რას იტყვის? მესამე შემთხვევაა, მარტო რომ ვხვდები, პირისპირ. ნეტავი ის ძველი სიმორცხვე თუ მოიშორა? დედამისი კი ძალიან იყო დარწმუნებული და მეც მაიმედებდა. თუ არადა, ამ მორცხვობით... ბოლოს და ბოლოს, ოდესმე ხომ უნდა ჩამოიბერტყოს ადამიანების შიში და ახალ ნაცნობებს გაუშინაურდეს?! კი, ბატონო, ვაღიარებ, რომ წესიერება, მოკრძალება და უწყინარობა მომწონს. რაც მთავარია, დარწმუნებული ვარ, ჩემი მომავალი სიძე უნდა იყოს ამ თვისებების პატრონი, მაგრამ საზოგადოებაში რა ადგილი ექნება? დღეს ხომ მხოლოდ თავხედობა და ურცხვობა ფასობს... ჰოდა, ჩემს გოგონას რა ეშველება?“

აი, ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთმანეთს შეხვდნენ. ბატონი X გაწითლდა და ერთმანეთში ჩახლართული თითები გაატკაცუნა. „გამარჯვობას“ ნაცვლად კინაღამ „ნახვამდის“ წამოსცდა. ხოლო ის, რაც თქვა, მისალმება-დამშვიდობების და კიდევ სხვა სიტყვების საშინელი ნაზავი იყო (ბატონ Y-ს მოეჩვენა, თითქოს „გმადლობთ, დიდი მადლობის“ მსგავსი რამ მოესმა). ხელის ჩამორთმევის შემდეგ გზას მხარდამხარ გაუყვნენ.

ბატონმა X-მა გაიფიქრა: „როგორც ეტიკეტის თვალსაზრისით, ისე მოყვრის ასაკისა და თანამდებობის გათვალისწინებით, მან უნდა დაიწყოს“. ბატონმა Y-მაც თავის თავს ჰკითხა: „რატომ არაფერს ამბობს? მეც დავიცდი. ტყუილად აქვს იმედი, რომ მე დავიწყებ“. და სმენა დაძაბა. ადამიანების ჟივილ-ხივილი და მანქანების შორეული ხმები დასასვენებელი პარკის სრულყოფისთვის ახლახან ამერიკაში შეძენილი და იქიდან ჩამოყვანილი მწერების უცნაურ და გაურკვეველ ზუზუნს ერწყმოდა.

ორივე ჯიუტად დუმდა, ამასობაში ქვიშიანი ხეივანი ჩაათავეს და პარკის ფართო მოედანს მიადგნენ. ბოლოს ბატონმა Y-მა მძიმედ ამოიოხრა (რას იზამ, თავს ამჯერადაც მე გავწირავო) და ჰკითხა:

– აბა, როგორ ბრძანდებით? სიცხეს როგორ უმკლავდებით?

ბატონმა X-მა უპასუხა, გმადლობთო და, თითქოს ცოტა გამბედაობა მოიკრიბა, ამოთქვა:

– თქვენ როგორ ბრძანდებით?

– ძალიან კარგად, თუმცა დღეს ცოტა დაღლილობას ვგრძნობდი. თქვენ როგორ ხართ?

– ვწუხვარ. ღვთის მადლით, ახლა ხომ კარგად ბრძანდებით?

– დიახ, სრულიად...

დუმილი...

ბატონმა X-მა სხარტად მოიაზრა, რომ ატმოსფერო ცივი და მომქანცველი ხდებოდა და გაიფიქრა: „მართლაცდა, რამე უნდა ვთქვა. თბილად უნდა მოვიკითხო... უნდა მივახვედრო, რომ ბევრი რამ ვიცი და მესმის. თუკი ჩემს ფართო განათლებას დაინახავს, თუკი მიხვდება, რა წრფელი და ალალი გული მაქვს, მისი ქალიშვილის შერთვაზე... ოჭ, ჩემი ლამაზი, საყვარელი H... დიახ, H-ის მოცემაზე ერთი წუთითაც კი არ დაფიქრდება. მაგრამ... ძალიანაც კარგი, რა უშავს... წარმოვიდგენ, რომ ამ წუთას შევხვდი, თავიდან დავიწყებ. ბოლოს და ბოლოს, ცოტა გამბედაობა დამჭირდება და ცოტაც... გამჭრიახობა“.

თავის მხრივ, ბატონმა Y-აც კატეგორიულად განსაჯა: „ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი, ეს რა მასხარაობაა... სასაცილოა... ბოლოს და ბოლოს, გაუეუშილს გატეხილი სჯობს! დიახ, მზად ვარ! ერთი უნდა ვნახო, საქმე სადამდე მივა!“

ბატონიშვილი X-მა, ჩვენმა ტანხმელმა, ნატიფმა ყმანვილმა, ჰქონდა:

— მაპატიეთ, ბატონი Y, ხომ კარგად ბრძანდებით?

ბატონი Y-ის თავი შეირხა.

— ჯანმრთელად ბრძანდებით?

ბატონი Y შეკითხვის ტონით დააფრთხო. მომავალი სიძე მის ამბავს ისე კითხულობდა, თითქოს მომაკვდავი იყო, ან საშინელი ამბავი გადახდენოდა თავს. ბატონიშვილი Y-მა საჭიროდ მიიჩნია, თანამოსაუბრე ცოდნილებიდან გამოეყვანა.

— ხომ ხედავთ, ფერ-ხორცი არ მაკლია, ნუ ღელავთ!

— მიხარია... დღისით ვენტილატორს რთავთ ხოლმე?

— დიახ, რატომ მეკითხებით?

— ისე... მინდოდა, თქვენი ყურადღება სიცხისკენ მიმეპყრო, მართლაცდა უმოწყალოდ ცხელა...

— გმადლობთ, მაგრამ ამას ყველა გიუ გრძნობს. სიცხე ისეთი რამე არაა, ვინმესგან ყურადღების მიპყრობას საჭიროებდეს, თვითონვე ახერხებს ამას.

ბატონიშვილი X-მა სასიმამროს სიტყვები ნაღვლიანად დაადასტურა.

ორივენი ქვის მერჩე ჩამოსხდნენ. ლამპიონები აენთოთ, დრო ნელა, მძიმედ მიიზლაზნებოდა და ბატონი X-ის სულსა და ხორცს თავის ცივ, მდუმარე, დამთრგუნველ მარწუხებში წურავდა.

ბატონი X კარგა ხანს ფიქრობდა: „რამე საინტერესო უნდა ვთქვა. რამე ახალი!“ და დაიწყო:

— მაგრამ დამეთანხმეთ, რომ აქ ძალიან გრილა. ხომ გსიამოვნებთ? თქვენთვის სასარგებლოა სუფთა ჰაერი.

ბატონი Y-ის სახე პარკის შუქ-ჩრდილებში უგრძნობი ჩანდა.

ბატონიშვილი X-მა გაიფიქრა: „რა საინტერესო რამე თქვი! თანაც, რა ახალი!“

და გააგრძელა:

— ზაფხულში ბავშვები აგარაკზე რომ გაგეშვათ, კარგი იქნებოდა. ხომ იცით, სიცხე რა შემანუხებელი რამაა. თუმცა გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ზაფხულს ჯანმრთელად გაატარებთ.

ბატონი Y-მა მრისხანე და ღვარძლიანი მზერა სტყორცნა: „ვითომ რაო? ამ ტუტუც ყმანვილს რა უფლებით აეჭვებს და აღელვებს ჩემი ჯანმრთელობა, რომ ასეთ რამეებს მეუბნება?“

ბატონი X ოდნავ თრთოდა, რადგან უნდოდა, გაებედა და ენა მოხდენილი, ელვარე სიტყვით მოექარგა, მომავალი ხანგრძლივი და ტკბილი საუბრების საფუძვლად რომ იქცეოდა. კაცმა რომ თქვას, ეს ახალი თემა გონებამახვილური გამოცანა იყო, რომელიც ახლახან ესწავლა საოჯახო წვეულებაზე. იმ დღეს საღამომდე იგონებდნენ ამ შარადის ვარიანტებს და პასუხებს. გამოცდილება კარნახობდა, რომ ეს გამოცანა მხიარული და თავშესაქცევი იყო. და ბატონიშვილი X-მაც ერთბაშად წამოიყვირა, ხმამაღლა და ბავშვური ინტონაციით (დედა როგორც ასწავლიდა – „ძალიან მკაფიოდ, ძალიან უშუალოდ, ძალიან დამაჯერებლად!“):

— ხუთ წამში უნდა მითხრათ, ვინა ხართ ჩემი!

ბატონი Y კარგა ხანი იყო, რაც სხვა სამყაროში დასეირნობდა და სრულიად აღარ ახსოვდა, რომ გვერდით მომავალი სიძე ეჯდა. ბატონი X-მა ნიშნის მოგებით უთხრა:

— წააგეთ! ვერ გამოიცანით, არადა, ძალიან ადვილია! თქვენ ჩემი ვაჟის დედის ბიძის ძმა ხართ!

ბატონი Y ცდილობდა, თავისი და ბატონი X-ის ოჯახების ნაცნობობის დე-

ტალები გაეხსენებინა და გონებაში ყურადღებით გადაესინჯა. ბატონმა X-მა დაბეჯითებით და, ცოტა არ იყოს, თავსედურად გაუმეორა:

– თქვენ ჩემი ვაჟის დედის ბიძის ძმა ხართ!

ბატონი Y ბატონი X-ის სიტყვების ულარუნმა გამოაფხიზლა. ჰკითხა:

– რა ბრძანეთ? თქვენი ვაჟის? თქვენ ვაჟი გყავთ?

ბატონმა X-მა მხიარულად გაიცინა (გამარჯვება მისკენ იყო) და აუღურტულდა:

– დიახ, ასეა! ხედავთ, როგორ გამოგიჭირეთ? ვიცოდი, ვიცოდი, დედაჩემიც დარწმუნებული იყო!

– თქვენ მე გამომიჭირეთ?

– დიახ, სწორედაც მე, თქვენ რომ გეგონათ, სუნთქვასაც კი ვერ ბედავს და არაფრის უნარი არა აქვსო... ძალიან მიხარია, თქვენი გამოჭერა რომ მოვა-ხერხე!

– ეს რა მესმის! ღმერთმა ქნას, მეშლებოდეს! თქვენ ცოლ-შვილი გყავთ? ღმერთმა ქნას, მეშლებოდეს! ცოლ-შვილი გყავთ?

ბატონი X აწითლდა, მერხზე ბავშვივით აცქმუტდა და ხელი ხელს შემოჰკრა:

– დიახაც! რა მაგარია! ჩემი ვაჟის დედის ბიძის ძმა!

– მითხარით! ლამისაა, გავგიუდე. ამ თქვენი ვაჟის დედის ბიძის ძმამ რა გააკეთა? ეს მართალია? არსებობს?

– რა თქმა უნდა, არსებობს! ცოცხალია და ჯანმრთელი. ისევე, როგორც ჩემი ცოლი. მაგრამ ვაჟი ... ეს კი ჩემი ფანტაზია და ოცნებაა...

ბატონი Y წამოდგა, თავი რამდენ-ჯერმე გადააქნია, ცოტა ხანს ბატონ X-ს უყურა, მიდამო მოათვალიერა და გამკილავად და უნდოდ შესძახა:

– ცოლ-შვილი გყავთ? გამიმეორეთ,

გამიმეორეთ და დამარწმუნეთ, რომ არ მეშლება!

ბატონი X ალუღლუღდა, ენა დაება. რა შესანიშნავია, ბოლოს და ბოლოს, მანაც შეძლო, ვიღაც აეღელვებინა, ვიღაცის ყურადღება მიეპყრო! ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქა:

– არა, სწორად გაიგონეთ! მაგრამ თქვენ არ იცოდით, აქამდე არსად გსმენიათ, ამიტომაც გაებით!

– ჯანდაბა ჩემს თავს! მოვტყუვდი, მოვტყუვდი, მაგრამ ცოლი და შვილი? თქვენ ვაჟი გყავთ?

ბატონმა X-მა სცადა, აეხსნა, მაგრამ მღელვარება და შინაგანი სიხარული აკავებდა:

– მომავალი... ეს მომავლის ამბავია... არა, ცხადია, რომ ცოლი მყავს, მაგრამ ეს ერთი მოხდენილი შარადაა, თქვენ კი არ იცოდით...

ბატონმა Y-მა თავში შემოირტყა და თქვა:

– ჴო, მაშ, თქვენ ვაჟი გყავდათ და არ ამბობდით? ცოლი გყავდათ და არავინ იცოდა? ესე იგი, ეს თქვენი კეთილშობილური გარეგნობა და სიმორცხვე (დაიმანჭა!) და ეს სულელური ლაპარაკი: „როგორ ბრძანდებით? იმედი მაქვს, კარგად ბრძანდებით!.. დედა მოკითხვას გითვლით...“ შემთხვევითი არ ყოფილა?! ო, რა სიმდაბლეა! ეს ყველაფერი ხრიკები იყო?! ვაი შენ, საცოდავო Y! შენ, „კეთილშობილო და მოკრძალებულო“, ამ დიდი ოჯახის მოტყუება მოინდომე? ჩემი მშვენიერი H-ის გაუბედურება მოინდომე? მხეცო! ცხვრის ტყავში გახვეულო მგელო! ვაჟბატონს ცოლ-შვილი ჰყოლია, ათასი მამაძალლობა ჩაუდენია და ახლა წითლდება... „როგორ ბრძანდებით?“ გოგოსავით ინაზება: „ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით?“ დიახ, ბატონო, ჯანმრთელად ვარ! კარგია, რომ გამოგი-

ჭირე! ჩემს სიკვდილს ვერ მოესწორები! ახლა მესმის, ჩემი ჯანმრთელობა რატომ გადარდებდა! გინდოდა, უჩემოდ მოგეკეთებინა შენი ბინძური საქმეები! ბატონი X! შენ არა ხარ H-ის ლირსი. ოჟ, ჩემო საყვარელო H, რა დროულად მივუხვდი, რა დროულად გადაგარჩინე!”

...ბატონი X ხედავდა, რა სისწრაფით შორდებოდა ბატონი Y. მისი ჩრდილიც კი გაურბოდა იმ კაცს, მომავალში სიძეობას რომ უპირებდა. მაგრამ გრძნობდა, ბალის მერხს მილურსმოდა. გაიფიქრა: „რა გაუგებრობაა... უნებურად მომივიდა! ეს ხომ ჩემი დისშვილების მოგონილი გამოცანაა, მე რა შუაში ვარ? რას იზამ, უნდა ავუხსნა. მაგრამ როგორ ავუხსნა? ნეტავ ერთი სიტყვა მაინც მეთქვა, არ გამეშვა და მოთმინებით ამეხსნა ყველაფერი! მაგრამ როგორ? შევძლებდი კი? აი, დედაჩემი გვერდით რომ მყოლოდა, იქნებ მომეხერხებინა, თორემ...“

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ერთი ლურჯშარვლიანი, პირში სიგარეტგარჭობილი მარჯვე, გამოქექილი ბიჭი მიუახლოვდა. ბატონი X, მუნჯი და უტყვი, ქანდაკად ქცეულიყო... ბიჭს ხელში ქაღალდის ფურცელი ჩაებლუჯა. მისკენ წავიდა და ჰქითხა:

- თქვენ ბატონი X ხართ?
- დიახ.
- ეს ქაღალდი ერთმა ბატონმა მომ-

ცა. მაღალი იყო, შავი ქუდით. თქვენი თავი შორიდან დამანახვა. ეს სიგარეტიც მაჩუქა ხუთრიალიანთან ერთად. ხომ არაფერს დამავალებთ?

ბატონმა X-მა წაიკითხა:

„თქვენ ულირსი, თაღლითი ადამიანი ხართ! მსახიობი ხართ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მინდა ვალიარო, ცბიერად ახერხებდით, მე და ჩემი ოჯახი თქვენს გულწრფელობასა და კეთილშობილებაში დაგერნმუნებინეთ. ახლა კი მორჩა: წადით, თქვენს ცოლ-შვილში იბედნიერეთ! H-ს თქვენთან ალარაფერი აკავშირებს. შეგიძლიათ, ეს ამბავი ოფიციალურად შეატყობინოთ დედათქვენს, მამათქვენს, ბატონ DDT-ს და ქალბატონ TDD-ს.“

ბიჭმა გულგრილად და დამცინავად გაუმეორა:

- ხომ არაფერს დამავალებთ?

ბატონმა X-მა ყურადღებით ჩახედა თვალებში (რა უნდა დაენახა ამ თვალებში? მხიარულება და უდარდელობა, რაც ახლა ძალიან დამთრგუნველი იყო და რაც ძალიან აკლდა ბატონ X-ს) და ჩაილაპარაკა:

- ესე იგი, ყველაფერი დამთავრდა? მერე, სიყვარული? ჩემს სიყვარულს რა ეშველება? მე ხომ მიყვარს H. დედა აუხსნიდა, აქ რომ ყოფილიყო. კი, ნამდვილად აუხსნიდა...

ბიუან ნაჯდი (1941-1997)

ბიუან ნაჯდი თანამედროვე სპარსული პროზის განსაკუთრებით საინტერესო და თვითმყოფადი წარმომადგენელია. ირან-ერაყის ომში მოხალისედ წავიდა, რადგან, როგორც მოქალაქეს, სჯეროდა, რომ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც სამშობლოს უჭირდა. თუმცა ომი გაუსაძლის ტკივილად დაანვა მის პოეტურ სულსა და გატეხილ ჯანმრთელობას. ბიუან ნაჯდის თანამდევი სევდა ადამიანის უგუნურება იყო, გაცხადებული ძალაუფლებისაკენ დაუცხომელ ლტოლვაში, პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების უსასრულო მცდელობაში; უგუნურება – გლობალურად გამოხატული დაუსრულებელ ომებში, რევოლუციებში, განსხვავებული აზრის დათრგუნვაში...

ქართულად თარგმნილია ბიუან ნაჯდის რამდენიმე ნოველა: „სიბნელე ჩექ-მაში“ (მთარგმნ. მ. ბურჯანაძე), „უსაათო დრო“, „ჩემი ღილის თვალები“ (მთარგმნ. ა. გლურჯიძე).

სველი სამშაბათი

სამშაბათი სველი იყო. მალიჲე სი-გამხდრეზე ჩამოლვრილი ჩადრისა და ცისფერი ქოლგის ქვეშ მიუყვებოდა თავისივე სიზმრებივით და ზმანებებივით დახლართულ ქუჩას. წვიმა საწვიმარი მილების, ქოლგისა და ასფალტის ხმაზე წვიმდა. ფანჯრებზე, ქუჩის ორივე მხარეს, ორთქლის ფარდები ეკიდა, ჰაერს კი შეშისა და ჭვარტლის სუნი დაჰკრავდა.

მალიჲეს მოუხატავ თვალებამდე ჩაერგო თავი ჩადრში და ქოშინისა და ქუსლების ბაკიბუკის გვერდით ლამის მიბოდა. შემოდგომა თავს ახლიდა ქოლგის სიცისფრეს, მალიჲეს სხეულს ჩადრს აცლიდა და ქოლგას ხელიდან სტაცებდა. ჩადრიდან გამოჩრილი ნაფტალინიანი და დაუუთოებელი კაბა ნარინჯის ფოთლებით ავსებულიყო და ნაფტალინის სუნი მალიჲეს ოცდაოთხი წლის კანს ედებოდა. კანს, რომელზე-

დაც არცერთი კაცის ხელს არ გაევლო. ვინმეს რომელიმე ფანჯარაზე გაკრული ორთქლი რომ გადაეწმინდა, ქალს დაინახავდა, ჩადრის კიდე კბილებით რომ დაეჭირა და არ იცოდა, ამობრუნებული ქოლგისთვის რა მოეხერხებინა. მაშინ იყო, რომ მალიჲემ ქოლგა გაუშვა, ორივე ხელით ტანსმოშორებული ჩადრი მიიტაცა და მას შეეფარა. ქარმა ქოლგა კედლისკენ მოისროლა, ასფალტს დაანარცხა და იქამდე ათრია, სანამ ლამპიონის სვეტს არ მიალენა. ქოლგას რამდენიმე ზამბარა გაუტყდა, სველი სიცისფრის ნაწილი გაეხა. ლამპიონის სვეტიდან ქუჩის სიღრმეში, ერთ-ერთი ხისკენ გადაინაცვლა. ქსოვილის ფხრენისა და ქოლგის ძვლების მსხვრევის ხმა ფანჯრებს გაუყვა.

რომელიღაცა სახლის ღია კარიდან მოკლეფეხება ძალლი გამოძვრა, ქოლგას გაეკიდა და აყეფდა. წვიმა სისხლი-

ვით ასხამდა ქოლგის ჭრილობებიდან. ქოლგა ხეს მიენარცხა და იქვე უღონოდ ჩამოშვა შემოდგომის ხელებში, გაშლილი ცისფერი ქოლგის სრულიად აღარ-მსგავსი. ძალლმა შემოუარა, კიდევ რამ-დენჯერმე დაიყეფა და გაჩუმდა. უკან გაბრუნდა, ყოველ სამ-ოთხ ნაბიჯში თავს აბრუნებდა და ქოლგას უყურებდა. ერთი ფანჯარაც კი არ გაღებულა. ფანჯრიდან ორთქლი არავის გადაუწ-მენდია. ქოლგას თავისი ზამბარების შე-კუმშვის ხმა არ ესმოდა. კვდებოდა და ვერც ერთ წვიმას ვეღარ იხსენებდა. მხოლოდ ერთი, შორეული და ჯერ კი-დევ თბილი, მოგონება შემორჩენოდა – მალიშეს ხელისგულის. და ისიც ნელა, წყნარად, წყნარად და ნელა, ნელა და წყნარად ერთვოდა დავიწყებას; მოგო-ნება, რომელიც სწორედ იმ დილით გა-მოსულიყო ევინის¹ ციხის დიდი ჭიშკრი-დან. იმ დღეს ვიღაც თვალებშეშუპე-ბულ ქალს, თმაამოუქნელი სახე უმოწ-ყალოდ რომ აბერებდა, ტალებიანი ხე-ლით (ასეთი ტალები მხოლოდ ვაშლის კანზე იცის) ქოლგის ტარი ჩაებლუჯა და თითებიდან განელილი სიცისფრე-ელვრებოდა.

ხალხი რამდენიმე კორესპონდენტს შემოხვეოდა:

- ესე იგი, დღეს ნამდვილად ყვე-ლას უშვებენ?
- დიახ... სხვა რა გზა აქვთ...

ქალი ცალი მხრით ხალხსა და ციხეს შორის მესერს მიყრდნობოდა. რამდენი-მე გისოსის მოშორებით მდგარი მალიშე თვალს არ აშორებდა რკინის ჭიშკარს, ზევიდან ალიონის ფითრი რომ დაეკრა. სერუანტს კორესპონდენტები რიკულე-

ბის გვერდით მდებარე კიბეზე ჩაჰყავ-და. შორიდან თეირანის სუნთქვა ისმო-და.

ხალხი თვალებზე ხელს ისვამდა. თითქოს საპნის ქაფით სავსე ჰაერში უმზერდნენ იქაურ გორაკებსა და მავ-თულებლართებს.

ფოტოკორესპონდენტების დანახვა-ზე მალიშემ სახეზე ხელი აიფარა. ფო-ტოაპარატის ნათურა მთვარის სხივი-ვით გაკრთა და ჩაქრა.

მეორე დღეს იმ ქალის სურათი, მა-ლიშესგან ოდნავ მოშორებით, გაზეთის პირველ გვერდზე გამოჩნდა. სხვა გა-ზეთში კი ევინის ციხის აღაყაფის ჭიშ-კრის ფოტო დაებეჭდათ, 1324-1357² წლების ჩავლის ხმაზე რომ იღებოდა.

ხალხმა ერთბაშად იხუვლა. მალიშე თავს აქეთ-იქით ატრიალებდა: სახიდან – სახეზე, სახიდან – სახეზე. დილისგან დაცლილ იქაურ სიცივეში მთელ იმ კედ-ლებს, ფლოსტებს, საწოლის რიკულებს, იატაკის ფილებისა და დღეების დაუს-რულებელ თვლას მიჩვეულ თვალებს შორის სიავუშს ვერ პოულობდა (შვიდი წლის წინ მალიშეს მამა, სიავუშ რეიპა-ნი, ციხის კარტოფილის საწყობის უკან ხის ბოძზე მიბმული დაეხვრიტათ... რა თქმა უნდა, წვიმამ შეიძლო, რომ სის-ხლი ბალახს არ შეხმობოდა). ცხადია, მალიშე გისოსებს აქედან კარტოფილის საწყობს ვერ დაინახავდა, ისევე, რო-გორც ბალახს... ისევე, როგორც ჯერ-ჯერობით ქოლგასაც ვერ ხედავდა.

ქალმა ქოლგა წინ გააჩოჩა... რო-გორც ხელჯოხი და ფეხები. ბეტონის კიბეზე ავიდა და, სანამ ატირდებოდა, დაიძახა:

¹ „ევინის“ ციხე შაჰის რეჟიმის დროს აშენდა. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბევრი პოლიტ-პატიმარი გათავისუფლდა ამ ციხიდან. თუმცა თანდათან იგივე ციხე რევოლუციური მმართვე-ლობის საპყრობილები იქცა.

² 1324-1357 (1946-1979) – შაჰის რეჟიმის წლები. ისლამური რევოლუციის გამარჯვების ოფიცია-ლურ თარიღად 1979 წლის 11 თებერვალი მიიჩნევა.

— ამირპოსეინ, ამირპოსეინ, აქა ვარ!

ახლად ულვაშებაშლილი ახალგაზრდა კაცი ქალებს შორის მოიკვლევდა გზას. ქალი იმ საფეხურამდე ამოვიდა, მალიჰე რომ იდგა. ახალგაზრდა კაცი ხალხის მხრებს ისე იშორებდა, თითქოს წყალს მოაპობსო და მკლავებგაშლილი წინ მოიწევდა.

— ამირპოსეინ...

ქალი კიბეზე ჩავიდა. ჩადრის ერთი ბოლო, ბეჭონზე რომ დასთრევდა, ფეზე წამოედო. წაიფორხილა. მალიჰე მისკენ წაიწია და იღლიაში ამოსდო ხელი. ამირპოსეინი ყვიროდა:

— ფრთხილად, დედი!..

ქალი მალიჰეს ხელში ჩაეღვენთა და, სანამ ამირპოსეინს ჩაიხუტებდა, ქოლგა მალიჰეს გადასცა და უთხრა:

— ერთი წუთით დამიჭირე, დედი-კო!..

მერე სახით ამირპოსეინის პერანგის გახსნილ საყელოსა და ყელს მიეკრო, ჯერაც ევინის პლედების სუნი რომ ას-დიოდა. ერთმანეთს ჩაეხუტნენ, 1357 წლის შემოდგომის მიწურულის რომელილაც დღეს თავს გადაევლნენ და თვალს მიეფარნენ. ისე, რომ არც მალიჰეს ხმა გაუგონია ვინმეს, რომელიც ამბობდა:

— ქალბატონო, თქვენი ქოლგა... ქალბატონო... ქოლგა...

სერუანტი მეგაფონში აცხადებდა:

— თუ შეიძლება, ჩასხედით, ავტობუსისკენ წამობრძანდით, იჩქარეთ, ბატონებო...

მალიჰე ხალხს ეკითხებოდა:

— კი, მაგრამ... დანარჩენები?

ქოლგა მკერდში ჩაეკრა და ყველა გამვლელ-გამომვლელ ქალსა თუ კაცს ეკითხებოდა:

— დანარჩენები... სად არიან?

ბოლოს კი იძულებული გახდა, იმ სერუანტს სწვდომოდა მხარში და ეკითხა:

— მეტი აღარავინაა? სულ ესაა?.. უანდარმმა თავი ციხისკენ მიაბრუნა.

ევინის დიდ ჭიშკართან, — ძველ ჭრილობასავით, შემხმარ ჭრილობასავით, სისხლშემშრალ ჭრილობასავით რომ დაეღო პირი, — საკუთარი ფეხების მობერებულ ილუზიებზე იდგა სიავუში. ყელზე ის გრძელი თეთრი შალი ეხვია, ნლების წინ, დაპატიმრებისას, მალიჰეს კაბის გვერდითა საკიდიდან რომ ჩამოეხსნა.

მთელი ის წლები, როცა კი შემთხვევა მიეცემოდა, მალიჰე კაბას ჩამოხსნიდა, ნაფტალინს აყრიდა და ისევ ადგილზე კიდებდა. ზუსტად იმავე კაუჭზე, იმ გრძელი შალის გვერდით, რომლის სითეთრეშიც ახლა მისკენ მოაბიჯებდა სიავუში. წყნარად უთხრა:

— გამარჯობა, მამა.

იცოდა, მამის სახეს ხელით რომ შეხებოდა, შორი და გრძელი გზა უნდა გაევლო რეალობასა და ოცნებას შორის.

ავტობუსი წასულიყო. ორი-სამი კაცი მიეხმარა, რომ მამამისს მიკროავტობუსში შეჰყოლოდა. მძღოლი მალიჰეს თვალებში მიშტერებოდა და ვერ გაეგო, მისი მგზავრი ტირილს აპირებდა თუ წამტირალევი იყო.

როგორც კი დაძრა, ევინის გორაკები ამოძრავდნენ. სათვალთვალო კოშკი, ჩამქრალი პროექტორით, შორს დარჩა, ხეებმა მიკროავტობუსს ფეხი აუწყვეს. მავთულხლართის მწკრივი წრედ დატრიალდა, მისი ეკლიანი ბოლოები იმ წვიმის წვეთებში ჩაიმალა, რომელიც არ წვიმდა და მალიჰეს ეგონა, წვიმსო. მძღოლმა მიკროავტობუსი დაღმართს ჩააყოლა. მინა, მალიჰეს სახის გვერ-

დით, გორაკებისგან, კოშკისა და მავ-
თულხლართისგან დაიცალა.

- დამთავრდა, მამა.
- რა დამთავრდა?
- ახლა იმ კედელთან მივალთ, რო-
მელზეც ხალხი უამრავ რამეს წერდა...
- კედელი... კედელი, კედელი.

მამას თავი დაეხარა და ფრჩხილებს
დასცქეროდა.

მალიჰე თაჯრიშის ხიდამდე დუმდა.

- ეწევით?

ხიდზე მიკროავტობუსმა ტანკს ჩაუ-
არა, რომლის სარქველზეც ჯარისკაცი
შემომჯდარიყო და სიგარეტს ეწეოდა.
მძღოლმა ერთი ბლუჯა კვამლი დაინახა,
თუთუნის სუნის გარეშე, რომელიღაცა
მგზავრის ხელის ხმით რომ ამოევსო
მიკროავტობუსის სარკე. სარკის გვერ-
დით მაღალი შენობა იწვოდა. სროლის
ხმა ისმოდა. მალიჰემ მამას სთხოვა,
სათვალე გაეკეთებინა და ნეონის ნამ-
ცვრევებისთვის შეეხედა, სიტყვებიდან
„საექსპორტო ბანკი“ რომ ცვიოდა
ტროტუარზე.

- გააჩერეთ, თუ შეიძლება.

ჩამოვიდნენ და მძღოლმა ავტობუ-
სიდან ჩამოსულ „იმას“ მარტობაზე
შესაფერისი სიტყვა ვერ მოუძებნა.
ვერც გამვლელები მიხვდნენ, რომ კაც-
მა, ისე, რომ არ არსებობდა, მათ წინ
ქალთან მკლავიმკლავგაყრილმა ჩაიდ-
რა.

- ძალიან დაიღალეთ, მამა?
- კიდევ ბევრი დარჩა?
- უკვე მივედით.
- ჩვენი უბანი არ ჯობდა?

- დედას მერე... (არც თქვენ იყა-
ვით). იმ ოთახების ატანა აღარ შემეძ-
ლო. დედას ნივთებისთვის რა მექნა, არ
ვიცოდი. ყალიონის დანატოვარი მისი
ხელის ხმაც სახლში ტრიალებდა. ამი-
ტომაც გადმოვედი აქეთ. ახლავე მი-
ვალთ. ბაბუა ჯერ ნებას არ მრთავდა,
მერე კი მითხრა, სადაც უფრო მშვიდად
იქნებიო... დედა? ექიმები ამბობდნენ,
ფარისებრი ჯირკვალიაო.

- ფარისებრი ჯირკვალი კი არა,
ჩიყვი¹

- ეგ ერთი და იგივეა, მამა.
- არა.

მალიჰე კართან შეჩერდა. გასაღების
ამოსაღებად დიდხანს ქექა ხან ერთი
ჯიბე და ხან – მეორე. იცოდა, როგორც
კი კარს გააღებდა, ისევ იმ ჩამოცვენი-
ლი ტანისამოსის გვერდით, მიმოფან-
ტულ გაზეთებზე, საკუთარ გამოსახუ-
ლებასთან სარკეში, სიგარეტის ნამწვით
სავსე საფერფლებთან უნდა ჩაევლო
და კედელზე მიჭედებული პატარა ჩარ-
ჩის ქვეშ ჩამომჯდარიყო. იმ ძველი
ჩარჩის ქვეშ, რომელზეც ეწერა: „ჩემში
ჩაესვენე, ბებერო მზეო“. გასაღები გა-
დაატრიალა და ეზოში შევიდა. ქოლგა
გახსნა და ცისფერი ქსოვილის აქეთა
მხრიდან ცას ახედა. ცა იმდენად დაბლა
იყო, რომ მალიჰეს შეეძლო, ერთი მუჭა
ჩამოეღო და დაეყნოსა. ქოლგიანად შე-
ვიდა ოთახში. ფარდები ისე გაცის-
ფრდა, როგორც სარკე. ქოლგა დაუკე-
ცავად დადო მაგიდაზე. მაგიდის მეორე
ბოლოში წყლის სურა, წვეთი წყლის გა-
რეშე, წყლით იყო სავსე².

მალიჰემ მამის შალი აიღო და თავისი

¹ ჩიყვი (სპ. ყამბად) – სპარსულად ამ სენის ხალხური სახელი მწუხარებას, ნაღველს უკავშირდება.

² ფერი, რომელიც ქართულში ზეცას, ცის ლაშვარდს უკავშირდება და ამიტომ ცისფერია, სპარ-
სულ ენაში წყლის ფერთანაა გაიგივებული. ნაჯდის პროზაში წყალი ხშირადაა დაკავშირებული
ოცნების ფერთან – წყლის ფერთან (ქართველებისთვის – ცის ფერთან).

კაბის გვერდით ჩამოკიდა. ახლა ხის საკიდზე მისი სახელო სიავუშის მხარს ეკვროდა. ახლა ევინის კარტოფილის საწყობისა და ნაფტალინიანი კაბის სუნი ერთმანეთს ერთვოდა. მალიჭემ თქვა:

— თქვენ ცოტა ხნით წამოწექით, მე სამოვარს ჩავრთავ, მერე დავსხდეთ და ვისაუბროთ.

ფანჯრის იქით, როგორც იქნა, განვიმდა, რისთვისაც შემოდგომა, დილიდან მოყოლებული – ამ წუთამდე, ზოზინით ემზადებოდა. მალიჭემ რადიო ჩართო. წინა დღეების გაზეთები მაგიდაზე დააწყო. კაბა გამოიცვალა და თქვა:

— რამით გაერთეთ, სანამ მე ბაბუას მოვიყვან.

და იმ სველ სამშაბათს, ცისფერი ქოლგის ქვეშ და სიგამხდრეზე ჩამოღვრილ ჩადრში, სახლიდან გავიდა. წვიმა ქოლგას ქსოვილის ხმაზე აწვიმდა. შემოდგომა თავს ახლიდა სიცისფრეს. ქარი ჩადრს აცლიდა მალიჭეს სხეულს და ხელიდან ქოლგას სტაცებდა. მას კი არ შეეძლო, ქოლგაც შეეკავებინა და ჩადრიც. არც ის უნდოდა, ვინმეს, ბაბუას გარდა, ნარინჯის ფოთლებით ავსებულ კაბაში დაენახა. ქოლგის ტარი გაუშვა. ქუჩის ბოლოს ტაქსიში ჩაჯდა და, ბაბუასთან მისვლამდე, მანქანების სიგნალს უგდებდა ყურს, მთელ თეირანში რომ ისმოდა. ქოლგის მსხვრევის ხმა კი არ ისმოდა. როცა ბაბუამ კარი გაუღო, მალიჭემ იგრძნო, რომ სიგნალის ხმებს ბოლო მოეღო და რომ არსებობს ქვეყნად რაღაც, რასაც ღიმილი ჰქვია.

— გამარჯობა.

ბაბუამ გაუღია:

— გამარჯობა შენ და ზახრუმა! დილიდან გელოდები.

მალიჭე სარკისკენ წავიდა და თმები პირსახოცით შეიმშრალა. დაივარცხნა და შვიდი წლით უფრო ახალგაზრდა სა-

კუთარი თავი მოხუცს მკერდში ჩააკრა.

— ყველა გაათავისუფლეს, ბაბუა, ყველა...

— ვიცი, ერთი საათის წინ BBC-ზე გადმოსცა.

— მე ვნახე ის. ვნახე...

— სად?

— ევინის ჭიშკართან.

— იქ რა გინდოდა?

— რა მინდოდა? მივაკითხე...

— მალიჭე, დაჯექი. ერთი წუთით დაჯექი.

— დიდი ამბავი იყო, კორესპონდენტები, ფოტოგრაფები.

— გეუბნები, დაჯექი, მალიჭე!

მალიჭე იატაკზე დაჯდა, შუბლიდან თმა გადაიწია, ხელი კაბაზე ჩამოისვა.

— შეცდომა იყო... ამდენი წელი შავები მეცვა.

ბაბუამ თავი მოაპრუნა:

— თავს წუ იტყუებ, მალიჭე!

ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ამ სკამს გადაუსვი ხელი, ხელი მოჰყიდე, მიდი. ზის ზედ ვინმე? არა... იმ საწოლს შეხედე... წევს ვინმე? არავინაა, მალიჭე... ყველა მოკვდა... დედამენი, სიავუში...

მალიჭემ თქვა:

— ეს სხვადასხვა რამაა. დედა ჩვენ დავმარხეთ, ასე არაა? ვნახეთ, როგორ განბანეს, არა? სიავუში კი იმ წელს გაჩვენათ ვინმემ? ან ცოცხალი, ან მკვდარი? მთელი ეს წლები... საფლავი, საფლავის ქვა ან სხვა რამე – ჩვენთვის არავის არაფერი უჩვენებია.

ბაბუამ უთხრა:

— წადი, ჩემი ვალიუმის აბები მომიტანე, მაცივარზეა.

ვალიუმის შემდეგ ბაბუამ... ჭიქა წყლის შემდეგ ბაბუამ... ყელში ჩასრიალებული სიცივის შემდეგ ბაბუამ თქვა:

- რეალობა ისაა, რომ მკვდარია. მალიჭემ თქვა:
- რეალობა ისაა, რომ მე დღეს იქვიყავი.
- რისთვის?
- არ ვიცი. ეგაა, რომ ჩემი თვალით ვნახე, ადამიანებმა როგორ ჩაიხუტეს შვილები, ქმრები და წავიდნენ... მერე ხელები გავშალე. ვიღაცას ვეძებდი, რაღაცას... ვხედავ, ხელში ქოლგა მიჭირავს. ჩავიხუტე. ოცნება, რომელიც ცისფერი იყო, ძალიან ცისფერი. სახლში წამოვიდე, ვესაუბრე...
- ესე იგი, ახლა ქოლგა გაქვს, რომელიც შენთვის რეალობაცაა და ოცნებაც...
- არა, ერთი საათის წინ, სახლიდან რომ გამოვედი, ისე წვიმდა, ქოლგა ამომიტრიალდა და ხელიდან გავუშვი.
- რატომ?

- იმიტომ, რომ მართლაც ქოლგა იყო, გესმის, ბაბუა? ისევ ქოლგად ქცეულიყო.

დამთავრდა მალიჭეს მცდელობა, დაემალა ტირილი, წვიმა-წვიმა რომ მოსდევდა ბაბუას სახლამდე.

- უნდა წავიდე... სახლში მინდა დავბრუნდე.

ბაბუამ ჩაიცვა.

- ადექი, წავიდეთ.

დავიწყებულსამშაბათიანი თეირანის ქუჩებს ჩაუარეს, სადაც, გაფიცვების გამოისობით, ხან იყო შუქი, ხან – არა. ხან სიბნელე იდგა, ხან კი – ერთი ლამპიონის სიგრძე სინათლე. ამიტომ იყო, რომ მალიჭემ და ბაბუამ ვერც ერთი ხის ძირას ვერ იპოვეს ქოლგის ცხედარი. ახლა ქოლგაც სიავუშად ქცეულიყო.

**სპარსულიდან თარგმნა
მზია ბურჯანაძემ**

ზორა ფირზადი (დაიბ. 1952 წ.)

ზორა ფირზადი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე ირანელი მწერალია. მან მეოცე საუკუნის მიწურულს ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნა მოთხრობების სამი კრებული და ორი რომანი და ერთბაშად დაიმსახურა მყითხველის სიყვარული. მისი ნაწარმოებების მთავარი თემატიკა ე.წ. გენდერული საკითხია, სხვადასხვა რაკურსით დანახული. ზორა ფირზადი არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია და მისი წიგნები სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი. მას ჩვენი მკითხველიც იცნობს ნოველებით „ბინა“ (მთარგმნ. ნ. ვანაძე), „ყვავილები გადასაფარებლის შუაგულში“, „ლაქები“ (მთარგმნ. თ. შურლაია), „პერლაშეზი“ (მთარგმნ. მ. ბურჯანაძე), „ერთი სიცოცხლე“, „გაზაფხულივით“ (მთარგმნ. ა. გლურჯიძე); კრებულით „შევეგუებით“, რომელშიც გაერთიანებულია ზ. ფირზადის სამი მოთხრობა სათაურით „აღდგომამდე ერთი დღე რჩება“ (მთარგმნ. მ. ბურჯანაძე) და რომანი „შევეგუებით“ (მთარგმნ. თ. შურლაია).

კურდლეის ზღაპარი და პამიდორი

ყოველდღე ვეუბნები საკუთარ თავს: „დღეს მოთხრობას დავწერ“. მაგრამ სალამოს, ჭურჭლის რეცხვას რომ დავამთავრებ ხოლმე, ვამთქნარებ და ვამბობ: „ხვალ. ხვალ აუცილებლად დავწერ“.

ვახშმის ჭურჭელი დავრეცხე. სამზარეულოს ვალაგებ და ტელევიზორთან ვჯდები. ჩემს თავს ვეუბნები: „ქალადის ნაგლეჯზე რამდენიმე წინადადებით იმ მოთხრობის მონახაზს გავაკეთებ, გონებაში რომ მაქვს და ქალალდს სააბაზანოს სარკეზე მივაკრავ. დილას, ხელ-პირის დაბანისას, გამახსენდება, მოთხრობის დაწერას რომ ვაპირებ“. ხვალ, სადილს რომ მოვამზადებ, სანამ ქმარი და ბავშვები სამსახურიდან და

სკოლიდან დაბრუნდებიან, მოვასწრებ. ხვალინდელი სადილისთვის მოშუშულ პამიდორს გავაკეთებ, დროს არ წაიღებს. ბავშვებს უყვართ მოშუშული პამიდორი, ქმარს კი... წარმომიდგენია მისი სახე: საჭმელს თავჩაღუნული ჭამს და სუფრიდან მდუმარედ დგება. ვიცი, არ უყვარს მოშუშული პამიდორი, თუმცა არ ჭინჭყლობს და არ ბუზღუნებს. სამაგიეროდ, ზეგ იმას მოვუმზადებ, რაც უყვარს. ზეგ წავალ, ახალ მწვანილს ვიყიდი და ყორმესაბზის¹ გავაკეთებ. ზეგ, მოთხრობა რომ აღარ მექნება დასაწერი, დროს გამოვნახავ მწვანილის დასარჩევად და გამყიდველთან საბუზღუნოდ, რატომაა მისი მწვანილი ქვიშითა და ნაგვით სავსე. მერე ჭურ-

¹ ყორმესაბზი – ირანული კერძი, რომელიც ხორცით, ლობიოთი და ბლომად მწვანილით მზადდება.

ჭლის ნიჟარას წყლით ავავსებ და მწვანილს ჩავალბობ. ერთხელ გავრცხავ და წყალს გამოვუცვლი. მეორედ გავრცხავ და წყალს გამოვუცვლი, მესამედ, მეოთხედ... ზოგჯერ შვიდჯერ და რვაჯერაც კია საჭირო. სათვალეს გავიკეთებ და მწვანილს კარგად მივაბრუნ-მოვაბრუნებ - ნალმა-უკულმა, რომ ტალახი არ შერჩეს. მერე დავჭრი. ამჯერად ფრთხილად ვიქნები, რომ თითო არ გავიჭრა. მწვანილის დაჭრისას თითსაც ვიჭრი ხოლმე. ჩემი ქმარი იცინის: „თხუთმეტი წელია, დიასახლისი ხარ და მაინც ვერ გაიწაფე“. მეც ვიცინი. ვიცი, ხუმრობს. მწვანილს წვრილად ვჭრი. დედაჩემი ამბობს: „ყორმეს მწვანილი ძალიან წვრილად უნდა დაიჭრას“. თვითონ ხომ მწვანილის დაჭრის დიდოსტატია. ჩქარ-ჩქარა ანაკუნძებს და თითსაც არასდროს იჭრის. მწვანილის მოხრაკვასაც ცოდნა უნდა. თხუთმეტი წლის მანძილზე ეს ვისწავლე. დაბალ ცეცხლზე გამუდმებით უნდა ურიო, რომ არ დაიწვას და კარგად დაიბრანოს. ლობიოს წინასწარ დალბობა არ დამავიწყდეს, დროზე რომ მოიხარშოს. ამასწინათ, ყორმესაბზი რომ გავაკეთე, ლობიოს ჩალბობა დამავიწყდა, ხორცი მოიხარშა და კიდეც ჩაიხარშა, ლობიო კი უმი დარჩა. ქმარს არაფერი უთქვამს, მაგრამ, სუფრა რომ ავალაგე, დავინახე, ლობიოს მარცვლები თეფშის კიდეზე დაეგროვებინა. იმ საღამოს ჩემმა გოგონამ თქვა, მუცელი მტკივაო. ქმარმა გაზეთის ზემოდან გამომხედა. მერე ჩაიღიმა და სამზარეულოსკენ მანიშნა. ჩემმა ქმარმა, ისევე, როგორც ქმრების უმრავლესობამ, არ იცოდა, რომ ცამეტი წლის გოგონებს ხშირად სტკივათ მუცელი.

ხვალ მოშუშული პამიდორი დიდ დროს არ წამართმევს და მოთხრობას დავწერ. მოთხრობა, რომლის დანერასაც ვაპირებ, ბავშვებისთვისაა. ერთი კურდღლის ზღაპარია, მონადირის მიერ ამოთხრილ ორმოში რომ ჩავარდა. ორმო ღრმაა და კურდღლი ვერ ამოდის. მეგობრები მიაგნებენ, მაგრამ მის ამოყვანას ვერ ახერხებენ. საჭმელს და წყალს უზიდავენ, შიმშილით რომ არ მოკვდეს. ხანდახან ზემოდან ელაპარაკებიან, გული რომ არ გადაელიოს. კურდღლიც თბილადაა, კომფორტულად, მაგრამ გარეთ გასვლა უნდა. ორმოდან ცის ნაგლეჯს ხედავს, რომელიც ხან ნათელი და ცისფერია, ხანაც – მოლუშული და ნაცრისფერი. დღისით მონავარდე ჩიტებს ხედავს, ღამით კი – ვარსკვლავებს.

ჯერ არ ვიცი, ბაჭიას ორმოდან როგორ ამოვიყვან. ხვალ მოვიფიქრებ. რომ არ დამავიწყდეს, ამ ადგილამდე რამდენიმე წინადადებას ჩავინიშნავ... ვამთქწარებ. წავალ, დავწვები, რომ ხვალ გამოძინებული ვიყო. ხვალ ბაჭია ღრმა ორმოდან უნდა ამოვიყვანო. მწყურია. სამზარეულოში გავდივარ და წყლიანი ბოთლის გამოსაღებად მაცივარს ვალებ. ჩემი მზერა ხილ-ბოსტნის ჭურჭელს ხვდება. ორი პამიდორილაა. ორი პამიდორი ხვალინდელი მოშუშული პამიდვრისთვის ცოტაა. უნდა ვიყიდო. წყალს ვსვამ. მეძინება. ჭიქას ადგილზე ვდგამ, შუქს ვაქრობ და სამზარეულოდან გამოვდივარ. რაღაცის ჩაწერას ვპირებდი. რისას? შემოსავალ-გასავლის ბლოკნოტიდან ფურცელს ვხევ და ვწერ: „პამიდორი“. ფურცელი სააბაზანოს სარკეს უნდა მივაკრა. არ დამავიწყდეს, რომ...

სარჩევი

პრაგული ლიტერატურა

მაჰვარი.....	7
ამინ არ რეიჰანი, ლოცვა. თარგმანი დარეჯან გარდავაძისა	7
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, ნოველები. თარგმანი თამარ თაბუაშვილისა	12
მიხაილ ნუაიმე, ნოველები. თარგმანი ნინო სურმავასი.....	19

თურქული ლიტერატურა

აზიზ ნესინი, ექიმების გამოცდა. თარგმანი ნინო გორგაძისა	31
აიშე ქულინი, სელმა. თარგმანი მერი წიკლაურისა	33
ერჰან დოლანი, მარტოობას თხელი, ნატიფი თითები ჰქონდა. თარგმანი მერი წიკლაურისა	36
ორჰან ფამუქი, ამონარიდები ინტერვიუებიდან. თარგმანი ნანა ჯანაშიასი.....	41

სომხური ლიტერატურა

ნარ-დოსი, რა მოხდა მას შემდეგ, რაც საშაქრეს ორი ნატეხი შაქარი დააკლდა.	
თარგმანი ასია დარბინინისა	49

სპარსული ლიტერატურა

ბაჰრამ სადეყი, უშუალობა და დამაჯერებლობა. თარგმანი მზია	
ბურჯანაძისა	59
ბიუან ნაჯდი, სველი სამშაბათი. თარგმანი მზია ბურჯანაძისა	64
ზოია ფირზადი, კურდლლის ზღაპარი და პამიდორი	
თარგმანი მზია ბურჯანაძისა.....	70

ყდაზე: ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარი. სომხეთი.

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com
სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. პავლიშვილის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge